# სარბიელი

სპორტული გაზეთი — სამშაბათი 21 იანვარი 2003 №6 (1777) — ფასი 50 თეთრი




# კალაძე იტალიურ ნაკრებშია

## სასიამოვნო ამბავი იტალიიდან: „მილანის" ქართველი მცველი კახა კალაძე იტალიელ ჟურნალისტთა მიერ შედგენილ სერია A-ს პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა

კვირას, მოგეხსენებათ, იტალიურმა სერიამ ნახევარი მოილია. „მილანმა" შინ „პიაჩენცა" დაამარცხა და სატურნირო ცხრილს კენწეროში მოექცა. ჩვენმა კოლეგებმა კი თერთმეტი საუკეთესო გამოარჩიეს და მათში კახა კალაძესაც მიუჩინეს ადგილი.

ლიგის სიმბოლურ გუნდში კალაძის გარდა სამი მილანელიცაა — მეკარე დიდა, პაოლო მალდინი და ანდრეა პირლო. მთლიანად სერია A-ს რჩეულთა შემადგენლობა კი ასეთია:

დიდა; სტამი, კანავარო (ორივე „ლაციო"), მალდინი, კალაძე; კამორანეზი („იუვენტუსი"), პირლო, სტანკოვიჩი („ლაციო"), ნედვედი („იუვენტუსი"); ვიერი („ინტერი"), დელ პიერო („იუვენტუსი"). მწვრთნელი: რობერტო მანჩინი („ლაციო")

— წელიწადია, ძალიან მაღალ დონეზე ვთამაშობ. ახლა საფეხბურთო კარიერაში საუკეთესო დრო მიდგას — გვითხრა კახა კალაძემ საახალწლო ინტერვიუში. გადაჭარბებული მართლაც არაფერი უთქვამს. ცხადია, სეზონის ბოლოს შედგენილ ნაკრებს სხვა ფასი აქვს, თუმცა, რა თქმა უნდა, არც იტალიის ჩემპიონატის საპირველწრეო გუნდში მოხვედრაა პატარა საქმე.

— მადლობა იტალიელ ჟურნალისტებს დაფასებისთვის, ძალიან სასიამოვნო ამბავია. წლეულს მართლაც საუკეთესო სეზონს ვატარებ და აკი ყურადღებაც არ მაკლია. სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრაზე საერთოდ არ ვფიქრობდი, თუმცა როცა ეს შევიტყვე, ძალიან გამიხარდა. სიმბოლური ნაკრები დილით გამოქვეყნდა, ხვალ კი ამის დავიწყება და კვლავაც წვრთნა-თამაშებზე ფიქრი მომიწევს. საუკეთესოობაზე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგას მოვიგებთ — ეს უკვე კახა კალაძემ გუშინ გვითხრა.

**კობა ინასარიძე**

# პრეზიდენტებო ყველა ჯურისა, შეერთდით?!

## სიმართლე გინდათ? დამნაშავე დამნიშნავია!

ამ უქმეებზე „ბარსელონამ" ისევ წააგო და ამაში ახალი არაფერია — მესამე წელია, „ბარსელონა" ძალიან ბევრ თამაშს აგებს და ვერაფერს იგებს.

ლუის ვან გაალს ისევ აუფრიალეს თეთრი ცხვირსახოცები და მოითხოვეს მისი გადადგომა, როგორც ამ სამი წლის წინ ითხოვდნენ და რასაც მისი მეორედ მისვლისთანავე ითხოვენ.

ერთი სიტყვით, რაც ახლა „ბარსელონაში" ხდება, ჯერაც დაუვიწყებელი ძველია. მაგრამ არის სიახლეც, რომელიც დღითი დღე სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. დღეს „კამპ ნოუზე" მისული ქომაგები პრეზიდენტ ხუან გასპარისგან აღარ ითხოვენ ჰოლანდიელის გაშვებას, ისინი პრეზიდენტის და მწვრთნელის ერთად წასვლას მოითხოვენ.

ხუან გასპარი 2000 წლის ზაფხულში აირჩიეს პრეზიდენტად. რამდენიმე დღეში მან დაკარგა ლუიშ ფიგუ. ამ სამ წელიწადში მან ვერაფერი მოიგო. შარშან ზაფხულში კატალონიის თასიც დაკარგა — ის უმცირესი ჯილდო, რაც „ბარსელონას" ნაღდად უნდა მოეგო. და ესეც არ არის მთავარი, რადგან ვერც ერთი გუნდი ყოველწლიურად დიდ ჯილდოს ვერ შესწვდება. მთავარი ის უნდა იყოს, რომ გასპარმა ვერც ერთი მწვრთნელის სწორი არჩევანი ვერ გააკეთა — ვან გაალის ხელში გუნდი ისევე თამაშობს, როგორც კარლოს რექსაჩის მწვრთნელობისას, ხოლო რექსაჩისეული გუნდი ლორენს სერა ფერერისას ჰგავდა. ანუ მწვრთნელები იცვლებიან, გუნდი კი ისევ ერთ ადგილს ტკეპნის და აქ ბუნებრივად ჩნდება მოსაზრება, რომ მწვრთნელზე უფრო დამნაშავეა მისი დამნიშვნელი და არ აქვს მნიშვნელობა, რომ „ბარსელონაში" პრეზიდენტობა არჩევითი თანამდებობაა.

შევვეძლო აქ დაგვესრულებინა, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ბარსელონური ამბავი ქართულ სინამდვილეს გვაგონებს. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი ნიშნავს და ხსნის ნაკრების მწვრთნელებს, ნაკრები კი ერთ ადგილს ტკეპნის...

ხუან გასპარი გადადგომას არ აპირებს...





კატალონია ხუან გასპარისა და ლუის ვან გაალის წასვლას მოითხოვს

# აი, თუ არაბია!

## ჭარმაგის აქლემი უფრო მალე მიაფტანს წყალს, ვიდრე ჭაბუკის ულაყი





REUTERS მელბურნიდან

იუნეს ელ აინაუიმ ყველა პროგნოზი და ლეიტონ ჰიუიტი აიყირავა




ავსტრალიის წლევანდელ ღია პირველობაზე კაცთა ამქრის ჭაბუკი უსტაბაში ლეიტონ ჰიუიტი ორი ნავსის გატეხვას გეგმავდა — ის პირველად უნდა გასულიყო „მშობლიურ სლემმეოთხედფინალში" და პირველი უნდა გამხდარიყო 1976 წელს გაჩემპიონებული მარკ ედმონდსონის შემდეგ, ვინაც ავსტრალიას მისსავე მთავარტიტულს მოუნაგრავდა. ვაგლახ — გაუტეხელმა ოზბიჭმა ვერც ერთის გაკეთება შეძლო და ვერც მეორისა. მის საფინალო გზაზე გუშინ შებერებული ბედუინი, თმახუჭუჭა და გულკეთილი იუნეს ელ აინაუი აღიმართა... კაცთა ნახევარს მხოლოდ ერთი მესლემტიტულე შერჩა — სამგზის ჩემპიონ ანდრე აგასის შანსი აქვს, გახდეს ამ ტურნირის ოთხჯერ მომგები პირველი არაავსტრალიელი. და ქალები? — შიდაშავდურ ფინალს აქ ორნი, კიმ კლაისტერსი და დანიელა ჰანტუხოვა ემუქრებიან. უმცროს დაიკოსთან ფინალში საპაექროდ მათი ძლევა ვინუსს მოუწევს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სად? ალბათ ლოკომოტივზე ვინ? დღეს კანცელარიაში

## უეფა ფედერაციისგან პასუხს ელის, ფედერაცია დამნაშავისგან ფულს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ უეფას 29 იანვრამდე უნდა აცნობოს, თუ სად და რომელ სტადიონზე ათამაშებს სტუმრად ნაწვევ ირლანდიას, შვეიცარიასა და რუსეთს. ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია უეფას შტაბბინას 28 იანვარს ეწვევა, მაგრამ სადღეისოდ ქართული ფეხბურთის თავკაცებს ზემდგომი ორგანოსთვის არაფერი აქვთ სათქმელი.

„ლოკომოტივის" ჩაბნელებიდან სამი თვის თავზე ოფიციალურად ჯერაც არავის დაუსახელებია შუქის გამორთვის ნამდვილი მიზეზი, საბოლოოდ არც საქმის გამოძიება დასრულებულა.

„ეროვნულზე" განათების სათადარიგო კვების ბლოკია მოუწესრიგებელი და რუსებთან საშინაო მატჩში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, იქ თამაშის ნებას არ დაგვრთავენ.

ქუთაისში სასტუმრო არ არის ისეთი, პრეტენზიული სტუმარი დააბინაო, ამიტომ რიონისპირული სარბიელიც უსარგებლოა, ხოლო ერთ დროს თავმომწონე ბათუმური „დინამოდან" ნახევარი სტადიონიღაა დარჩენილი.

სხვა გზა არ არის, 29 მარტს ირლანდიასთან, 2 აპრილს შვეიცარიასთან და 30 აპრილს რუსებთან კალენდრით დადგენილი თამაშები ეროვნულმა გუნდმა ისევ „ლოკომოტივზე" უნდა ჩაატაროს, ვისი მფლობელიც რკინიგზის დეპარტამენტია. აკაკი ჩხაიძე პირობას იძლევა, რომ მარტის ბოლოსთვის და მერეც „ლოკომოტივზე" განათების სისტემა მოწესრიგდება და სათადარიგო კვების ოთხი წერტილიც მზადყოფნაში იქნებაო.

სწორედ ამ საკითხებზე ითათბირებენ დღეს სახელმწიფო კანცელარიაში, სადაც სოციალურ საკითხთა უფროსთან, დაზმირ ჯოჯუასთან ფეხბურთის ფედერაციის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, რკინიგზის დეპარტამენტისა და თელასის პასუხისმგებელი პირები არიან ნაწვევნი.

დღეს, ალბათ, 12 ოქტომბრის საქმეში „მთავარ დამნაშავესაც" გამოამზეურებენ, ანუ ფედერაციას ჩაუგდებენ ხელში იმ პირებს თუ ორგანიზაციას, ვისი მიზეზითაც სფფ-მ 300 ათასი ლარი იზარალა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# არა, არა, არა!

## თურქმა და გერმანელმა ქინქლაძე გაიკვირვეს



*საფეხბურთო ევროპაში ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა 31 იანვარს იხურება. გუნდებს ამ თვის ბოლომდე აქვთ სასურველ ფეხბურთელთა შეძენის ვადა და თუ ვერ მოასწრეს, ლოდინი ზაფხულამდე მოუწევთ.*

*ქართველ ლეგიონერთაგან რამდენიმე კი, შეიძლება ითქვას, ჩემოდანზე ზის და ახალი გუნდის მოძებნას სწორედ 31-მდე აპირებს.*

*ინგლისის პირველდივიზიონელი „დერბის" ქართველი გიორგი ქინქლაძისთვის უკვე მერამდენე სატრანსფერო სეზონი დადგა, როცა ის ამ კლუბის დატოვებას ეშურება, მაგრამ დღემდე არაფერი გამოსვლია. წელიწადზე მეტია, ქინქლაძე „დერბიდან" აბარგებას ფიქრობს, სამოთხ თვეში ერთხელ მისით დაინტერესებული ახალ-ახალი კლუბების ვინაობაც გაიჟღერებს-ხოლმე, თუმც საქმე საქმეზე რომ მიდგება, გიორგი ისევ „დერბიში" რჩება*

ვითომ ახლაც ასე იქნება? ბოლო დროს ამბობენ, ქინქლაძე თურქულ „გალათასარაის" გაახსენდაო; თქვეს, გიოს ბუნდესლიგის „ჰამბურგმა" დაადგა თვალიო; აქა-იქ ბერძნული კლუბებიც ახსენეს. თავად ქინქლაძემ კი თითქოს, ძველი დრო გაიხსენაო, პირველ დივიზიონში ზედიზედ ორ მატჩში გუნდის საუკეთესო იყო და, შესაძლოა, მაისამდე კვლავაც „დერბის" შერჩეს, მით უმეტეს, რომ „ჰამბურგიც" და „გალათასარაიც" ქინქლაძით დაინტერესებას უარყოფენ.

— „დერბის" დატოვებას, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს კარგად ვთამაშობ და მწვრთნელი კმაყოფილია, მაინც ვაპირებ. აზრი არ შემიცვლია — გვითხრა გიორგი ქინქლაძემ — ჩემთვის აჯობებს „ცხვრებს" მალე გავშორდე და თამაში უფრო ამბიციურ გუნდში გავაგრძელო.

**— რომელია ეგ ამბიციური გუნდი?**

— არ ვიცი, ახალს ვერაფერს ვიტყვი, კონკრეტული და რეალური წინადადება ჯერ არ მიმიღია.

**— შესაძლოა, რომ „დერბიში" სეზონის ბოლომდე დარჩე?**

— შესაძლოა, მაგრამ ეგ ჩემთვის ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნება. სატრანსფეროდ ათი დღე კიდევ დარჩა, ვნახოთ, ამ კვირაში, ალბათ ყველაფერი გაირკვევა. აგენტის სიტყვას ველი, უნდა დამიკავშირდეს. ჩემს ტრანსფერზე ის მუშაობს.

**— „გალათასარაიზე" და „ჰამბურგზე" ითქვა, ქინქლაძის გადაბირება სურთო, მართალია?**

— მართალია თუ ტყუილი, არ ვიცი, თუმც ყურმოკვრით გავიგე, რომ ჩემი შეძენის სურვილი გამოუთქვამთ. ისე, თურქეთი გულზე დიდად არ მეხატება.

**— გერმანია?**

— არავის უთქვამს გერმანიაში, ანაც თურქეთში გიწვევენო. კონკრეტული შემოთავაზება თუ იქნება, დავფიქრდები. „დერბის" დონის გუნდში წასვლა კი არ მსურს.

**— „დერბი" უპრობლემოდ დაგთმობს?**

— თავიდან ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული ვიყავი, რომ ხელფასის გარკვეული პროცენტის დათმობის ფასად გამიშვებდნენ, თუმც ახლა, როცა ავთამაშდი, შესაძლოა, კლუბმა ჩემს სანაცვლოდ სატრანსფერო თანხა მაინც მოითხოვოს.

გიორგი ქინქლაძესთან საუბრის შემდეგ მის აგენტ ივან ბენეშს, თურქული „გალათასარაისა" და გერმანული „ჰამბურგის" წარმომადგენლებსაც დავუკავშირდით.

***თუგაი ვარდარი**, „გალათასარაის" პრეს-მდივანი*

**— მართალია, თითქოს „გალათასარაის" ქინქლაძის შეძენა სატრანსფერო ფასმა გადააფიქრებინაო?**

— არა, არ არის მართალი.

**— „გალათასარაის" ახლაც სურს ქინქლაძის გადაბირება?**

— არა, არ სურს.

**— ადრე ხომ გსურდათ?**

— არა, არ გვსურდა — მოკლედ და კონკრეტულად გვიპასუხა თურქმა.

***დიტმარ ბაიერსდორფერი**, „ჰამბურგის" სპორტული დირექტორი*

**— ქართველი ქინქლაძის შეძენით დაინტერესებულხართ...**

— ეგ ვინ გითხრათ?

**— რა მნიშვნელობა აქვს.**

— მაშინ გეტყვით, რომ სწორი ინფორმაცია არ გაქვთ.

**— თქვენს კლუბში ქინქლაძეზე ლაპარაკი არ ყოფილა?**

— არა, პირველად მესმის. ჩვენ არც ფეხბურთელთან, არც მის აგენტთან, არც კლუბთან არანაირი მოლაპარაკება არ გვქონია. ქართველი ფეხბურთელის „ჰამბურგში" ტრანსფერი მოსალოდნელი არ არის.

***ივან ბენეში**, ფიფას აგენტი*

**— ქინქლაძეს ახლახან ვესაუბრეთ, ის თქვენს ზარს ელის, გაქვთ მისთვის ახალი სატრანსფერო ამბავი?**

— ჯერჯერობით არაფერი.

**— „გალათასარაის" სურს მისი შეძენა?**

— არა, თურქებს ქინქლაძესთან საერთო არაფერი აქვთ.

**— „ჰამბურგს"?**

— კონფიდენციალური საკითხია. ვერაფერს გეტყვით.

**— შეგიძლიათ, კონკრეტულად თქვათ, ქინქლაძით რომელი კლუბები არიან დაინტერესებულნი?**

— არ შემიძლია, მოლაპარაკებები მომდინარეობს და როგორც კი რამე ახალი იქნება, არ დაიმალება. 31 იანვრამდე უნდა მოვითმინოთ.

**კობა ინასარიძე**

### იტალია

**სერია B**
**XIX ტური**

ანკონა 1:0 ლივორნო

**სერია C1/B**
**XX ტური**

პესკარა 0:0 სამბენედეტეზე

### შოტლანდია

**ასოციაციის თასი**
**1/8 ფინალი. გადათამაშება**

ისტ ფაიფი 2:2 ჰამილტონი

### პორტუგალია

**I ლიგა. XVIII ტური**

ჟილ ვისენტე 2:0 ნასიონალი



მიხეილ ბობოხიძე

# დარჩეული ტაიმ-ბიჭები

## ქეცბაიასთან შუშაკელები აღარ იხუმრებენ

**თბილისის „დინამო"** კვიპროსულ შეკრებაზეა და შუშაკელებმა მეორე საკონტროლო მატჩიც რუსეთის პირველდივიზიონელთან ითამაშეს — დინამოელებსა და ვორონეჟის „ფაკელის" ტესტ-ბურთაობა 2:2 დამთავრდა.

პირველი გოლი მე-3 წუთზე გავიდა — გიორგი მიქაძის პასით მიხეილ ბობოხიძე მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა და იყოჩაღა კიდეც.

ვორონეჟელებმა მეტოქის დაცვის მოშიშვლებული მარჯვენა ფლანგით ისარგებლეს და ივანოვმა გამთანაბრებელი შეაგდო 11-ე წუთზე, ხოლო კომიაგინმა ერთ-ერთი თანაგუნდელის დიაგონალური პასით იხეირა და „დინამოს" საჯარიმოში შეჭრილმა ბურთი შეუჩერებლად გაგზავნა საქართველოს ათგზის ჩემპიონთა კარში.

შესვენების შემდეგ „დინამომ" მარწუხები მოუჭირა „ფაკელს". ვიტალი დარასელიამ ორი მეტოქე გააბრუა და დავით კვირკველია გაიყვანა კარგ პოზიციაზე — დინამოელთა მარცხენა მცველმა ძლიერად დაარტყა და რიკოშეტის შემდეგ ბურთი ვორონეჟულ ბადეში გაიბლანდა.

ამის შემდეგ ლადო ახალაიას ჰქონდა ჩინებული შანსი, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. მოგვიანებით მაინც გაიტანა, თუმც მსაჯებმა თამაშგარეაო და არ ჩათვალეს გოლი.

ისევე როგორც პირველი კვიპროსული ტესტ-მატჩში, „დინამომ" „ფაკელთანაც" ორი თერთმეტეულით ითამაშა ტაიმები. შესვენებამდე მოედანზე ასეთი „დინამო" ბურთაობდა: *მამალაძე; სახვაძე, კანდელაკი, ვაშკიძე, კარლოსი; მანჩხავა, მაზიაშვილი, მანწკავა, სამხარაძე; მიქაძე, ბობოხიძე.* მეორე ტაიმში კი ივო შუშაკმა რჩეული ხალხი ათამაშა: გვარამაძე; ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, კვირკველია; ბურდული, გოგობერიშვილი, დარასელია, ანჩაბაძე; ალექსიძე, ახალაია.

შუშაკს უთქვამს, რჩეულ თერთმეტეულით კმაყოფილი ვარ, ისევე როგორც ხაბაროვსკის სკა-ენერგიასთან მათ „ფაკელთანაც" მოიგეს კუთვნილი 45 წუთიო.

მომდევნო მატჩს „დინამო" ხვალ ითამაშებს თემურ ქეცბაიას „ანართოსისთან". კვიპროსელებთან შუშაკი თავიდანვე ოპტიმალურ შემადგენლობას გაიყვანს მინდორზე და, რა თქმა უნდა, შეცვლებსაც განახორციელებს, მაგრამ ტაიმებს განსხვავებულ შემადგენლობით აღარ ითამაშებს.

„დინამოს" კიდევ ორი ტესტ-მატჩი აქვს დაგეგმილი — 26 იანვარს კრივოი როგის „კრივბასთან", მომდევნო დღეს კი ჩეხეთის მეორე დივიზიონის „სინოტთან".

**დავით თავართქილაძე**

# მოსული წასულები

## კარნევალის ახალი დაუძველდა

**საანთალიო** სამზადისში მყოფი „ვიტ ჯორჯია" თურქულ შეკრებაზე, ალბათ, უძლიერესი შემადგენლობით გაემგზავრება. წლის დასაწყისში ჯანი კარნევალიმ ჯერ ჩემპიონატის ერთ-ერთი ბომბარდირი ლევან მელქაძე და გუნდის კაპიტანი ლაშა ნოზაძე მოისაკლისა, მერე ფეხმარად ფორვარდ გიორგი ადამიას და ცენტრალურ ნახევარმცველ დავით ქოქიაშვილსაც შეელია.

რუსეთსა და უკრაინაში წასულ ვეტერინართა ტრანსფერები რომ გაჩარხულიყო, იტალიელს ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოუწევდა, მაგრამ ერთი მეორეს მიყოლებით კარნევალის გუნდის უცხოეთში გაფანტული ლიდერები დაუბრუნდნენ.

ჯერ კაპიტანი ნოზაძე ჩამოვიდა, მერე კლუბის მთავარმეგოლე მელქაძე, ორიოდ დღის წინ კი კიევიდან გიორგი ადამიაც დაბრუნდა. კლუბის თავკაცის, გურამ რუხაძის თქმით, ადამია საგაზაფხულო ეტაპს „ვიტ ჯორჯიაში" დაასრულებს.

გუშინ თავად ადამიასაც შევეხმიანეთ, რომლისთვისაც უკან დაბრუნების ნამდვილი მიზეზი უცნობია.

— არ ვიცი უარით რად გამომისტუმრეს. თითქოს კიევის „დინამოში" სინჯები წარმატებით გავიარე, კონტრაქტის გაფორმებაზეც იყო საუბარი, მაგრამ მოულოდნელად ფარმ-კლუბის მწვრთნელმა ონიშჩენკომ თანაშემწის პირით შინ დაბრუნდიო, შემომითვალა.

კონჩა ზასპას მოედნებზე ჯერჯერობით დავით ქოქიაშვილი ვარჯიშობს, რომლისთვისაც კიევის „დინამოს" ჯერ არც ჰო უთქვამს და არც არა. ქოქიაშვილის ბედიც ორიოდ დღეში გაირკვევა

**მამუკა ქვანტალიანი**

# თანამეგობრობის თასი. მოსკოვი 18 —28 იანვარი

## ტორპედომ რუსეთს საბჭოეთი გაახსენა

**დრონი მეფობენ**, თორემ საბჭოეთის ხანაში „ლოკომოტივის" დუბლიორებისთვის საქართველოს საუკეთესო გუნდთან ფრე დიდ მიღწევად ჩაითვლებოდაო — ირონიული ტონი გამოურიეს „ტორპედო" — „ლოკომოტივის" საესენგეო მატჩის რეცენზიას რუსმა მიმომხილველებმა.

ჩვენ კი ყოველგვარი საბჭოური ხანის გახსენების გარეშე შევნიშნოთ, რომ მართლაც მოულოდნელი იყო, შეკოწიწებულ „მერანი-ოლიმპთან" ორჯერ დამარცხებული, დამძიმებელი ჩემპიონის მოსკოვურ ხალიჩაზე განავარდება.

„ტორპედო" ცალი ფეხით მეოთხედფინალშია, მეორე ფეხის გადასადგმელად დღეს ყაზახურ „ირტიშთან" ფრეც ახლევს ხელს შტელინის სამწყსოს.

პირველ ტურში ქართველთა მეტოქე ყირგიზეთის ჩემპიონი „სკა-პვო" იყო. ქუთათურებმა 200 მაყურებლის თანდასწრებით იოლად გატეხეს აზიელები. პირველი ტაიმის ორწუთიან ინტერვალში იონანიძემ და ხვადაგიანმა ფაქტობრივად მოუმთავრეს მეტოქეს საქმე. მატჩის დამთავრებამდე 11 წუთით ადრე კი პოროშინმა ერთიც დაამატა და მშრალად გაისტუმრეს ქუთათურებმა ბიშკეკლები.

ჯგუფის მეორე მატჩში „ლოკომოტივმა" შეცვლაზე შესული ოვჩინიკოვის კინკილა გოლით სძლია „ირტიშს". ოვჩინიკოვი რამდენიმე წამის შესული იყო მოედანზე, საგოლედ რომ დაჰკრა. სხვათა შორის, მან კოსტარიკელი პარკსი შეცვალა. ეგებ გახსოვდეთ კიდეც მუნდიალზე თურქთათვის გოლის გამტანი ეს ჯეელი. პარკსის დებიუტს ინტერესით ელოდნენ რუსები, მაგრამ უცხო გარემოში მოხვედრილი კოსტარიკელი ბეცი კურდღელივით დარბოდა, ვერც გაამტყუნებდი — ის რომ „ირტიშთან" ჯახირობდა, მაშინ მის სამშობლოში შუაღამე იყო.

19 იანვარს პარკსს თავის ცხოვრებაში მეორედ მოუხდა გადახურულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ბურთაობა. „ლოკომოტივი"—„ტორპედოს" მატჩს ჯერჯერობით სარეკორდო — 2000 მაყურებელი დაესწრო. რკინიგზელ დუბლიორებს საქართველოს ჩემპიონი თავიდანვე ძალუმად მიაწვა და მე-13 წუთზე იონანიძემ გაიტანა. საგოლე სიტუაცია „სპარტაკთან" ერთად სოჭის შეკრებამოვლილ ახალკაცის აქტიურობას მოჰყვა — პოროშინმა იონანიძეს ჩაუგდო ბურთი და ამანაც შეუჩერებლივ დაარტყა. მალე პოროშინს მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წამს თავგანწირული ვარდნით მიკუცკისმა შეუშალა ხელი. ეს იყო და ტერიტორიული უპირატესობა მასპინძლებმა იგდეს ხელთ. 33-ე წუთზე პარკსმა ლამის გაათანაბრა, თუმცა მისი დარტყმის შემდეგ რიკოშეტით კარში წასული ბურთი ჭანტურიამ ხაზზე გააქვავა.

რკინიგზელებმა მაინც გაათანაბრეს — ვუჩიჩევიჩმა საჯარიმოს ხაზიდან შანსი არ დაუტოვა ქუთაისელთა მეკარეს.

მეორე ტაიმის დიდ ნაწილს საფრეო სუნი ასდიოდა. ორივე გუნდს გაუმწვავებლად მიჰყავდა თამაში საფინალო სასტვენისკენ, მაგრამ ტრიბუნები ასათიანმა გამოაცოცხლა. ბაბუნაშვილის კუთხურისას მან მოხდენილად შეაგება ფეხი ბურთს და ქართველები დაწინაურდნენ. ორ წუთში იონანიძეს ანგარიშის გაზრდა მართებდა, მაგრამ მეურვე რეზნიკს ვერაფერი მოუხერხა, მერე კი იმავე რეზნიკმა მიკუცკისს დაასვა ბურთი და მატჩიც 2:2 დასრულდა.

გუშინ „ტორპედოს" მწვრთნელ *სოსო ფრუიძეს* შევეხმიანეთ მოსკოვში.

„ესენგეს თასზე სერიოზული მიზნებით ვთამაშობთ. მეოთხედფინალში გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს, მერე კი უფრო მეტის მიღწევასაც შევეცდებით. „ლოკომოტივთან" მოსაგები თამაში გვქონდა, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია" — გვითხრა ფრუიძემ. მისივე თქმით, მოსკოვში გუნდს გამეზარდაშვილი ვერ დაეხმარება. ამ ფეხბურთელმა სკა-პვო-სთან მატჩში ფეხი გადაიბრუნა და ექიმთა რჩევით დაისვენებს.

A ჯგუფის მეორე ტურის მატჩში „ირტიშმა" მოლოდინისამებრ მოუგო სკა-პვო-ს და დღეს თუ საქართველოს ჩემპიონსაც აჯობა, ქუთაისელთა საესენგეო ამბიციას ჯგუფში ჩატოვებს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია „შერიფის" გალაღება და „შახტარის" შერცხვენა. მოლდოვურ გუნდს ჩვენებური თარხნიშვილი კაპიტნობს, ტირასპოლელებმა ორივე მატჩში დიდი ანგარიშით იმარჯვეს და გუნდის ფეხბურთელებმა ორჯერვე ჰეთ თრიქის გაკეთება შეძლეს.

უკრაინის ჩემპიონი კი სარეზერვო შემადგენლობითაა მოსკოვში ჩასული და რა დღეშიცაა, სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს.

**ბაათა ძმანტალიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

ზურაბ იონანიძემ (ბურთით) თბილისური ხელოვნური მოედნისგან განსხვავებით მოსკოვისაზე ივარგა

### A ჯგუფი

**I ტური**

**ტორპედო 3:0 სკა-პვო**

1:0 იონანიძე (34), 2:0 ხვადაგიანი (36), 3:0 პოროშინი (79)

**ტორპედო:** ჭანტურია (სტურუა 46), იონანიძე (ზ. ქუთათელაძე 72), კვეტენაძე, ბაბუნაშვილი (ჩომახიძე 67), ახალკაცი (ლალაძე 59), პოროშინი, ჭელიძე, ასათიანი (ჩხეტიანი 65), აკოფიანი (ოდიკაძე 82), ხვადაგიანი (მახვილაძე 55), გამეზარდაშვილი

**სკა-პვო:** სიროტინი, ჩერნიშოვი, სალო, ამინი, პილიპასი (ჯუმაკეევი 87), ბერდალი უულუ (ხოლკოვსკი 67), პრიანიშნიკოვი (ჭაველაშვილი 85), ივანოვი (ბერეზოვსკი 86), კუცოვი, კუდრენკო (აჯიევი 46), ჩერტკოვი (სარდაროვი 82)

**გაფრთხილება:** ჩერნიშოვი (59), ჩხეტიანი (70)

**მსაჯი:** ველიჩკო (ბელარუსი)

**ლოკომოტივი 1:0 ირტიში**

1:0 ოვჩინიკოვი (60)

**II ტური**

**ტორპედო 2:2 ლოკომოტივი**

1:0 იონანიძე (13), 1:1 ვუჩიჩევიჩი (41), 2:1 ასათიანი (70), 2:2 მიკუცკისი (80)

**ტორპედო:** ჭანტურია, აკოფიანი (ოდიკაძე 68, ჩხეტიანი 87), მახვილაძე, ჭელიძე, ხვადაგიანი, ახალკაცი, კვეტენაძე, ასათიანი, ჩომახიძე (ბაბუნაშვილი 49), პოროშინი, იონანიძე (ლალაძე 90)

**ლოკომოტივი:** ზახარჩუკი, ხატაჟენკოვი, მიკუცკისი, იონოვი, რეზნიკი, ბორდიანი (ოვჩინიკოვი 77), პოპელი, გოლოვკოვი (ზინოვიევი 65), ვუჩიჩევიჩი, რადჟენიავიჩუსი (სოკოლოვი 56), პარკსი (როდინი 82)

**გაფრთხილება:** ხვადაგიანი (30), ბორდიანი (71), პარკსი (81)

**მსაჯი:** შებეკი (უკრაინა)

**სკა-პვო 1:2 ირტიში**

0:1, 0:2 კალაბუხინი (44, 45პ), 1:2 სარდაროვი (72)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ირტიში | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| სკა-პვო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

### B ჯგუფი

**I ტური**

**სკონტო 2:1 პიუნიკი**

1:0, 2:0 ელისეევი (15, 60), 2:1 მინასიანი (75)

*კორდალიძემ (სკონტო) შეუცვლელად ითამაშა*

**რეგარ-თადაზი 0:2 ბატე**

0:1 ჩუმაჩენკო (4), 0:2 სკრიპჩენკო (86)

**ბატე 1:1 სკონტო**

1:0 რინდიუკი (3), 1:1 კოლესნიჩენკო (28)

*კორდალიძე (სკონტო) 74-ე წუთზე შეცვალეს*

**პიუნიკი 1:3 რეგარ-თადაზი**

0:1 ხოჯაევი (12), 1:1 მანუჩარიანი (52), 1:2 სოტნიკოვი (57), 1:3 ზუბაიდოვი (84)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბატე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| სკონტო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რეგარ-თადაზი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| პიუნიკი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

### C ჯგუფი

**I ტური**

**შახტარი 0:2 ფახთაქორი**

0:1 ბიკმაევი (90), 0:2 კასიმოვი (90)

**კაუნასი 2:1 აზერბაიჯანი (ახ.)**

1:0 ბეზი კორნოვასი (58პ), 1:1 მუსაევი (78), 2:1 პუოტკალისი (85)

მსაჯი: მალაღურაძე

**II ტური**

**შახტარი 1:1 კაუნასი**

0:1 ოპიცი (67), 1:1 პოპოვი (77)

**აზერბაიჯანი (ახ.) 1:1 ფახთაქორი**

0:1 ხამიდულაევი (35), 1:1 ყურბანოვი (65პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფახთაქორი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| კაუნასი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| აზერბაიჯანი (ახ.) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| შახტარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

### D ჯგუფი

**I ტური**

**ფლორა 0:4 შერიფი**

0:1, 0:2 ტუდორი (10, 17), 0:3 ბორეცი (22), 0:4 ტუდორი (58)

*ვაჟა თარხნიშვილმა (შერიფი) შეუცვლელად ითამაშა*

**შაგადამი 0:2 რუსეთი (ახ.)**

0:1 ლოჟკინი (34პ), 0:2 კორჟი (70ს.კ.)

**II ტური**

**შერიფი 7:1 შაგადამი**

1:0, 2:0 დადუ (25, 45), 2:1 სადიკოვი (45), 3:1 დადუ (49), 4:1 პაცულა (52), 5:1 კომლენოკი (56), 6:1 ბორეცი (86), 7:1 ნესტერუკი (90)

*ვაჟა თარხნიშვილმა (შერიფი) შეუცვლელად ითამაშა*

**რუსეთი (ახ.) 2:1 ფლორა**

1:0 მალახოვსკი (30), 1:1 როობა (56), 2:1 იანბაევი (87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შერიფი | 2 | 2 | 0 | 0 | 11:1 | 6 |
| რუსეთი (ახ.) | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ფლორა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | 0 |
| შაგადამი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:9 | 0 |



გივი დიდავა (მარჯვნივ) თურქებისთვის ძვირი სიამოვნებაა

## სადაც ატენფონდანგბეზაა
### ქუთათურებს ქირა უქეს, მაგრამ...

**„ქოჯაელისფორისა"** და სამი ქართველის ბედი ჯერ ბოლომდე არ გარკვეულა.

გუნდმა ანთალიაში ამ უქმეებზე ორი საკონტროლო მატჩი გამართა. მათი პირველი მეტოქე რუსეთის „ხიმკი" იყო. „ქოჯაელის" მწვრთნელმა გიუვენჩ ქურთარმა ძირითად თერთმეტეულში გია იმედაძე ათამაშა, დიდავა და ქემოკლიძე დაასვენა. მასპინძლებმა უსახელო მეტოქესთან ვერაფერი გააწყვეს — თითო ტაიმში თითოჯერ გაუშვეს, რამაც თავკაცი გაახელა და თანამემამულეები შეაჯანჯღარა.

ბილეფელდის „არმინიასთან" მეორე შეხვედრა „ქოჯაელმა" ისევ წააგო და ისევ 0:2. ამჯერად ძირითადში მხოლოდ დიდავა გამოჩნდა. ქურთარი თამაშის ხარისხით კმაყოფილი გახლდათ, შედეგით კი, რა თქმა უნდა, არა.

„ქოჯაელის" მთავარმა მწვრთნელმა შაბათ-კვირას თავისი ავლადიდება აწონ-დაწონა და სამივე ქართველი გუნდში დასარჩენთა ნუსხაში შეიტანა. მათ გარდა რჩეულთა შორის ბულგარელი ფორვარდი სტანიმირ გეორგიევი და სამი თურქი მოხვდა.

სინჯებზე იმყოფება ორი კამერუნელი ფეხბურთელი, რომელთა ვინაობაც, ცხადია, არ გაინტერესებთ, თუმცა ეგებ მათმა სახელ-გვარმა გაგახალისოთ: ჰამადაუ სოისია და ვალანტია ატენფონდანგბეზა. გუნდიდან სამშობლოში გაუშვეს მავანი იტალიელი სალვატორე კაპუტო.

მოკლედ, სამი ქართველისა და ბულგარელის გარდა ყველა უცხოელი დაიწუნეს, კამერუნელების ბედი კი მოგვიანებით გადაწყდება.

აი, რა თქვა გიუვენჩ ქურთარმა: „ჩემპიონატის განახლებამდე ძალიან ცოტა დრო რჩება. ეს მაიძულებს, რომ შემადგენლობა დროულად შევარჩიო. ვისი დატოვებაც მსურს, მათთან მოლაპარაკებები უნდა დავიწყოთ. მაგალითად, დიდავას დარი ფეხბურთელი ნამდვილად მჭირდება, თუმცა ისიც ვიცი, რომ ასეთ ფეხბურთელს მისი პატრონი იაფად არ შეელევა. „ქოჯაელსფორის" დირექტორატს ვთხოვე, ქუთაისის „ტორპედოს" მესვეურებს დაუკავშირდნენ და სამივე ქართველი ეგებ სეზონის ბოლომდე ქირით მაინც დავიტოვოთ, რადგან ფინანსურად დალხენილი ცხოვრება ამჟამად არ გვაქვს".

როგორც ჩანს, გიუვენჩ ქურთარს მართლა გულში ამოუჭრია ქართველებით გაძლიერება, მაგრამ ჯიბეთხელია ამ საქმისთვის. მართალი გითხრათ, თურქეთის ჩემპიონატის მაჩანჩალა (ბოლო ადგილზეა) გუნდისთვის ჩვენი ფეხბურთელები არ მეტეტება, თუმც ეს მათი და „ტორპედოს" გასარკვევია. ამ შემთხვევაში მხოლოდ დიდავას და ქემოკლიძეს ვგულისხმობ, რადგან იმედაძე არ არის „ტორპედოს" საკუთრება.

დღეს ქუთაისელები მოსკოვში თავისიანებს შეუერთდებიან. გუშინ მწვრთნელს, სოსო ფრუიძეს დავუკავშირდით, რომელმაც გვითხრა, რომ „ქოჯაელისფორში" ფეხბურთელების გაქირავების წესით დატოვებაზე კლუბმა უარი თქვა და ახლა სიტყვა თურქებზეა.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ესპანეთი

### პრიმერადივიზიონი. XVIII ტური

# ნუ მოუზომავთ სელტას თერთმეტ მეტრს




REUTERS

სოსიედადი — სელტა. სანსებასტიანელთა თურქმა ნიჰათმა (მარცხნივ) თავი კი გამოიდო, მაგრამ გამარჯვების გოლი ხავი დე პედრომ გაიტანა

**სოსიედადი 1:0 სელტა**

1:0 დე პედრო (64)

*ლუქსენმა ვერ გაიტანა პენალტი (80, მეკარე)*

სოსიედადი: ვესტერფელდი, კვარმე, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი (არანბურუ 60), ხაურეგი, დე პედრო (ბარკერო 73), კარპინი, კოვაჩევიჩი, ნიჰათი (ტაიფუნი 83)

მწვრთნელი: რეინალდ დენიო

სელტა: კავალიერო, ველასკო (კოირა 71), სილვინიო, ხუანფრანი, ხორხე როდრიგესი, ჯოვანელა (კატანია 70), ვაგნერი, ხოსე იგნასიო, ედუ, ლუქსენი, გუსტავო ლოპესი (ხესული 83)

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: ვაგნერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი, ხუანფრანი, ხოსე იგნასიო

მსაჯი: მეია დავილა

28 000 მაყურებელი

**რეალი 2:2 ატლეტიკო**

0:1 ხავი მორენო (11ა), 1:1, 2:1 ფიგუ (32, 44ა), 2:2 ალბერტინი (90)

*ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (81, მეკარე)*

რეალი: კასილიასი, მ. სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ფ. კონსეისაო (გუტი 76), მაკელელე, ზიდანი (კამბიასო 89), რაული, რონალდო (პავონი 58)

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

ატლეტიკო: ბურგოსი, კონტრა (ი. სტანკოვიჩი 70), გარსია კალვო, ჰიბიჩი, სერხი, ალბერტინი, ემერსონი, ლუის გარსია (მოვილია 48), ხოსე მარი, ფ. ტორესი, ხავი მორენო (აგილერა 57)

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

გაფრთხილება: ხოსე მარი, გარსია კალვო, კონტრა, გარსია კალვო, ჰიბიჩი, სერხი, ემერსონი, რობერტო კარლოსი

*გაძევება: ელგერა (12), გარსია კალვო (62)*

მსაჯი: დაუდენ იბანიესი

78 000 მაყურებელი

**ბარსელონა 2:4 ვალენსია**

0:1 აიმარი (12), 0:2 კარეუ (27), 1:2 მოტა (38), 1:3 აურელიო (84), 1:4 რუფეტე (87), 2:4 კლუივერტი (88)

ბარსელონა: ბონანო, პუიოლი, ფ. დე ბური, ხავი, კოკუ, როჩემბაკი (რიკელმე 37), გაბრი (მენდიეტა 46), მოტა (სავიოლა 68), ინიესტა, კლუივერტი, ოვერმარსი

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო, აიალა, ფ. აურელიო, გარიდო, ალბელდა, ბარახა (პალოპი 42), რუფეტე, აიმარი (დე ლოს სანტოსი 57), კარეუ, ვისენტე (კარბონი 76)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

გაფრთხილება: მოტა, გარიდო

გაძევება: კანისარესი (41)

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

73 648 მაყურებელი

**დეპორტივო 2:1 ბილბაო**

0:1 ესკერო (50), 1:1 დონატო (51), 2:1 ლუკე (84)

დეპორტივო: ხუანმი, რომერო, სეზარი, დონატო, ექტორი, სერხიო, დუშერი, მაკაი, ტრისტანი (ლუკე 56), ამავისკა (ფრანი 51), ვიქტორი (აკუნია 68)

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ბილბაო: არანსუბია, ა. კარანკა, ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, იესტე (არიაგა 85), ხავი გონსალესი, ალკისა, დელ ორნო, გურპეგი, ესკერო (ტიკო 78), ხ. ეჩებერია

მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი

გაფრთხილება: დონატო, გურპეგი, დელ ორნო, იესტე, ექტორი

მსაჯი: პინო სამორანო

26 000 მაყურებელი

**რასინგი 0:1 ბეტისი**

0:1 ხოაკინი (90)

რასინგი: ლემენსი, სიეტესი, ნაფტი, მორა, ხუანმა, მატეო (მატაბუენა 87), ბენაიუნი, პინედა, ხ. გერერო (დიეგო ალონსო 61), რეგუერო, მუნიტისი (პაბლო ლაგო 76)

მწვრთნელი: მანოლო პრესიადო

ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, მ. ასუნსაო, ვარელა, კაპი (ჟოაუ ტომასი 73), იტო, არზუ, მელი, დენილსონი (სესარი 82), ხოაკინი, კასასი (ფერნანდო 65)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: არზუ, მელი, სიეტესი, ვარელა

მსაჯი: ესკინას ტორესი

16 195 მაყურებელი

**მალიორკა 1:1 უელვა**

0:1 რაულ მოლინა (55), 1:1 პანდიანი (81პ)

მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, ფ. ნინიო, კორტესი, ნადალი, ლუსენბოფი, იბაგასა (ტუნი 71), ნოვო, რიერა, კარლოსი (ეტოო 58), პანდიანი

მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო

უელვა: ლუკე, მერინო, პერნია, ხავი გარსია, არპონი (გალანი 68), იკერ ბეგონია, ლორენი, ვიკეირა, კამაჩო, რაულ მოლინა (კუბილიო 82), ბერმეხო (ხისკო 50)

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

გაფრთხილება: იკერ ბეგონია, კამაჩო, არპონი, ხავი გარსია, ვიკეირა, ხისკო

მსაჯი: მუნის ფერნანდესი

12 000 მაყურებელი

**ალავესი 1:1 ოსასუნა**

1:0 ილიე (39), 1:1 ალოიზი (87)

ალავესი: დუტრუელი, იბონ ბეგონია, კარმონა, ლორენსი, აბელარდო, ედუ ალონსო, ტურიელი, ლ. ელგერა, რუბენ ნავარო (ივან ალონსო 76), კრუიფი, ა. ილიე (მაგნო 57)

მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო

ოსასუნა: სანსოლი, იანგუსი, მატეო, კრუჩაგა, რივერო (ბრიტი 58), ანტონიო ლოპესი, პუნიალი (პალასიოსი 82), მოა, მუნიოსი (განსედო 50), ივან როსადო, ალოიზი

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

გაფრთხილება: ელგერა, კრუიფი, პუნიალი, მატეო, ანტონიო ლოპესი, იბონ ბეგონია

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

16 125 მაყურებელი

**სევილია 0:0 მალაგა**

სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დ. კასტედო, ოსკარი, ფრედი (ანტონიტო 86), ხ. რედონდო, მარკოს ვალესი (გალიარდო 65), კასკერო, ტორადო, რეიესი, ტოედტლი

მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი

მალაგა: კონტრერასი, ლიტოსი, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო, ხოსემი (როხასი 65), მუსამპა, რომერო (მიგელ ანხელი 84), მანუ, დარიო სილვა, დელი ვალდესი (კანაბალი 83)

მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი

გაფრთხილება: ლიტოსი, რეიესი, კაბალიერო, ხერარდო

მსაჯი: მორენო დელგადო

10 000 მაყურებელი

**რაიო ვალეკანო 0:1 ვალიადოლიდი**

0:1 ოსკარი (9)

რაიო ვალეკანო: სეგურა, დორადო, დე კინტანა, ონოპკო, მარიო, მაინსი (ბოლო 58), მიჩელი, კევედო, ასკოიტია (ფ. მარკესი 70), პერაგონი (ხულიო ალვარესი 82), ბოლიჩი

მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი

ვალიადოლიდი: ბიზარი, მარკოსი, გასპარი, მარიო, ტორეს გომესი, კოლსა, ჩემა (სოუზა 73), ხესუსი, ფ. სალესი (კამინერო 89), აგანსო (პაჩონი 79), ოსკარი

მწვრთნელი: პეპე მორე

გაფრთხილება: ოსკარი, პერაგონი, ხესუსი, მარკესი

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

11 956 მაყურებელი

**ვილიარეალი 0:0 ესპანიოლი**

ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, გალვანი, კიკე ალვარესი, ბალესტეროსი, უნაი (არანდა 76), ხორხე ლოპესი (ხოსიკო 60), სენა, ფარინოსი (კალეხა 81), პალერმო, ვიქტორი

მწვრთნელი: ბენიტო ფლორო

ესპანიოლი: სერხიო, დ. გარსია, ლოპო, სოლდევილა, ამაია, დომორო, მორალესი (ოსკარი 76), როხერი (ველამასანი 63), მაქსი (მარტინ პოსე 81), ალექს ფერნანდესი, მილოშევიჩი

მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე

გაფრთხილება: უნაი, დომორო, ბალესტეროსი, ამაია

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

17 000 მაყურებელი

„სელტას" მწვრთნელმა მიგელ ანხელ ლოტინამ „რეალ სოსიედადთან" მატჩის წინ აშკარად იცრუა, როცა თქვა, სან სებასტიანში ფრისთვის არ ჩამოვსულვართო. სწორედ რომ ფრისთვის ჩავიდა — ფორვარდი ენრიკე კატანია სათადარიგოთა სკამზე დასვა, მოედანზე კი ერთბაშად ხუთი მცველი შეუშვა. ამის გამო იყო, რომ ბასკებს გაუჭირდათ, მათი იერიშები გაუვალ ჯებირს ასკდებოდა და ის, რომ ბურთს მეტწილად თავად ფლობდნენ, არაფერს ნიშნავს. პირველ ტაიმში მხოლოდ ნიჰათმა შეძლო ერთი ორჯერ მეურვეებს გასცდენოდა და კარისკენ დაერტყა, ერთხელ ძელსაც გაარტყა, მაგრამ ეს იყო და ეს.

თუ სტატისტიკას გადავხედავთ, „სოსიედადი" ამ სეზონში მეორე ტაიმს პირველზე ბევრად უკეთ თამაშობს: პირველ ტაიმებში 12 გოლი აქვს გატანილი, მეორეში — 22, ხოლო გაშვებულებს თუ დავითვლით, პირველ ტაიმებში 11 ბურთი გაუშვა, მეორეში — 9. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მასპინძლებმა ახლაც მეორე ტაიმში შეძლეს მეტოქისთვის სამი ქულის გამოგლეჯა. ხავი დე პედრომ, რომელსაც ტრავმის გამო იქამდე მთელი თვე გაუცდა, საჯარიმო დაარტყა, ბურთი შორეული კუთხისკენ გაფრინდა და სტუმართა მეკარე კავალიერომ გუნდს ვერ უშველა.

თუმც ეს არ იყო დასასრული. ლოტინამ მოედანზე კატანია შეუშვა და ერთ ეპიზოდში ესპანურპასპორტიანმა ბრაზილიელმა ლამის გაათანაბრა. მერე კი მატჩის ყველაზე დრამატული მომენტი დადგა — სანდერ ვესტერფელდმა პეტერ ლუქსენს პენალტი აუღო. სეზონის დაწყებიდან „სელტამ" ხუთიდან მესამე თერთმეტმეტრიანი გააფუჭა.

ამგვარად, „რეალ სოსიედადი" კვლავ ლიდერია და კვლავ დაუმარცხებელია. ამასთანავე, მადრიდული დერბის შედეგმა „სოსიედადს" „რეალის" სამი ქულით გადასწრების საშუალება მისცა.

ტურის უმთავრესი მატჩები ცხადია, ნახსენები მადრიდული დერბი და „ბარსელონა"—„ვალენსია" იყო, მაგრამ იმ თამაშებში იმდენი გამოსარჩევი რამ მოხდა, გადავწყვიტეთ, მათზე ცალკე მოგითხრათ, აქ კი ტურის სხვა მატჩებს გადავხედოთ.

ვის უნდა უმადლოდეს „დეპორტივო" სამ საშინაო ქულას? ოქმის მიხედვით, ყოფილ რეალელ აიტორ კარანკას, რომელმაც მატჩის 85-ე წუთზე ავტოგოლი მიითვალა. თუმცა უპრიანია, ამ საგოლე ეპიზოდის მეორე გმირიც ვახსენოთ — ლაკორუნიელი როი მაკაი, რომელმაც ალბერტო ლუკეს მიერ კუთხურის ჩაწოდებისას ისეთი წნეხის ქვეშ მოაქცია კარანკა, რომ ამ უკანასკნელმა ორიენტაციის უნარი დაკარგა და ბურთს იქით არ დაჰკრა, საითაც უნდოდა. იქამდე კი ბილბაოელი ესკეროს რიკოშეტით გატანილი ბურთი დონატომ გაქვითა.

„რასინგს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს, არაესპანური სახელის მქონე კაცი, დმიტრი პიტერმანი და სანტანდერელები იმის იმედად იყვნენ, ეგებ ახლა მაინც მოვიხვეჭოთ ქულაო — გუნდს 21 დეკემბრის მერე არ მოუგია.

იმედის ახდენას წამებილა დააკლდა, მესამე წამატებული წუთი მიდიოდა, ხოაკინმა „ბეტისის" გამარჯვებისა რომ შეაგდო.

ცუდი საქმე შეემთხვა „მალიორკას", ერთ დროს მეორეადგილოსანმა კუნძულელებმა ბოლოადგილოსანი „უელვა" ვერ დაამარცხეს და თან საშინაო მატჩში. მეტიც, სტუმრები რაულ მოლინას გოლით იგებდნენ კიდეც და საარაკო ამბავსაც გაახერხებდნენ, მათ კარში ბოლოსკენ პენალტი რომ არ დანიშნულიყო. ალვარო ნოვო საჯარიმოში დასცეს და ვალტერ პანდიანიმ გაიტანა.

„ესპანიოლმა" ვილიარეალში უკიდურესად დაცვითი ფეხბურთი ითამაშა და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქულები ჰაერივით სჭირდება. ეს კი თავის მხრივ, გუნდში არსებულ ორმაგ კრიზისზე მიგვანიშნებს. საბოლოოდ, უგოლო ფრე და ბარსელონელები ისევ გასავარდნ ზონაში არიან.

**გიორგი დარჯანია**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | სოსიედადი | 18 | 11 | 7 | 0 | 34:20 | 14 | 40 | 9 | 6 | 3 | 0 | 19:12 | 7 | 21 | 9 | 5 | 4 | 0 | 15:8 | 7 | 19 |
| 2 | რეალი | 18 | 10 | 7 | 1 | 39:18 | 21 | 37 | 9 | 6 | 3 | 0 | 25:9 | 16 | 21 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 16 |
| 3 | ვალენსია | 18 | 9 | 5 | 4 | 31:16 | 15 | 32 | 9 | 5 | 2 | 2 | 18:6 | 12 | 17 | 9 | 4 | 3 | 2 | 13:10 | 3 | 15 |
| 4 | დეპორტივო | 18 | 9 | 5 | 4 | 26:21 | 5 | 32 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:9 | 5 | 17 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:12 | 0 | 15 |
| 5 | ბეტისი | 18 | 8 | 6 | 4 | 29:21 | 8 | 30 | 9 | 5 | 2 | 2 | 14:7 | 7 | 17 | 9 | 3 | 4 | 2 | 15:14 | 1 | 13 |
| 6 | სელტა | 18 | 8 | 3 | 7 | 20:18 | 2 | 27 | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 15 | 9 | 4 | 0 | 5 | 9:11 | -2 | 12 |
| 7 | მალიორკა | 18 | 8 | 3 | 7 | 24:31 | -7 | 27 | 9 | 3 | 2 | 4 | 10:18 | -8 | 11 | 9 | 5 | 1 | 3 | 14:13 | 1 | 16 |
| 8 | ატლეტიკო | 18 | 6 | 7 | 5 | 28:24 | 4 | 25 | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 16 | 9 | 2 | 3 | 4 | 14:15 | -1 | 9 |
| 9 | ვალიადოლიდი | 18 | 7 | 3 | 8 | 18:19 | -1 | 24 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:7 | 3 | 14 | 10 | 3 | 1 | 6 | 8:12 | -4 | 10 |
| 10 | ბარსელონა | 18 | 6 | 5 | 7 | 27:23 | 4 | 23 | 9 | 4 | 3 | 2 | 18:12 | 6 | 15 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:11 | -2 | 8 |
| 11 | სევილია | 18 | 5 | 7 | 6 | 15:14 | 1 | 22 | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 3 | 13 | 9 | 2 | 3 | 4 | 6:8 | -2 | 9 |
| 12 | ვილიარეალი | 18 | 5 | 7 | 6 | 19:21 | -2 | 22 | 9 | 4 | 2 | 3 | 11:10 | 1 | 14 | 9 | 1 | 5 | 3 | 8:11 | -3 | 8 |
| 13 | მალაგა | 18 | 4 | 9 | 5 | 22:24 | -2 | 21 | 9 | 3 | 4 | 2 | 14:12 | 2 | 13 | 9 | 1 | 5 | 3 | 8:12 | -4 | 8 |
| 14 | ალავესი | 18 | 5 | 6 | 7 | 22:29 | -7 | 21 | 9 | 4 | 3 | 2 | 12:7 | 5 | 15 | 9 | 1 | 3 | 5 | 10:22 | -12 | 6 |
| 15 | ბილბაო | 18 | 6 | 3 | 9 | 26:34 | -8 | 21 | 9 | 4 | 1 | 4 | 12:12 | 0 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 14:22 | -8 | 8 |
| 16 | რასინგი | 18 | 6 | 2 | 10 | 20:24 | -4 | 20 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 11 | 9 | 3 | 0 | 6 | 8:14 | -6 | 9 |
| 17 | ოსასუნა | 18 | 5 | 5 | 8 | 19:24 | -5 | 20 | 9 | 4 | 1 | 4 | 9:9 | 0 | 13 | 9 | 1 | 4 | 4 | 10:15 | -5 | 7 |
| 18 | რაიო | 18 | 5 | 3 | 10 | 18:26 | -8 | 18 | 10 | 2 | 3 | 5 | 12:14 | -2 | 9 | 8 | 3 | 0 | 5 | 6:12 | -6 | 9 |
| 19 | ესპანიოლი | 18 | 5 | 2 | 11 | 19:28 | -9 | 17 | 9 | 4 | 1 | 4 | 13:11 | 2 | 13 | 9 | 1 | 1 | 7 | 6:17 | -11 | 4 |
| 20 | უელვა | 18 | 2 | 5 | 11 | 14:35 | -21 | 11 | 9 | 1 | 3 | 5 | 9:17 | -8 | 6 | 9 | 1 | 2 | 6 | 5:18 | -13 | 5 |

**XIX ტური**
**26 იანვარი**

ვალიადოლიდი — ალავესი
ოსასუნა — რასინგი
ბეტისი — ვილიარეალი
ესპანიოლი — დეპორტივო
ბილბაო — რეალი
ატლეტიკო — სოსიედადი
სელტა — ბარსელონა
ვალენსია — სევილია
მალაგა — მალიორკა
უელვა — რაიო ვალეკანო

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 12 |
| კლუივერტი (ბარსელონა) | 11 |
| ნიჰათი (სოსიედადი) | 10 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 10 |
| პანდიანი (მალიორკა) | 10 |
| ფ. ტორესი (ატლეტიკო) | 9 |
| ურსაისი (ბილბაო) | 9 |

### სეგუნდადივიზიონი

### XIX ტური

**ხერესი 2:2 ტერასა**

0:1 მონტი (4), 1:1 დანი პენდინი (9), 1:2 ხუან კარლოსი (31), 2:2 კალე (47)

**პოლი ეხიდო 1:1 ხეტაფე**

0:1 კრაიოვიანუ (30), 1:1 პოშნერი (60)

**მურსია 2:0 ტენერიფე**

1:0 ისმაელი (3), 2:0 ტიტო (32)

**ლეგანესი 5:2 ალმერია**

1:0 ფედე მარინი (12), 2:0 მიგელ ანხელი (18), 3:0 ლამბეა (23), 3:1 ჩერვიანი (43), 3:2 ფრანსისკო (69პ), 4:2 ფედე ბაონი (83), 5:2 კალანდრია (90)

**ლევანტე 1:0 ფეროლი**

1:0 ჟოფრე (50)

**სპორტინგი 1:0 ეიბარი**

1:0 კ. დიასი (48)

**ელჩე 0:1 ბადახოსი**

0:1 ზე ტო (61)

**ალბასეტე 0:0 სარაგოსა**

**ლას პალმასი 0:0 ნუმანსია**

**სალამანკა 0:0 ოვიედო**

**კორდობა 0:0 კომპოსტელა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სარაგოსა | 19 | 9 | 7 | 3 | 22:16 | 34 |
| მურსია | 19 | 9 | 6 | 4 | 24:8 | 33 |
| ლევანტე | 19 | 8 | 9 | 2 | 29:18 | 33 |
| ალბასეტე | 19 | 7 | 10 | 2 | 24:15 | 31 |
| ელჩე | 19 | 6 | 9 | 4 | 23:14 | 27 |
| სალამანკა | 19 | 6 | 8 | 5 | 12:10 | 26 |
| ტერასა | 19 | 5 | 11 | 3 | 20:19 | 26 |
| ხერესი | 19 | 7 | 5 | 7 | 20:20 | 26 |
| ეხიდო | 19 | 6 | 8 | 5 | 18:18 | 26 |
| სპორტინგი | 19 | 6 | 8 | 5 | 16:17 | 26 |
| ალმერია | 19 | 6 | 7 | 6 | 22:29 | 25 |
| ლას პალმასი | 19 | 5 | 9 | 5 | 22:22 | 24 |
| ფეროლი | 19 | 5 | 8 | 6 | 17:21 | 23 |
| ლეგანესი | 19 | 4 | 10 | 5 | 20:20 | 22 |
| ტენერიფე | 19 | 3 | 13 | 3 | 18:18 | 22 |
| ეიბარი | 19 | 5 | 7 | 7 | 14:18 | 22 |
| ბადახოსი | 19 | 6 | 4 | 9 | 13:25 | 22 |
| კომპოსტელა | 19 | 4 | 9 | 6 | 19:19 | 21 |
| ხეტაფე | 19 | 5 | 6 | 8 | 26:27 | 21 |
| ნუმანსია | 19 | 4 | 7 | 8 | 17:23 | 19 |
| კორდობა | 19 | 2 | 9 | 8 | 10:18 | 15 |
| ოვიედო | 19 | 3 | 6 | 10 | 17:28 | 15 |

# პრიმერაკორიდა

## შაბათი. ბარსელონა





# ის რჩება?!

## გასპარმა და ვან გაალმა კატალონია გაახარეს: ტორეადორივით წითელ ნაჭერს უფრიალებენ

### მილეწ-მოლეწილი „ბარსელონა“ და „კამპ ნოუ“

**მატჩი** დარბევით დასრულდა. ათასამდე ბარსელონელი ქომაგი საპატიო სტუმართა ლოჟაში შეჭრასა და ხუან გასპართან ანგარიშსწორებას შეეცადა. კი, ამგვარი ინციდენტები ადრეც მომხდარა, მაგრამ ასეთი მასობრივი არასდროს ყოფილა — აქამდე ქომაგები ბევრად მცირერიცხოვან ჯგუფებად მოქმედებდნენ.

ქომაგებს ლოჟასთან პოლიცია არ დახვედრია, რაკი დასაცავი აღარავინ იყო — გასპარმა და სხვა ბობოლებმა დროულად გააღწიეს სამშვიდობოს. მაგრამ გაავებული ხალხი მსხვერპლს ეძებდა და მათი რისხვა რატომღაც ჟურნალისტებს დაატყდათ თავს — ორი რეპორტიორი სერიოზულად დაშავდა, ხოლო კატალონიის მთავრობაში სპორტის საქმეების გამგებელს ხოსეპ მალდონადოს რაღაც მძიმე საგნით თავი გაუტეხეს. ამის მერე დალეწილი სკამების და ჩამსხვრეული მინების თვლა ზედმეტიც კი არის.

გეხსომებათ, შემოდგომაზე ლუიშ ფიგუსთვის ბოთლებისა და გოჭის თავის სროლის გამო „კამპ ნოუს“ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ სასჯელის აღსრულება გადაიდო — კლუბმა აპელაცია შეიტანა და მის განხილვას ელოდებიან. ამ უქმეებზე მომხდარის მერე კი საეჭვოა, „ბარსას“ აპელაციას ვინმემ ყური ათხოვოს.

— მომხდარს აუცილებლად გამოვიძიებთ და დამნაშავეებს კლუბის წევრობიდან მოვკვეთთ — განაცხადა „ბარსას“ მეხუთე ვიცე-პრეზიდენტმა ხუან მოლასმა, დირექტორატის ერთადერთმა წევრმა, რომელმაც კომენტარისგან თავი არ შეიკავა. მატჩის შედეგზე კი მან მხოლოდ ეს განაცხადა: „ჩვენ ჩემპიონთა ლიგა გვრჩება...“

უცნაური მატჩი იყო: მაშინაც კი, როცა „ბარსელონა“ ინიციატივას ეუფლებოდა, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ „ვალენსია“ მთელი თავით უკეთესი იყო. ეს შთაბეჭდილება არც მეორე ტაიმში გაქარწყლებულა, როცა მასპინძლებმა იერიშებს უმატეს, ხოლო სტუმრები ათი კაცით თამაშობდნენ. პირველი ტაიმის მიწურულს, დეკემბრის მერე უთამაშებელმა სანტიაგო კანისარესმა საჯარიმოს გარეთ წააქცია მასთან პირისპირ შეყრილი პატრიკ კლუივერტი.

„ბარსელონას“ რბევა პაბლო აიმარმა დაიწყო, ვინც მატჩისწინა ინტერვიუში ალალად გაიკვირვა, ვერ გამიგია, ვან გაალი რიკელმეს და სავიოლას რად არ ათამაშებსო. „ბარსას“ არგენტინელები ვან გაალმა შეცვლაზე მაშინ შეიყვანა, როცა ფაქტობრივად ყველაფერი დამთავრებული იყო.

აიმარმა კი პირველ წუთებზევე გაიტანა. ფაბიო როჩემბაკმა სულელურად დაკარგა ბურთი, რითაც რუბენ ბარახამ ისარგებლა და აიმარს საგოლე პასი გაუჭრა. შემდეგ უკვე აიმარის კუთხურით იონ კარეუმ გაიტანა.

„ვალენსიას“ კართანაც შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი, ოვერმარსს და ხავის შეეძლოთ გატანა, მაგრამ ეს საქმე ტიაგო მოტას ფეხით გაკეთდა კანისარესის გაძევებამდე მცირე ხნით ადრე.

შესვენების მერე მასპინძელთა მცდელობა, თამაში გარდაეტეხათ, ამაო გამოდგა, სამაგიეროდ, ფაბიო აურელიომ და ფრანსისკო რუფეტემ ანგარიში დამცინავი გახადეს და კლუივერტის ბოლო წუთის გოლი „კამპ ნოუზე“ არავის გაჰხარებია — გინდ ყოფილიყო, გინდ არა.

ამ დროისთვის ტრიბუნებზე უკვე აფრიალებდნენ თეთრ ცხვირსახოცებს და გაჰკიოდნენ, გასპარი და ვან გაალი აქაურობას მოცილდნენო.

სხვათა შორის, საყოველთაო რისხვის გარდა, ვან გაალი მთელი კატალონიის დასაცინიც გახდა. პროვინციაში განთქმულმა მუსიკოსმა ხუან მანუელ სერატმა, „ბარსელონას“ თავგადაკლულმა ფანმა (მასზე ადრეც ვწერდით) კლუბის ხელმძღვანელობის და მწვრთნელის მიმართ საგინებელი ეპითეტები არ დაიშურა და „ბარსას“ სპორტული და ფინანსური პოლიტიკა მიწასთან გაასწორა.

ვან გაალს პრესკონფერენციაზე სერატის ნათქვამის კომენტარი სთხოვეს. ჰოლანდიელმა უპასუხა, რომ „ბარსელონას“ ფან-კლუბში ასი ათასზე მეტი წევრია და თითოეულის აზრს ვერ გაითვალისწინებს.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ იცით ვინც არის სერატა? — შეუბრუნა კითხვა ჟურნალისტმა.

— ცხადია. მე ძალიან მომწონს მისი, პავაროტის და კარერასის სიმღერები, ისინი უდიდესი ტენორები არიან და სახლში მათი დისკიც მაქვს.

აღმოჩნდა, რომ ვან გაალს ხუან მანუელ სერატა პლასიდო დომინგო ჰგონებია.

ერთი მხრივ, თითქოს რა მოხდა, ფეხბურთის მწვრთნელი შეიძლება ვერ ერკვეოდეს საოპერო მუსიკაში, ხოლო უცხოელი — ესპანურ კულტურაში. თუმცა ვან გაალის ამ შეცდომამ მთელი კატალონია გააოგნა: სერატა არათუ ცნობილი კატალონიელი მუსიკოსი და „ბარსას“ თავგადაკლული ქომაგია, გამორჩეული მატჩების წინ მოედანზეც გადის და კლუბის ჰიმნს ასრულებს. ისე, ფეხბურთი პლასიდო დომინგოსაც უყვარს, მაგრამ საქმე ისაა, რომ დომინგო „რეალის“ ქომაგია და დეკემბერში „სამეფო კლუბის“ ასწლოვან იუბილეზე სწორედ მან იმღერა „სანტიაგო ბერნაბეუზე“.

და მიუხედავად ამისა და „ვალენსიასთან“ სამარცხვინოდ წაგებისა, ხუან გასპართან საუბრის შემდეგ ჰოლანდიელმა განაცხადა: „მე ვრჩები. ამასთანავე ახალ ფეხბურთელებსაც არ მოვიწვევთ, რადგან ახლანდელ შემადგენლობას ბოლომდე ვენდობით“.

„ბარსელონას“ გასავარდნ ზონასთან ხუთი ქულა აშორებს.



REUTERS ბარსელონიდან

სანტიაგო კანისარესისა და პატრიკ კლუივერტის ეს შეჯახება ვალენსიელთა მეკარის გაძევებით დასრულდა

## კვირა. მადრიდი

# ოჰ, სადაც ხილიც მივიდა


M
DERBI TOTAL

**მატჩის დღეს** მადრიდული TVE-სთვის რომ გეყურებინათ, იფიქრებდით, სამყაროს ცენტრი მადრიდშია და ამ კვირა დღეს მსოფლიოში თუ რამ მნიშვნელოვანი ხდება, უპირველესად მადრიდული დერბიაო. საინფორმაციო პროგრამებში გამუდმებით აჩვენებდნენ პოლიციელთა მზადებას: სირენიანი მანქანები ჯგუფ-ჯგუფად დაჰქროდნენ ესპანეთის დედაქალაქში, ცხენოსანი პოლიცია კი ზემოდან დაჰყურებდა ჯგუფ-ჯგუფად მოსიარულე ფეხბურთის ქომაგებს, აქაოდა, ჭკვიანად იყავითო. სპორტული კომენტატორები ინტერვიუებს ართმევდნენ ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და პრეზიდენტებს. ერთი სიტყვით, სამი წლის მერე მადრიდი დიდი დერბისთვის ემზადებოდა.

სრულიად უნიკალური ამბავი: ხესუს ხილი ხილს, რაც „ატლეტიკოს“ პრეზიდენტია, არადა, რაც თავი ახსოვს სულ პრეზიდენტია, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფეხი არ შეუდგამს და ახლა მივიდა. თავად თამაშიც არადერბულად დაიწყო, ხვევნა-კოცნით.

„რეალი“ ზედიზედ მეშვიდე მოგებას ეშურებოდა, მაგრამ ყველაფერი ისე წავიდა, ხალხს 2000 წლის 1 ნოემბერი გაახსენდა. იმ დღეს „რეალმა“ ბოლოჯერ წააგო საკუთარ სტადიონზე და იმ მატჩშიც „მალიორკას“ მწვრთნელი ლუის არაგონესი გახლდათ. მოკლედ, რობერტო კარლოსმა ხოსე მარისთან საჰაერო ორთაბრძოლაში მაჰქარა და პენალტი დაინიშნა, რომელიც ხოსე მარის მსგავსად ყოფილმა მადრიდელმა ხავი მორენომ გოლად აქცია. სულ რაღაც ერთი წუთის მერე კი ივან ელგერა იმავ მორენოს უკნიდან ისე დაეძგერა, უმალ წითელი ბარათი აუფრიალეს — „რეალს“ მე-12 წუთზე რომ ორი ასეთი უბედურება დაატყდა, თითქოს მერე რაღა უნდა დამართოდა.

რა და, ის, რომ გუნდი გამოერკვა და ამ სეზონში უკვე რამდენჯერმე ჩადენილი გმირობა გაიმეორა. თითქოს განწირული თამაში სათავისოდ შეატრიალა და შესვენებისას ორი საპასუხო ჰქონდა გატანილი. ორივე გოლი ლუიშ ფიგუმ გაიტანა, რომელიც ბოლო ხანს იშვიათად ბრწყინავს, მაგრამ როცა ბრწყინავს, მისი გამჩერებელი არავინაა.

პირველი გოლისას პორტუგალიელი ხოსე ანტონიო გარსია კალვოს გასცდა და საჯარიმოს კუთხიდან დაარტყა. მერე კი გარსია კალვომ რობერტო კარლოსი წააქცია და პენალტის ნიშნულთან ფიგუ მივიდა.

გარსია კალვო, ფიგუ და რობერტო კარლოსი მეორე ტაიმშიც გამოსარჩევი ხალხი იყო. ატლეტიკოელმა პენალტი რომ აიკიდა, არ იკმარა და ფიგუ ისე წააქცია, ელგერას გზას გაუყენეს. რობერტო კარლოსმა კი კიდევ ერთი პენალტი მოინადირა, ფიგუმ კი გააფუჭა. აქ შევჩერდეთ და ვახსენოთ „ატლეტიკოს“ თამაგრძელი მეკარე ხერმან ბურგოსი, რომელმაც ფიგუს ლიდერად დარტყმულ ბურთს სახე შეაგება და მერე ხუთიოდე წუთი ცხვირში ტამპონებს სჩრიდნენ, სისხლი კი სდიოდა და სდიოდა. თამაშთან რა კავშირი აქვს, მაგრამ რამდენიმე კვირის წინ TVE-ზე ბურგოსის კონცერტი აჩვენეს (შეთავსებით როკ-მუსიკოსია) და გემოვნებაზე თუ არ ვიკამათებთ, ცუდი ვერაფერი მომღერალია.

ამის მერე ნერვიულობამ კიდევ უფრო იმატა და ერთადერთი ადამიანი, ვინც მშვიდად იყო, ლუის არაგონესი გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, „ატლეტიკოს“ მხცოვანი მწვრთნელი სკამიდან არ ამდგარა, გამრიგელად აბოლებდა სიგარეტს და ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ... თვლემდა.

ბოლოს კი მესამე ყოფილი მადრიდელი ვახსენოთ. ფიგუმ წესი დაარღვია და საჯარიმოს შესრულება, საკმაოდ შორიდან, დემეტრიო ალბერტინიმ ითავა. დაარტყა, მაგრამ რა დაარტყა: ბურთი ახლო კუთხეში წავიდა, იკერ კასილიასმა თითის წვერით მოიგერია, ხარიხას მოხვდა, მერე ისევ კასილიასს და კარში შევარდა. მე-5 წამატებული წუთი მიდიოდა. აი, აქ კი იკადრა არაგონესმა წამოხტომა და ხელების ქნევა. თუმცა რაღა არაგონესი, როცა VIP ლოჟაში ხესუს ხილმაც იგივე გააკეთა, ფლორენტინო პერესს ეცა და, ხომ გაგიტანეო — ხილია, ეპატიება.

ვისენტე დელ ბოსკემ კი თქვა, ნაღდი დერბი სწორედ ასეთი უნდა იყოსო.

**გიორგი დარჯანია**



მიჩელ სალგადომ და სერხიმ ბურთი ვერ გაიყვეს

## იტალია

### სერია A. XVII ტური

**მილანი 2:1 პიაჩენცა**

0:1 გურენკო (53), 1:1 პირლო (54პ), 2:1 რივალდო (69)

მილანი: დიდა, შიმიჩი, კოსტაკურტა, მალდინი, კალაძე, ამბროზინი, პირლო, სერჟინიო (ზეედორფი 16), რივალდო, შევჩენკო (ტომასონი 70), ფ. ინძაგი (გატუზო 89)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

პიაჩენცა: გუარდალბენი (ორლანდონი 45), კარდონე, ბოზელი, მანგონე, გურენკო, რიზო (ფერარეზე 73), მარესკა, დი ფრანჩესკო (რინალდი 81), ტოსტო, დე ჩეზარე, უბნერი

მწვრთნელი: ანდრეა აგოსტინელი

გაფრთხილება: გურენკო, მანგონე, კარდონე, ამბროზინი

მსაჯი: დე სანტისი

50 000 მაყურებელი

**ლაციო 2:1 უდინეზე**

1:0 ლოპესი (27), 1:1 მუცი (40), 2:1 ფიორე (45)

ლაციო: პერუცი, პანკარო, ნეგრო, სტამი, ფავალი, ფიორე (ლივერანი 87), ჯანიკედა, დ. სტანკოვიჩი, სორინი (სიმეონე 60), კ. ლოპესი (ოდო 90), კორადი

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

უდინეზე: დე სანტისი, ბერტოტო, სენსინი, კროლდრუპი, ალბერტო, პინცი (იანკულოვსკი 78), დ. პიზარო, პიერი (ჯემიტი 71), მუცი, იაკინტა (ვარლეი 46), იორგენსენი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პანკარო, სტანკოვიჩი, კორადი, იანკულოვსკი, სენსინი

გაძევება: ალბერტო (81)

მსაჯი: პელეგრინო

45 000 მაყურებელი

**პერუჯა 4:1 ინტერი**

1:0 ზე მარია (9პ), 2:0 ვრიზასი (34), 3:0 ფუზანი (55), 4:0 ვრიზასი (63), 4:1 ვიერი (79პ)

პერუჯა: კალაჩი, სოლიანო, ვიალი, მილანეზე, ზე მარია, ტედესკო, ბლაზი (გატი 88), ფუზანი, გროსო, მიკოლი (ბერეტონი 85), ვრიზასი (კარაჩოლო 75)

მწვრთნელი: სერსე კოზმი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, ფ. კანავარო, კოკო (პასკუალე 46), ს. კონსეისაუ (მატერაცი 64), დი ბიაჯო, ალმეიდა (მორფეო 57), ემრე, ვიერი, კალონი

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: კორდობა, ბლაზი, სოლიანო, გროსო, კარაჩოლო, კალაჩი

გაძევება: დი ბიაჯო (71)

მსაჯი: ბერტინი

20 000 მაყურებელი

**კიევო 1:4 იუვენტუსი**

0:1 ტრეზეგე (11), 0:2 დელ პიერო (21პ), 0:3 ტრეზეგე (68), 1:3 კოსატო (72), 1:4 ტრეზეგე (86პ)

*დელ პიერომ ვერ გაიტანა პენალტი (52, ააცილა)*

კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლორენცი, დანა, ს. ლანა (პეზარეზი 70), დელა მორტე (ლაზეტიჩი 46), პეროტა (პელისიერი 58), კორინი, დ. ფრანჩესკინი, ბირმოფი, ფ. კოსატო

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა, მონტერო, ძამბროტა, ამორანეზი, ა. კონტე (ტაკინარდი 78), დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო (დი ვაიო 79), ტრეზეგე

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: მორო

გაძევება: ბირმოფი (76)

მსაჯი: რაკალ ბუტო

34 544 მაყურებელი

**ატალანტა 2:1 რომა**

0:1 ტოტი (9), 1:1 დონი (40), 2:1 ტრამეძანი (87)

ატალანტა: ტაიბი, სივილია, ნატალი, სალა, ბელინი (ტრამეძანი 79), დ. ძენონი, ბერეტა (გაუტიერი 69), დაბო, დონი (პინარდი 85), როსინი, ინაჩიო პია

მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი

რომა: პელიცოლი, პანუჩი, ვ. სამუელი, ალდაირი, კანდელა (ბომბარდინი 87), კაფუ, დაკური, ემერსონი, ტოტი (კუფრე 74), მონტელა (ტომიჩი 46), დელვეკიო

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: ემერსონი, ბერეტა, ემერსონი, ნატალი, სამუელი, ტომიჩი

გაძევება: ემერსონი (20), კაპელო (75, „რომას" მწვრთნელი)

მსაჯი: ტრენტალანჯე

18 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:0 ბოლონია**

1:0 სავოლდი (15)

რეჯინა: ბელარდი, ჟირანეკი, ვარგასი, ი. ფრანჩესკინი, ფალზინი (პიერინი 73), კოცა, მამედე, პარედესი, ნაკამურა (მოცარტი 90), სავოლდი, დი მიკელე (მორაბიტო 58)

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო (კ. ამორუზო 73), ძანკი, მ. კასტელინი, ნერვო, ოლივე, ლ. კოლუჩი, პარამატი (ვანოლი 46), ლოატელი, ბელუჩი (სინიორი 46), ხ. კრუზი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი

გაფრთხილება: სავოლდი, მამედე, კოლუჩი, პარამატი, ძანკი, ფალზინი

მსაჯი: როზეტი

23 000 მაყურებელი

**პარმა 2:0 ემპოლი**

1:0 ჯილარდინო (13), 2:0 მუტუ (82)

პარმა: ფრეი, ბენარივო, ბონერა, ფერარი, ჟუნიორი, ლამუში, ბარონე, ე. ფილიპინი, ნაკატა (ბრეშიანო 89), ჯილარდინო (ადრიანო 69), მუტუ

მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი

ემპოლი: ბერტი, ბელერი, კრიბარი, ლუკინი, კუპი, ჯამპიერეტი, გრელა (კაპელინი 61), ბუშე (ტავანო 67), ვანუკი, აგოსტინი (დი ნატალე 46), როკი

მწვრთნელი: სილვიო ბალდინი

გაფრთხილება: ბენარივო, გრელა, კრიბარი, მუტუ

მსაჯი: კოლინა

15 000 მაყურებელი

**ტორინო 0:0 კომო**

ტორინო: ბუჩი, კომოტო (მანტოვანი 46), ფატორი, მეცანო, პ. კასტელინი, ბალძარეტი, დე აშენტისი, ვერგასოლა, კონტიო, კ. ლუკარელი (ფრანკო 30; მაგალიანესი 74), ფერანტე

მწვრთნელი: რენცო ულივიერი

კომო: ბრუნერი, სტელინი, ტარანტინო, ჟუარესი, ბინოტო, კოე, კორენტი, პეკია, მუსიჩი, ბიელანოვიჩი (კარბონე 85), კაჩა

მწვრთნელი: ეუჯენიო ფაშეტი

გაფრთხილება: კონტიკიო, ჟუარესი, ბიელანოვიჩი

მსაჯი: ტომბოლინი

15 000 მაყურებელი

**მოდენა 0:0 ბრეშა**

მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, პავანი, კამპედელი (ჯ. კოლუჩი 61), სკოპონი (მილანეტო 61), ალბინო, მაური, ბალესტრი, სკული (დ. კამარა 70), ფაბრინი

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

ბრეშა: სერენი, ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი, პიზანო (შოპი 30), ა. ფილიპინი, მატუზალემი, აპია, ბაკინი, რ. ბაჯო, ტარე (ტონი 80)

მწვრთნელი: კარლო მაცონე

გაფრთხილება: პიზანო, შოპი, მატუზალემი, მაიერი

მსაჯი: საკანი

15 000 მაყურებელი

# ვერონის ავდარი იუვეს დარია



REUTERS ფოტოქრონიკა

კიევო — იუვენტუსი. ალესანდრო დელ პიერომ კრისტიანო ლუპატელის ორი პენალტიდან ერთი გაუტანა

**„ინტერი"** ჯერ კიდევ კვირას დილით სად იყო ხომ გახსოვთ? „მილანთან" ერთად ცხრილს ედგა სათავეში, ახლა კი მესამეზეა, რადგან „პერუჯამ" არც მეტი, არც ნაკლები, 4:1 დაიჭრინა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მილანი", რომელმაც „პიაჩენცას" 2:1 აჯობა, უახლოეს მდევრებს უკვე ბურთების სხვაობით კი არა, ქულებით უსწრებს.

ერთი სიტყვით, იტალიის ჩემპიონატის მე-17 ტურის სენსაცია პერუჯაში მოხდა. პირველ ტაიმში ბრაზილიელმა ზე მარიამ და ბერძენმა ვრიზასმა, მეორეში კი ფუზანიმ და ისევ ვრიზასმა შეყარეს „შავ-ლურჯთა" კარში გოლები. პასუხად „ინტერმა" ერთი შეაგდო, რაც კრისტიან ვიერიმ პენალტით შეძლო. მილანელებმა მსაჯის გადაწყვეტილება ორჯერ გააპროტესტეს. ერთხელ იმიტომ, რომ პირველი გოლი, მათი აზრით, პერუჯელებმა დაუმსახურებელი პენალტით გაიტანეს (ხელით არ გვითამაშიაო), მეორედ კი იმიტომ, რომ მეორე გოლი ვრიზასს მათ კარში სხეულის ხელისმაგვარი ნაწილით გაუტანია.

„ინტერის" არგენტინელმა მწვრთნელმა, ექტორ რაულ კუპერმა თავისი ბიჭების დაბნევა სწორედ ვრიზასის ამ გოლს დააბრალა:

„ბიჭები რომ დაიბნენ, მეტწილად ჩვენს კარში გასული მეორე გოლის ბრალი გახლდათ". — თქვა მან.

კიდევ, მილანელი ლუიჯი დი ბიაჯო მოედნიდან გააძევეს. გაძევებების გასწვრივ ხშირად ვკითხულობთ, მიზეზი მეორე ყვითელი ბარათი იყოო, მაგრამ ამჯერად ასე არ მომხდარა — დი ბიაჯოს გაძევების მიზეზი პირველივე ბარათი გახლდათ, რადგან იგი ძალიან წითელი იყო. აი, ასე დასრულდა „შავლურჯების" შავი კვირა, რომელიც ერნან კრესპოს მძიმე ტრავმით დაიწყო. მოგეხსენებათ, კრესპოს შემცვლელად „ინტერის" ბანაკში მისი თანამემამულე გაბრიელ ბატისტუტა მიიჩნიეს — „რომაში" მოთამაშე ვეტერანი მილანში ხელშეკრულებისა და პირობების გასაცნობად გუშინ ჩავიდა.

ვერონაში კი „იუვენტუსი" „კიევოს" ესტუმრა. მე-11 წუთზე დავიდ ტრეზეგემ გახსნა ანგარიში. „კიევოს" მეკარემ, კრისტიანო ლუპატელიმ ალესანდრო დელ პიეროს დარტყმა მოიგერია, მაგრამ ბურთი ტრეზეგემ იხელთა და ახლოდან დაარტყა.

გოლიდან ცხრა წუთის შემდეგ სტადიონზე საშინელი ნისლი ჩამოწვა, რომელმაც დელ პიეროს შეუწყო ხელი — მასპინძელმა მცველმა ფაბიო მორომ საჯარიმოში პაველ ნედვედი წააქცია, დელ პიერომ კი პენალტით შეაგდო. შესვენებიდან შვიდ წუთში დელ პიერომ მორიგი პენალტი კარს გადააცილა, თუმცა 68-ე წუთზე ტრეზეგეს საუცხოო პასი მიაწოდა და ასე გავიდა მესამე გოლი.

72-ე წუთზე ფედერიკო კოსატომ 1:3 გახადა, თუმცა ეს მცირე სიხარული მხოლოდ ოთხწუთიანი გამოდგა — 72-ზე ვერონელი გერმანელი ოლივერ ბირჰოფი არაგერმანული საქციელისთვის, პროტესტისა და თავშეუკავებლობისთვის წითელი ბარათით დასაჯეს. ბოლოს კი ტრეზეგემ ჰეთ თრიქი შეასრულა. ეს გახლდათ „კიევოს" კარში დანიშნული მესამე პენალტი, რომელიც დასანიშნი იყო თუ არა, მხოლოდ იტალიური კალჩოს ღვთაებამ იცის — მორომ, რომელიც პირველ ტაიმში ერთხელ უკვე გახლდათ თერთმეტმეტრიანის მიზეზი, შეცვლაზე შესული მარკო დი ვაიო წააქცია.

„რომამ" წააგო... ფაბიო კაპელოს ნერვების დასაგლეჯად მისი ფეხბურთელებისთვის უკვე სულერთია თავიდან იგებენ, აგებენ თუ რა ხდება, საბოლოოდ გახარებული მეტოქეა. ბერგამოშიც ასე იყო, მე-9 წუთზე „რომას" კაპიტანმა, ფრანჩესკო ტოტიმ გახსნა ანგარიში, თუმცა მე-12-ზე მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი ემერსონი წითელი ბარათის გამო მოედნიდან გააძევეს და ტაიმის ბოლოს „ატალანტამ", კერძოდ კი კრისტიანო დონიმ ანგარიში გაათანაბრა. შემდეგი გოლიც, ოღონდ უკვე თამაშის ბოლოს, ისევ „რომას" კარში შევარდა — პაოლო ტრამეძანიმ თავისიანები გასავარდნთა ზონიდან გაიყვანა.

„ლაციომ" კი „უდინეზეს" მოუგო 2:1. სტეფანო ფიორეს პასით ანგარიში არგენტინელმა კლაუდიო ლოპესმა გახსნა. სტუმრებმა რობერტო მუცის ჩინებული გოლის წყალობით გაქვითეს, მაგრამ პირველი ტაიმის წამატებულ წუთებში „უდინეზე" ყოფილმა ნახევარმცველმა, აწ რომაელმა ფიორემ ახლოდან გამარჯვების გოლი შეაგდო.

სტატისტიკა მეტყველებს, რომ „ლაციოს" 16 თამაშია არ წაუგია.

**პაატუნა ძედია**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 მილანი | 17 | 12 | 3 | 2 | 34:11 | 23 | 39 | 9 | 8 | 1 | 0 | 18:2 | 16 | 25 | 8 | 4 | 2 | 2 | 16:9 | 7 | 14 |
| 2 ლაციო | 17 | 10 | 6 | 1 | 33:16 | 17 | 36 | 9 | 3 | 5 | 1 | 18:11 | 7 | 14 | 8 | 7 | 1 | 0 | 15:5 | 10 | 22 |
| 3 ინტერი | 17 | 11 | 3 | 3 | 33:20 | 13 | 36 | 8 | 6 | 1 | 1 | 14:4 | 10 | 19 | 9 | 5 | 2 | 2 | 19:16 | 3 | 17 |
| 4 იუვენტუსი | 17 | 10 | 5 | 2 | 32:13 | 19 | 35 | 8 | 4 | 3 | 1 | 16:7 | 9 | 15 | 9 | 6 | 2 | 1 | 16:6 | 10 | 20 |
| 5 კიევო | 17 | 10 | 2 | 5 | 28:17 | 11 | 32 | 9 | 6 | 1 | 2 | 17:9 | 8 | 19 | 8 | 4 | 1 | 3 | 11:8 | 3 | 13 |
| 6 ბოლონია | 17 | 7 | 6 | 4 | 19:14 | 5 | 27 | 8 | 7 | 0 | 1 | 14:5 | 9 | 21 | 9 | 0 | 6 | 3 | 5:9 | -4 | 6 |
| 7 პარმა | 17 | 7 | 5 | 5 | 29:19 | 10 | 26 | 9 | 6 | 1 | 2 | 18:9 | 9 | 19 | 8 | 1 | 4 | 3 | 11:10 | 1 | 7 |
| 8 უდინეზე | 17 | 7 | 5 | 5 | 16:16 | 0 | 26 | 8 | 4 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 16 | 9 | 3 | 1 | 5 | 8:12 | -4 | 10 |
| 9 რომა | 17 | 6 | 5 | 6 | 28:25 | 3 | 23 | 8 | 3 | 3 | 2 | 16:11 | 5 | 12 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | -2 | 11 |
| 10 ემპოლი | 17 | 6 | 4 | 7 | 24:24 | 0 | 22 | 9 | 2 | 3 | 4 | 12:15 | -3 | 9 | 8 | 4 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 13 |
| 11 პერუჯა | 17 | 6 | 4 | 7 | 22:23 | -1 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:5 | 9 | 16 | 9 | 1 | 3 | 5 | 8:18 | -10 | 6 |
| 12 მოდენა | 17 | 6 | 2 | 9 | 12:24 | -12 | 20 | 8 | 3 | 2 | 3 | 6:8 | -2 | 11 | 9 | 3 | 0 | 6 | 6:16 | -10 | 9 |
| 13 ბრეშა | 17 | 4 | 6 | 7 | 19:26 | -7 | 18 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:10 | 0 | 9 | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | -7 | 9 |
| 14 ატალანტა | 17 | 3 | 5 | 9 | 17:29 | -12 | 14 | 9 | 3 | 2 | 4 | 12:15 | -3 | 11 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:14 | -9 | 3 |
| 15 პიაჩენცა | 17 | 3 | 4 | 10 | 14:26 | -12 | 13 | 9 | 2 | 2 | 5 | 9:15 | -6 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:11 | -6 | 5 |
| 16 რეჯინა | 17 | 3 | 4 | 10 | 14:32 | -18 | 13 | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 12 | 8 | 0 | 1 | 7 | 3:20 | -17 | 1 |
| 17 ტორინო | 17 | 2 | 4 | 11 | 9:30 | -21 | 10 | 9 | 2 | 2 | 5 | 4:14 | -10 | 8 | 8 | 0 | 2 | 6 | 5:16 | -11 | 2 |
| 18 კომო | 17 | 0 | 7 | 10 | 9:27 | -18 | 7 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:14 | -9 | 3 | 9 | 0 | 4 | 5 | 4:13 | -9 | 4 |

### XVIII ტური

26 იანვარი

| | | |
|---|---|---|
| მოდენა | - | ატალანტა |
| პერუჯა | - | კიევო |
| ინტერი | - | ემპოლი |
| უდინეზე | - | მილანი |
| ბრეშა | - | პარმა |
| იუვენტუსი | - | პიაჩენცა |
| ლაციო | - | რეჯინა |
| კომო | - | რომა |
| ბოლონია | - | ტორინო |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვიერი (ინტერი) | 13 |
| ტოტი (რომა) | 11 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 11 |
| კ. ლოპესი (ლაციო) | 10 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 8 |
| კრუზი (ბოლონია) | 8 |
| ადრიანო (პარმა) | 8 |
| მუტუ (პარმა) | 8 |

## სერია B

### XIX ტური

**ბარი 1:1 ვერონა**

1:0 სპინეზი (61), 1:1 ხ. სალგადო (74პ)

**კატანია 2:1 კალიარი**

1:0 ოლივეირა ბაროსო (2), 1:1 კამარატა (28პ), 2:1 ტალდო (82)

**კოზენცა 2:1 ჯენოა**

1:0, 2:0 გვიდონი (14, 57პ), 2:1 ნიკულესკუ (90)

**ნაპოლი 1:0 მესინა**

1:0 სტელონე (17)

**პალერმო 2:0 ლეჩე**

1:0, 2:0 დი ნაპოლი (24, 90)

**სამპდორია 4:0 ვენეცია**

1:0 ვალტოლინა (21), 2:0 პედონე (60), 3:0 ვოლპი (78პ), 4:0 ჟივკოვიჩი (90)

**სიენა 3:0 სალერნიტანა**

1:0 ტირიბოკი (1), 2:0 ჟირარდელო (33), 3:0 ტირიბოკი (46)

**ტრიესტინა 3:1 ასკოლი**

1:0 ფავა (22), 1:1 ბრუნო (39), 2:1, 3:1 ფავა (51, 63)

**ვიჩენცა 1:0 ტერნანა**

1:0 მარჯოტა (18)

**ანკონა — ლივორნო**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრიესტინა | 19 | 10 | 6 | 3 | 32:20 | 36 |
| სამპდორია | 19 | 8 | 8 | 3 | 27:17 | 32 |
| ლივორნო | 18 | 10 | 2 | 6 | 24:14 | 32 |
| სიენა | 19 | 8 | 8 | 3 | 22:15 | 32 |
| ლეჩე | 19 | 7 | 10 | 2 | 22:16 | 31 |
| ვიჩენცა | 19 | 7 | 8 | 4 | 27:24 | 29 |
| კალიარი | 19 | 8 | 4 | 7 | 19:21 | 28 |
| პალერმო | 19 | 7 | 6 | 6 | 20:21 | 27 |
| მესინა | 19 | 7 | 5 | 7 | 29:26 | 26 |
| ანკონა | 18 | 6 | 8 | 4 | 26:23 | 26 |
| ტერნანა | 19 | 7 | 5 | 7 | 19:19 | 26 |
| ასკოლი | 19 | 6 | 6 | 7 | 20:22 | 24 |
| ვერონა | 19 | 5 | 8 | 6 | 24:22 | 23 |
| ჯენოა | 19 | 5 | 7 | 7 | 23:22 | 22 |
| კატანია | 19 | 6 | 3 | 10 | 23:31 | 21 |
| ვენეცია | 19 | 5 | 6 | 8 | 18:27 | 21 |
| კოზენცა | 19 | 5 | 5 | 9 | 18:23 | 20 |
| ნაპოლი | 19 | 3 | 9 | 7 | 20:28 | 18 |
| ბარი | 19 | 2 | 11 | 6 | 14:18 | 17 |
| სალერნიტანა | 19 | 3 | 3 | 13 | 14:32 | 12 |

## სერია C1/A

მე-20 ტური: არეცო — პრო პატრია 2:2; ჩეზენა — ალბინოლეფე 1:0; ლუკეზე — ალძანო 0:1; ლუმეცანე — ტრევიზო 0:2; პადოვა — კარარეზე 1:0; პიზა — პრატო 0:0; რეჯანა — სპალ 0:0; სპეცია — ჩიტადელა 1:2; ვარეზე — პისტოიეზე 0:0

## სერია C1/B

მე-20 ტური: კიეტი — ფერმანა 0:2; კროტონე — აკილა 1:2; ჯულიანოვა — პატერნო 2:1; ტორესი — აველინო 0:0; სორა — ლანჩანო 0:1; ტარანტო — მარტინა 0:1; პეზარო — ბენევენტო 1:1; ვიტერბეზე — ტერამო 1:0. *პესკარა — სამბენედეტეზე ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე)*

# იტალიის ჩემპიონატი

## მეჩვიდმეტე ტურის მატჩი

## მილანი 2:1 პიაჩენცა

კახა კალაძე: 90 წუთი, გააფრთხილეს

# ოი, დიდა!

**ალესანდრო ნესტა** დისკვალიფიცირებული გახლდათ, ამიტომ დაცვის ცენტრში პაოლო მალდინის მეწყვილეობა ალესანდრო კოსტაკურტამ ითავა. კიდევ, კარლო ანჩელოტიმ ამ შეხვედრაში მიზანშეწონილად რივალდოს თამაში მიიჩნია და შესაბამისად, რუი კოშტა სათადარიგოთა სკამზე დასვა. წინ ფილიპო ინძაგი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ იტალიის ნაკრების ცნობილი ფორვარდი ამ დღეს თავისი მშობლიური ქალაქის გუნდს დაუპირისპირდა.

„მილანმა“ ღონივრად დაიწყო, მაგრამ ოთხ წუთში მის მეკარეს, დიდას უკვე ორჯერ ჰქონდა კარი გადარჩენილი. თითქოს პარადოქსია, არა? პირველად ბრაზილიელმა გოლკიპერმა ბოზელის თავური მოიგერია, მეორედ კი უბნერის აკრობატული დარტყმა.

შემდეგ, სერჟინიოს წინააღმდეგ უხეშობისთვის მსაჯმა პიაჩენცელი სერგეი გურენკო გააფრთხილა. სერჟინიოს ამ ეპიზოდში კოჭი ეტკინა და სულ მალე შესაცვლელი შეიქნა. აღსანიშნავია, რომ სერჟინიო ინძაგის გარემარბი-მეწყვილის როლს ასრულებდა, რის გამოც შევჩენკო კონკრეტული დავალებისგან თავისუფალი გახლდათ, ხოლო რივალდო უფრო უკნიდან მოქმედებდა.

მე-20 წუთზე ინძაგიმ ის გოლი გაიტანა, რომელიც არ ჩაუთვალეს და, ვინაიდან, ამ მომენტში ოფსაიდი მაინცდამაინც აშკარა არ გახლდათ, გოლის არჩათვლამ ერთგვარი კამათი გამოიწვია.

„პიაჩენცა“ უშიშრად თამაშობდა და როდესაც უტევდა, „მილანის“ დაცვას არ ულხინდა, ხოლო იქითა კართან იყო ეპიზოდი, როდესაც რივალდომ თავით კინაღამ გახსნა ანგარიში — სტუმართა მეკარემ, მატეო გუარდალბენმა საუცხოო რეაქციით მოიგერია ბურთი. მოგერიებით კი მოიგერია და კარგი მეკარეც გახლავთ, მაგრამ მალე დაშავდა და შეცვალეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში „პიაჩენცას“ კონტრშეტევით შეეძლო ანგარიშის გახსნა, თუმცა ენცო მარესკამ ვერ გაიტანა, ისევ დიდამ იყოჩაღა. და მაინც, სტუმრები მალე დაწინაურდნენ, სერგეი გურენკომ მომენტი იხელთა და ბურთი მილანელთა კარში შეაგდო.

გათანაბრებით კი, „მილანმა“ პენალტით გაათანაბრა და პენალტი იმიტომ დაინიშნა, რომ მარესკამ საჯარიმოში ინძაგი წააქცია. თერთმეტი მეტრიდან ანდრეა პირლომ იყოჩაღა.

მაგრამ მატჩის გმირობა იმ დღეს დიდას ეწერა — დარიო უბნერის ახლოდან დარტყმულსაც გაართვა ბრაზილიელმა თავი.

თუმცა, ანგარიშიდან ვიცით, რომ საბოლოოდ „მილანმა“ გაიმარჯვა, რაც პირლოს დიდი დამსახურებაა. მან რამდენიმე მოწინააღმდეგე მოატყუა და რივალდოს მისთვის მოხერხებულ პოზიციაში ისეთი პასი მიაწოდა, რომ ყოფილ ბარსელონელს გოლის გატანა გაუიოლდა.

**ბაკურა ძიძია**



რივალდოს გოლი კახა კალაძემ ასე მიულოცა


სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“
რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.
(ორშაბათის და პარასკევის გარდა)
ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14




ლანსი — სედანი. სტუმრებს ოთხიდან ერთი ჯონ უტაკამაც (მარჯვნივ) უტაკა

# სედანი ოთხზე დააყენეს

## საფრანგეთი

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**მონპელიე 0:0 ოსერი**

**ლანსი 4:0 სედანი**

1:0 დ. მორეირა (20), 2:0 უტაკა (38), 3:0 კეიტა (42), 4:0 სიბიერსკი (90)

**ლე ავრი 1:1 სტრასბური**

0:1 პ. ლორენი (20), 1:1 სინამა-პონგოლე (51)

**გადადებული** სამი მატჩიდან ერთი უხვგოლიანი გამოდგა. „ლანსმა“ „სედანი“ არ დაინდო და საამოდ საცქერი გოლებით გაუმასპინძლდა.

დანიელ მორეირამ საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა, რასაც ტაიმის მიწურულს ჯონ უტაკას მცველებთან ჯაჯგურში გატანილი მეორე მოჰყვა. მეტოქის კარს გაცემა არ აცალა და მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ სეიდუ კეიტამ სხვაობა სამამდე გაზარდა.

მეორე ტაიმში ოდენ ერთი აკმარეს „სედანს“ — ანტუან სიბიერსკიმ ბოლო წუთზე იხეირა.

„მონპელიემ“ და „ოსერმა“ ქულები ისე გაიყვეს, ერთმანეთისთვის არ გაუტანიათ. პოტენციურმა „ლიდერმა“ სტუმრად ორი ქულა დაკარგა. მიუხედავად ამისა, ერთი სათადარიგო თამაშის მოგების შემთხვევაში პირველობა შეუძლია.

მესამე მატჩში დაძირულმა „ლე ავრმა“ ესოდენ სანუკვარი სამი ქულის მოხელთება ვერ შეძლო. ეს კი არა, სტრასბურელები პიერ ლორენის გოლით პირველი ტაიმის შემდეგ იგებდნენ. მეორეში მასპინძლებმა ფლორენ სინამა პონგოლემ გამთანაბრებლით გადაარჩინა და „ლე ავრი“, სამს ვინ ჩივის, კინკილა ქულამაც გაახარა.

**გაგა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიცა | 22 | 10 | 8 | 4 | 28:16 | 38 |
| მარსელი | 22 | 11 | 5 | 6 | 23:20 | 38 |
| ლიონი | 22 | 10 | 6 | 6 | 37:27 | 36 |
| ოსერი | 21 | 10 | 6 | 5 | 22:17 | 36 |
| მონაკო | 22 | 9 | 8 | 5 | 32:20 | 35 |
| სოშო | 21 | 9 | 7 | 5 | 23:14 | 34 |
| გენგამი | 22 | 10 | 4 | 8 | 31:28 | 34 |
| პსჟ | 22 | 8 | 8 | 6 | 30:21 | 32 |
| ლანსი | 21 | 8 | 7 | 6 | 22:19 | 31 |
| ბორდო | 21 | 8 | 6 | 7 | 26:20 | 30 |
| ნანტი | 20 | 8 | 4 | 8 | 23:24 | 28 |
| ბასტია | 22 | 8 | 4 | 10 | 23:28 | 28 |
| ლილი | 21 | 7 | 7 | 7 | 20:26 | 28 |
| სტრასბური | 21 | 7 | 7 | 7 | 24:31 | 28 |
| რენი | 22 | 7 | 5 | 10 | 21:25 | 26 |
| სედანი | 21 | 6 | 6 | 9 | 23:30 | 24 |
| აიაჩო | 22 | 4 | 8 | 10 | 17:28 | 20 |
| ლე ავრი | 22 | 4 | 8 | 10 | 15:26 | 20 |
| მონპელიე | 22 | 3 | 9 | 10 | 19:30 | 18 |
| ტრუა | 21 | 3 | 7 | 11 | 14:23 | 16 |

### II დივიზიონი

**მე-20 ტური:** გრენობლი — ვასკეალი 3:0; ტულუზი — ლორიანი 3:1; ლე მანი — რეიმსი 1:1; ლორიანი — ისტრი 1:0; ნიორი — გრენობლი 1:0; ვალანსი — კლერმონი 4:1; მეცი — ტულუზი 0:0; ამიენი — ნიორი 1:0; შატორუ — კაენი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე მანი | 20 | 11 | 6 | 3 | 28:16 | 39 |
| ტულუზი | 21 | 11 | 5 | 5 | 27:14 | 38 |
| შატორუ | 20 | 10 | 5 | 5 | 24:18 | 35 |
| ლორიანი | 21 | 10 | 4 | 7 | 25:23 | 34 |
| მეცი | 20 | 9 | 6 | 5 | 22:16 | 33 |
| გრენობლი | 21 | 7 | 9 | 5 | 25:14 | 30 |
| ნიორი | 21 | 8 | 5 | 8 | 22:21 | 29 |
| კრეტეი | 19 | 6 | 10 | 3 | 26:19 | 28 |
| ამიენი | 20 | 7 | 5 | 8 | 16:17 | 26 |
| ვალანსი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:23 | 25 |
| ბოვე | 19 | 6 | 6 | 7 | 11:10 | 24 |
| ლავალი | 19 | 6 | 6 | 7 | 18:20 | 24 |
| ვასკეალი | 20 | 5 | 9 | 6 | 16:19 | 24 |
| კლერმონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:30 | 23 |
| სენტ ეტიენი | 19 | 5 | 7 | 7 | 15:16 | 22 |
| კაენი | 20 | 4 | 10 | 6 | 21:24 | 22 |
| ისტრი | 20 | 5 | 7 | 8 | 18:33 | 22 |
| რეიმსი | 20 | 3 | 10 | 7 | 16:22 | 19 |
| გენიონი | 19 | 4 | 6 | 9 | 13:22 | 18 |
| ნანსი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:27 | 17 |

# მეცმა პატრონი დაიფრინა

### ლიგის თასი. 1/16 ფინალი

**ნანსი 1:0 ვასკეალი**

### ლიგის თასი. 1/8 ფინალი

**გენგამი 3:3დ.დ. (პენ.2:4, 1:1) ნანტი**
**ბოვე 0:1 მონაკო**
**ლილი 0:0დ.დ. (პენ.3:1) ნიმი**
**მეცი 1:0 ბორდო**
**სენტ ეტიენი 3:2 ლე მანი**
**სოშო 3:3დ.დ. (პენ.5:3, 3:3) ლიონი**
**მარსელი 4:0 კრეტეი**

**საფრანგეთის** ლიგის თასის მერვედფინალიდან ქვეყნის ჩემპიონი „ლიონი“ და ამ თასის ამჟამინდელი პატრონი „ბორდო“ ჩამოიშორეს.

ჩემპიონატში შინ დაუმარცხებელმა „სოშომ“ „ლიონს“ „შავი“ ათწუთეული მოუწყო — ცხრა წუთში სანტოსმა ორჯერ გაიტანა. მასპინძლებმა მიღწეული იკმარეს და დაისაჯნენ. სიდნეი გოვუმ ტაიმის მიწურულს, პეგი ლუინდულამ კი მეორის დასაწყისში თითოჯერ იხეირეს. იშტაზე მოსულმა სტუმრებმა დამხვდურებს ჯიგრიანად შეუტიეს და გოვუმ „ლიონი“ დააწინაურა. მერე „სოშოს“ ჯერი დადგა — სანტოსმა გაასამა. საქმე თერთმეტმეტრიანებზე მიდგა, რომელშიც ლიონელები დამარცხდნენ.

„მარსელს“ „კრეტეის“ ძლევა არ გასჭირვებია. ოთხი გოლიდან ორი პირველ და ბოლო წუთებზე გავიდა, დმიტრი სიჩევმა კი ახალ გუნდში უკვე პირველი გოლის გატანა მოასწრო.

„ნანტს“ „გენგამთან“ დამატებითი დრო თითქოს არ უნდა დასჭირვებოდა, მაგრამ ფლორენ მალუდამ მსაჯის მიერ წამატებულში გაათანაბრა.

მერე ისევ „ნანტი“ დაწინაურდა. ნიკოლა ჟილეს ზუსტ თეთრმეტმეტრიანს სამიოდ წუთში პიერ ივ ანდრემ მესამეც მიაყოლა. „გენგამი“ მაინც არ გატყდა და ორბურთიანი სხვაობა სედრიკ ბარდონისა და იმავე მალუდას წყალობით გაქვითა. ორჯერ გადარჩენილი მატჩის საბოლოოდ მოგება მასპინძლებმა ვერ შეძლეს, რადგან პენალტებში სტუმრებმა იძალეს. გადამწყვეტი დარტყმა ერიკ ლანდრომ ერიკ ჯემბა-ჯემბას აუღო. მატჩი რომ დამთავრდა, ნანტელთა მეკარემ თქვა, ძირითად დროში უნდა მოგვეგო, გავწვალდით, მაგრამ არა უშავს, მთავარია, მიზანს მივაღწიეთო.

თასის მფლობელი „ბორდო“ „მეცმა“ გააგდო. გრეგორი პრომენის კინკილა გოლს ჟირონდელებმა იმიტომ ვერ უპასუხეს, რომ იმ დღეს მატჩის გადამრჩენებს არ ჰგავდნენ.

კაცნაკლულმა „მონაკომ“ დადო არსოს მიერ მერვე წუთზევე გატანილი ბოლომდე შეინარჩუნა და „ბოვე“ შეიწირა.

მესამელიგელი „ნიმი“ „ლილს“ გვარიანად გაუძალიანდა. უგოლოდ დასრულებული მატჩის ბედი პენალტების სერიაში გაირკვა. აღმოჩნდა, რომ მესამელიგელებს თერთმეტმეტრიანების კარგად შესასრულებლად ვარჯიში სჭირდებათ.

**გაგა ხუციშვილი**



გენგამი — ნანტი. სედრიკ ბარდონი (ბურთით) და სილვენ არმანი

# კაპიტულაცია

## რანიერიმ გზა ეშმაკ ხუანს და ეშმაკ ანგელოზს დაულოცა



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — ჩელსი. დიეგო ფორლანის სამქულიანი დარტყმა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXIV ტური

**არსენალი 3:1 ვესტ ჰემი**

1:0 ანრი (143), 1:1 დეფო (40), 2:1, 3:1 ანრი (71, 86)
**არსენალი:** სიმენი, ლორენი, ს. კემპბელი, ვან ბრონკჰორსტი, ვილტორდი (ჯეფერსი 87), ჟილბერტო სილვა, ედუ (პარლოუ 68), პირესი, ანრი, ბერხკამპი (ლუჟნი 87)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
**ვესტ ჰემი:** ჯეიმსი, ბრინი, ი. პირსი, დეილი, უინტერბერნი (მინტო 82), ბოიერი, ლომასი, ე. სისე (მონკუ 85), ტ. სინკლერი, ჯ. კოული, დეფო
მწვრთნელი: გლენ რიოდერი
გაფრთხილება: ბერხკამპი, ლორენი, პარლოუ, ბრინი
გაძევება: ლომასი (13)
მსაჯი: დინი
38 053 მაყურებელი

**ფულემი 1:0 მიდლსბრო**

1:0 დევისი (39)
**ფულემი:** მაიკ ტეილორი, ფინანი, ბრევეტი, ჯეტუ, გომა, გოლდბეკი, ლეგვინსკი, შ. დევისი, მალბრანკი, სავა (ბოა მორტე 90), მარლე
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
**მიდლსბრო:** შვარცერი, კედრუ, საუთგეიტი, ვიდმარი, პარნაბი, ჯერემი, უილსონი, უილკშირი (ჟობი 46), გრინინგი, მაკარონე, ველანი (ნემეტი 64)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: საუთგეიტი
მსაჯი: ჰელსი
14 253 მაყურებელი

**მანჩესტერ იუნ. 2:1 ჩელსი**

0:1 გუდიონსენი (30), 1:1 სქოულზი (39), 2:1 ფორლანი (90)
**მანჩესტერ იუნ:** ბარტეზი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, უესლი ბრაუნი, სილვესტრი (ვერონი 85), ბექემი, როი კინი, სქოულზი, ფ. ნევილი (გიგზი 46), ვან ნისტელროი (ფორლანი 71), სოლსკიაერი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**ჩელსი:** კუდიჩინი, გალასი, მელხიოტი, დესაი, ლე სო, გრონკიაერი (დე ლუკასი 56), ე. პეტი, ლამპარდი, ბაბაიარო, ჰასელბაინკი (ძოლა 16), გუდიონსენი (ზენდენი 84)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
მსაჯი: დარკინი
67 606 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:0 მანჩესტერ სიტი**

1:0 შირერი (1), 2:0 ბელამი (64)
**ნიუკასლი:** გივენი, ა. ჰიუზი, კოლდუელი, დაბიზასი, ბერნარი, სოლანო (კერი 90), ჯენასი, დაიერი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
**მანჩესტერ სიტი:** ნეში, რ. დანი, ჰაუი, დისტინი, ჟიხაი (მაკენი 69), ბენარბია, ფოუ, ჰორლოკი, ნ. იენსენი, ანელკა, გოტერი (ბელმადი 60)
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ჟიხაი
მსაჯი: პოლი
52 152 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 0:1 ლივერპული**

0:1 ჰესკი (14)
**საუთჰემპტონი:** ნიემი, ტელფერი, მიხაელ სვენსონი, ლუნდეკვამი, ბრიჯი (დელგადო 80), ფ. ფერნანდესი, დელაპი, მარსდენი (ა. სვენსონი 61), ოკლი, ბიტი, ტესემი (ორმეროდი 61)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
**ლივერპული:** კირკლენდი, კარაგერი, ჰიიპია, ანშო, ტრაორე, დ. მერფი, ჯერარდი, დიუფი, რიისე, ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ა. სვენსონი, მერფი
მსაჯი: ბენეტი
32 104 მაყურებელი

**ევერტონი 2:1 სანდერლენდი**

0:1 კილბეინი (34), 1:1, 2:1 მაკბრაიდი (51, 57)
**ევერტონი:** რ. რაიტი, პისტონე, ვეირი, სტაბსი, ანსუორთი, უოტსონი, ტიე (გრავესენი 46), ჯემილი, ნეისმიტი, მაკბრაიდი (კ. კემპბელი 75), რაძინსკი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
**სანდერლენდი:** სორენსენი, დ. უილიამსი, კრადოკი, ბები, მაკკარტნი, ტორნტონი, გ. მაკკანი, ტირლველი (არკა 65), კილბეინი, ფლო (პროქტორი 73), ფილიპსი
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
გაფრთხილება: ჯემილი, ვეირი, კრადოკი, მაკკანი, ბები
მსაჯი: დოუდი
37 409 მაყურებელი

**ლიდსი 0:0 ვესტ ბრომვიჩი**

**ლიდსი:** პ. რობინსონი, გ. კელი, რადებე, მატეო, ლუკიჩი, ა. სმიტი, ბაკე (ს. ჯონსონი 70), ოკონი (ფაულერი 79), უილკოქსი (მილნერი 69), ვიდუკა, კიუელი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
**ვესტ ბრომვიჩი:** ჰოულტი, დ. მური, ჯილკრისტი, გრეგანი, ბალიში (უოლვორკი 35), მაკინესი, კუმასი (სიგურდსონი 77), ჯ. ჯონსონი, კლემენტი, დიჩიო, დობი (მაქს ჰიუზი 63)
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: ე. ჯონსონი, ე. ჯონსონი, სმიტი
გაძევება: ე. ჯონსონი (74)
მსაჯი: რენიე
39 708 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:1 ტოტენჰემი**

0:1 შერინგემი (69)
**ასტონ ვილა:** ენკელმანი, მ. დილანი, მელბერგი, იონსენი, ჯ. სამუელი, ჰიცლსპერგერი, ლ. ჰენდრი (დე ლა კრუზი 46), ი. ტეილორი, ბერი, დაბლინი (კრუში-78), გ. მური (ვასელი 46)
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
**ტოტენჰემი:** კელერი, ტარიკო, კინგი, რიჩარდსი, კარი, პოიეტი (ფრიინდი 81), ანდერტონი, ს. დევისი, ბუნიევჩევიჩი, შერინგემი, რობი კინი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: დილანი, ანდერსონი, ბუნიევჩევიჩი, კინი
მსაჯი: ბერი
38 576 მაყურებელი

**ბლექბერნი 1:1 ბირმინგემი**

1:0 დაფი (19), 1:1 ჯონი (83)
**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ტოდი, მარტინ ტეილორი, მაკიველი, ტომპსონი, ფლიტკროფტი, თუგაი, დაფი, ენდი კოული (იანსენი 73), იორკი (ნ. იოჰანსონი 35)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
**ბირმინგემი:** ბენეტი, კენა (ჯონი 75), ვიკერსი (დევლინი 35), მ. ჯონსონი (კიროვსკი 65), კლემპი, დ. ჯონსონი, ა. სისე, სევიჯი, ლაზარიდისი, დიუგარი, მორისონი
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
გაფრთხილება: ნაილი, თუგაი, დიუგარი, კლემპი, ლაზარიდისი
გაძევება: ტოდი (28)
მსაჯი: უილკისი
23 331 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:1 ბოლტონი**

1:0 ფიში (47), 1:1 ჟორკაეფი (85)
**ჩარლტონი:** დ. კელი, იანგი (კონჩესკი 57), რუფუსი, ფიში, კ. პაუელი, კიშიშევი, იუელი, პარკერი, კ. იენსენი (ჯ. იოჰანსონი 88), ლისბი, ბარტლეტი (მ. სვენსონი 88)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
**ბოლტონი:** იასკელაინენი, ბერნესი (ფეისი 77), ბერგსონი, უიტლოუ, ჩარლტონი, ნოლანი, ფრანდსენი, რ. გარდნერი, ჟორკაეფი, პედერსენი (მენდი 68), რიკეტსი
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
მსაჯი: ელერეი
26 057 მაყურებელი

**პრემიერლიგის** კიდევ ერთი შაბათ-კვირა მოილია, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მაინც ვერ შეამცირა ხუთქულიანი სხვაობა ლიდერ „არსენალთან“.

„მანჩესტერს“ ტურის ყველაზე ამოდ საცქერი მატჩი ჰქონდა „ჩელსისთან“ „ოლდ ტრეფორდზე“ და აგებდა კიდეც: ეიდურ გუდიონსენმა საუცხოოდ გადაატარა ბურთი გაწოლილ ბარტეზს, გამჭოლი პასი კი ემანუელ პეტიმ გააზერხა. თუმცა, ლონდონელთა წინ ყოფნა მხოლოდ ცხრა წუთს გაგრძელდა, ერთ ეპიზოდში მათმა მეკარემ კარლო კუდიჩინიმ აუტისკენ მოიგერია ბურთი, ოღონდ მოედანს გარეთ გასვლა ბურთს დევიდ ბექჰემმა არ აცალა, სწრაფადვე ჩააზრიალა საჯარიმოში და იქედან პოლ სქოულზმა ჩააჭედა კარში. მეტი იღბლის შემთხვევაში კუდიჩინი ამ შეხვედრის გმირი იქნებოდა, რადგან ორი სრულიად მკვდარი ბურთი მოიგერია მეორე ტაიმში და ამას თუ სოლსკიაერის ძელსაც მივათვლით, იღბალი მაინც „ჩელსის“ მხარეს წარმოგვიდგება.

ალექს ფერგიუსონმა ჯერ რაიან გიგზი შეუშვა მოედანზე, მერე დიეგო ფორლანი, თამაშის დასრულებამდე ხუთიოდ წუთით ადრე კი ხუან ვერონი. შემცვლელებმა უკვე მერამდენედ გაუმართლეს სერ ალექსს: მსაჯმა პოლ დარკინმა სამი წუთი დაამატა და ამ სამ წუთში ვერონმა მოახერხა ეშმაკურად, ბრწყინვალედ აეჭრა ბურთი საჯარიმოსკენ, ფორლანმა კი ეს ბურთი კარში ჩააჭედა.

„დღეიდან საჩემპიონო ბრძოლა „არსენალსა“ და „მანჩესტერს“ შორის მიმდინარეობს“ — თქვა კლაუდიო რანიერიმ ამ თამაშის შემდეგ. „ჩელსიმ“ მართლაც გადამწყვეტი შეხვედრა წააგო და ახლა ძალიან გაუჭირდება, რომ ტიტულისთვის ბრძოლის განწყობა შეინარჩუნოს. თანაც, რანიერის გუნდი მესამე საფეხურიდან თამაშნაკლულმა „ნიუკასლმა“ ჩამოაცურა, რომელმაც შინ მანჩესტერის „სიტის“ მოუგო. ალან შირერმა უკვე მეათე წამზე დააწინაურა თუნის ლაშქარი და მერეც შეძლო გაეტანა.

სიტიელთაგან ალი ბენარბიას შეეძლო გათანაბრება, თუმცა გოლი კვლავ სტუმართა კარში გავიდა — კრეიგ ბელამი ლორან რობერის კროსს შეეგება. ერთი ამბავი იყო „ჰაიბერის“ სტადიონზე, სადაც ტიერი ანრიმ ჰეთ თრიქი შეასრულა „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ და ლიგის მოგოლეთა სიას მოექცა სათავეში.

„სამი ქულა ბედნიერებაა ჩვენთვის“, აღიარა არსენ ვენგერმა, მეოთხმოცე წუთამდე ხომ ფრე იყო.

უკვე მე-18 წუთზე „ვესტ ჰემს“ სტივ ლომასი გაუძევეს რობერ პირესის საჯარიმოში მოცელვისთვის და ანრიმაც პენალტით გახსნა ანგარიში, მაგრამ ჯერმენ დეფომ მშვენიერი გოლი გაუტანა მასპინძლებს.

მე-80 წუთზე დენის ბერხკამპმა საზეში იდაყვი ჰკრა ლი ბოიერს, ჩამოიცილა და ჩაწოლა. ეს საგოლე ჩაწოდება იყო და „მეთოფენი“ დაწინაურდნენ. ბერხკამპმა თამაშის შემდეგ იუარა, ძალით არ მიქნიაო, თუმცა ყველამ იცის მისი მეტსახელი — „ეშმაკი ანგელოზი“ და მსაჯიც ალბათ ამიტომ ვერ გაერკვა თამაშისთვის ამ გადამწყვეტ მომენტში. „ვესტ ჰემი“ ამ გოლმა გატეხა. ფეხბურთის ასოციაცია ამ შემთხვევას საგანგებოდ გამოიკვლევს, თუმცა გლენ რიოდერის გუნდს ამით არაფერი შეემატება. ამასობაში კი, საუთჰემპტონის „სენტ მერიზე“ დასრულდა ერთი უშნოდ გაწელილი ამბავი, თერთმეტტურიანი შესვენების შემდეგ ემილ ჰესკის თავურით „ლივერპულმა“ მოიგო და არა მხოლოდ მოიგო, არამედ, ერთი თავითაც სჯობდა ბოლოხანს წამოქაჩულ მასპინძლებს.

მოგების გარეშე თერთმეტი ტური „ლივერპულმა“ ბოლოს ნახევარი საუკუნის წინ ჩაატარა.

„ჩვენ არ ვიმსახურებდით ასეთ შედეგს. ეს დღესაც გამოჩნდა“ — ხარობდა ჟერარ ულიე.

თუმცა „ლივერპული“ მაინც ჩამორჩება თანაქალაქელ „ევერტონს“, რომელსაც ნამდვილი ოქროს [illegible] ამერიკელი ბრაიან მაკბრაიდის სახით. ამერიკელმა თავის სადებიუტო მატჩშიაც გაიტანა „ტოტენჰემის“ კარში, ახლა კი დუბლით მოაგებინა თავის ახალ გუნდს „სანდერლენდთან“. ზედიზედ მოიგო „ტოტენჰემმაც“, რომელსაც „ასტონ ვილასთან“ 1986 წლის შემდეგ არ მოეგო გასვლითი მატჩი, ახლა კი სტივ კარის ჩაწოდებამ და ტედი შერინგემის უცვეთმა ფეხმა ეს ნავსიც გატეხა.

ასეთი იყო ეს ტური, რომელშიაც „ფულემმაც“ კი მოიგო, ხოლო „ლიდსმა“ ვერაფერი მოუხერხა „ვესტ ბრომვიჩს“. უქმეების ულამაზესი გოლი კი ბოლტონელმა იური ჯორკაეფმა გაიტანა მაკრატელათი, რითაც მისმა გუნდმა ქულა წაიღო ჩარლტონიდან.



REUTERS მანჩესტერიდან

კლაუდიო რანიერი:
ჩემპიონი? ან „მანჩესტერი“, ან „არსენალი“

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 24 | 16 | 4 | 4 | 52:25 | 27 | 52 | 13 | 11 | 1 | 1 | 31:12 | 19 | 34 | 11 | 5 | 3 | 3 | 21:13 | 8 | 18 |
| 2 მანჩესტერი | 24 | 14 | 5 | 5 | 40:24 | 16 | 47 | 13 | 11 | 1 | 1 | 25:8 | 17 | 34 | 11 | 3 | 4 | 4 | 15:16 | -1 | 13 |
| 3 ნიუკასლი | 23 | 13 | 3 | 7 | 39:31 | 8 | 42 | 12 | 11 | 0 | 1 | 23:7 | 16 | 33 | 11 | 2 | 3 | 6 | 16:24 | -8 | 9 |
| 4 ჩელსი | 23 | 11 | 8 | 4 | 41:21 | 20 | 41 | 11 | 7 | 3 | 1 | 23:7 | 16 | 24 | 12 | 4 | 5 | 3 | 18:14 | 4 | 17 |
| 5 ევერტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 30:29 | 1 | 39 | 12 | 7 | 4 | 1 | 18:12 | 6 | 25 | 12 | 4 | 2 | 6 | 12:17 | -5 | 14 |
| 6 ლივერპული | 24 | 10 | 8 | 6 | 32:23 | 9 | 38 | 12 | 5 | 6 | 1 | 17:9 | 8 | 21 | 12 | 5 | 2 | 5 | 15:14 | 1 | 17 |
| 7 ტოტენჰემი | 24 | 11 | 5 | 8 | 35:34 | 1 | 38 | 11 | 7 | 3 | 1 | 21:14 | 7 | 24 | 13 | 4 | 2 | 7 | 14:20 | -6 | 14 |
| 8 საუთჰემპტონი | 24 | 9 | 9 | 6 | 27:23 | 4 | 36 | 13 | 7 | 5 | 1 | 18:9 | 9 | 26 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 10 |
| 9 ბლექბერნი | 24 | 8 | 10 | 6 | 30:26 | 4 | 34 | 13 | 5 | 5 | 3 | 18:14 | 4 | 20 | 11 | 3 | 5 | 3 | 12:12 | 0 | 14 |
| 10 სიტი | 24 | 10 | 4 | 10 | 32:34 | -2 | 34 | 11 | 6 | 1 | 4 | 18:16 | 2 | 19 | 13 | 4 | 3 | 6 | 14:18 | -4 | 15 |
| 11 მიდლსბრო | 24 | 8 | 6 | 10 | 27:24 | 3 | 30 | 12 | 7 | 5 | 0 | 23:11 | 12 | 26 | 12 | 1 | 1 | 10 | 4:13 | -9 | 4 |
| 12 ჩარლტონი | 23 | 8 | 6 | 9 | 26:30 | -4 | 30 | 11 | 4 | 3 | 4 | 14:15 | -1 | 15 | 12 | 4 | 3 | 5 | 12:15 | -3 | 15 |
| 13 ასტონ ვილა | 24 | 8 | 5 | 11 | 22:25 | -3 | 29 | 13 | 8 | 1 | 4 | 18:9 | 9 | 25 | 11 | 0 | 4 | 7 | 4:16 | -12 | 4 |
| 14 ლიდსი | 23 | 8 | 4 | 11 | 29:29 | 0 | 28 | 11 | 3 | 2 | 6 | 11:14 | -3 | 11 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:15 | 3 | 17 |
| 15 ფულემი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:27 | -3 | 27 | 12 | 6 | 2 | 4 | 14:10 | 4 | 20 | 11 | 1 | 4 | 6 | 10:17 | -7 | 7 |
| 16 ბირმინგემი | 24 | 6 | 8 | 10 | 20:32 | -12 | 26 | 11 | 3 | 4 | 4 | 11:14 | -3 | 13 | 13 | 3 | 4 | 6 | 9:18 | -9 | 13 |
| 17 ბოლტონი | 23 | 4 | 9 | 10 | 24:38 | -14 | 21 | 11 | 2 | 6 | 3 | 13:16 | -3 | 12 | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | -11 | 9 |
| 18 სანდერლენდი | 24 | 4 | 7 | 13 | 16:34 | -18 | 19 | 11 | 3 | 2 | 6 | 7:13 | -6 | 11 | 13 | 1 | 5 | 7 | 9:21 | -12 | 8 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 23 | 4 | 5 | 14 | 17:35 | -18 | 17 | 11 | 3 | 3 | 5 | 10:15 | -5 | 12 | 12 | 1 | 2 | 9 | 7:20 | -13 | 5 |
| 20 ვესტ ჰემი | 23 | 3 | 8 | 12 | 24:43 | -19 | 17 | 12 | 0 | 6 | 6 | 11:18 | -7 | 6 | 11 | 3 | 2 | 6 | 13:25 | -12 | 11 |

### გადადებული მატჩები

22 იანვარი
ჩარლტონი — ვესტ ჰემი
ნიუკასლი — ბოლტონი

XXV ტური

28 იანვარი
ბირმინგემი — მანჩესტერი
მიდლსბრო — ასტონ ვილა
ვესტ ბრომვიჩი — ჩარლტონი

29 იანვარი
ჩელსი — ლიდსი
მანჩესტერ სიტი — ფულემი
ტოტენჰემი — ნიუკასლი
ვესტ ჰემი — ბლექბერნი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 17 |
| ბიტი (საუთჰემპტონი) | 15 |
| შირერი (ნიუკასლი) | 14 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 10 |
| რობი კინი (ტოტენჰემი) | 10 |
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ვან ნისტელროი (მანჩესტერი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 9 |
| კიუელი (ლიდსი) | 9 |

### პირველი დივიზიონი

#### XXIX ტური

**სტოკი 1:3 დერბი კაუნთი**

0:1 კრისტი (50), 1:1 გრინაკრი (63), 1:2 ზავანო (74), 1:3 მორისი (90)
**დერბი კაუნთი:** გრანტი, ჯექსონი, ევატი, ჰიგინბოთემი, ზავანო, ბოლდერი, ბარლი, კინკლაძე (მიურეი 90), ბოერტიენი, კრისტი (ტუდგეი 90), მორისი (მაკლეოდი 90)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
17 308 მაყურებელი

**უოტფორდი 2:1 ნორვიჩი**

1:0 ნილსენი (45), 1:1 კოქსი (53 პ.კ.), 2:1 ჰელგუსონი (90)

**ბრაიტონი 1:1 პორტსმუთი**

1:0 ზამორა (54), 1:1 ტოდოროვი (64)

**კრისტალ პალასი 1:1 ბარნლი**

0:1 ტეილორი (44), 1:1 პოპოვიჩი (62)

**ჯილინგემი 3:2 ლესტერი**

1:0 შოუ (32), 2:0 ელიოტი (45), 2:1 სინკლერი (50), 2:2 რაიტი (61), 3:2 სიდიბე (86)

**გრიმსბი 0:2 მილუოლი**

0:1, 0:2 კლარიჯი (43, 84პ)

**იფსვიჩი 3:0 პრესტონი**

1:0 დ. ბენტი (30), 2:0, 3:0 მ. ბენტი (74, 86)

**ნოტინგემი 1:1 კოვენთრი**

1:0 უილიამსი (33), 1:1 სარა (87)

**რედინგი 0:0 უოლსოლი**

**როტერჰემი 3:2 ბრედფორდი**

0:1 იორგენსენი (2), 1:1 მაკინტოში (21), 2:1 გარნერი (50), 3:1 ბიფილდი (60), 3:2 გრეი (62პ)

**ვულვერჰემპტონი 1:1 უიმბლდონი**

1:0 მილერი (43), 1:1 ფრენსისი (46)

**შეფილდ იუნ. 3:1 შეფილდ უენსდი**

0:1 ქუინი (47), 1:1 კაბა (62), 2:1 ბრაუნი (65), 3:1 ელისონი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 30 | 17 | 10 | 3 | 56:30 | 61 |
| შეფილდი | 28 | 16 | 7 | 5 | 43:26 | 55 |
| ლესტერი | 29 | 16 | 7 | 6 | 44:29 | 55 |
| ქოვენთრი | 30 | 12 | 10 | 8 | 38:32 | 46 |
| ნოტინგემი | 29 | 12 | 8 | 9 | 43:30 | 44 |
| ნორვიჩი | 29 | 12 | 8 | 9 | 39:27 | 44 |
| როტერჰემი | 30 | 12 | 8 | 10 | 50:39 | 44 |
| იფსვიჩი | 29 | 12 | 8 | 9 | 46:35 | 44 |
| კრ. პალასი | 29 | 10 | 13 | 6 | 43:31 | 43 |
| რედინგი | 28 | 13 | 4 | 11 | 28:26 | 43 |
| უოტფორდი | 30 | 12 | 7 | 11 | 35:45 | 43 |
| ვულვზი | 29 | 11 | 9 | 9 | 46:32 | 42 |
| მილუოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 39:45 | 41 |
| ბარნლი | 29 | 11 | 8 | 10 | 43:50 | 41 |
| ჯილინგემი | 28 | 10 | 10 | 8 | 38:38 | 40 |
| დერბი | 30 | 11 | 5 | 14 | 36:42 | 38 |
| უიმბლდონი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:43 | 36 |
| პრესტონი | 29 | 7 | 10 | 12 | 41:50 | 31 |
| ბრედფორდი | 28 | 8 | 7 | 13 | 35:50 | 31 |
| უოლსოლი | 30 | 8 | 6 | 16 | 40:47 | 30 |
| გრიმსბი | 29 | 7 | 7 | 15 | 36:55 | 28 |
| უენსდი | 30 | 6 | 8 | 16 | 29:48 | 26 |
| სტოკი | 30 | 5 | 9 | 16 | 34:56 | 24 |
| ბრაიტონი | 29 | 5 | 8 | 16 | 27:46 | 23 |

### მეორე დივიზიონი

**29-ე ტური:** ჩესტერფილდი — მენსფილდი 1:2; ბარნსლი — ლუთონი 2:3; ბლეკპული — ნორთჰემპტონი 2:1; ბრენტფორდი — ნოტსი 1:1; კარდიფი — ჩელტენემი 2:1; ქრიუ — ჰადერსფილდი 1:0; პიტერბრო — პორტ ვეილი 1:2; პლიმუთი — ქუინზ პარკი 0:1; სტოკპორტი — სუინდონი 2:5; ტრანმერი — ბრისტოლი 1:1; უიგანი — კოლჩესტერი 2:1; უიკომბი — ოლდემი 2:2;

### მესამე დივიზიონი

**29-ე ტური:** ბორნმუთი — მაკლსფილდი 2:2; როვერსი — სკანთორპი 2:1; ბერი — ბოსტონი 0:0; დარლინგტონი — კიდერმინსტერი 2:1; ექსეტერი — კარლაილი 1:0; ჰარტლპული — ოქსფორდი 3:1; ლეიტონი — ჰალი 2:0; ლინკოლნი — შრიუსბერი 1:1; რაშდენი — კემბრიჯი 4:1; საუთენდი — როჩდეილი 1:0; რექსემი — ტორკი 2:1; იორკი — სუონსი 3:1

## პორტუგალია

**I ლიგა. XVIII ტური**

**ვარზიმი 0:0 ფერეირა**

**ბრაგა 1:1 სანტა კლარა**

0:1 პალადინი (17), 1:1 ანტია (30)

**ბეირა მარი 1:2 მორეირენსე**

0:1, 0:2 ალექს კოშტა (6, 34), 1:2 ფ. ფერი (61)

**ბოავიშტა 1:0 სეტუბალი**

1:0 კლაუდიუ (2)

**ბელენენსეში 1:3 პორტუ**

1:0 ბეზერა (17), 1:1, 1:2 ჟორჟე კოშტა (48, 52), 1:3 ალენიჩევი (90)

**მარიტიმუ 1:2 ბენფიკა**

0:1 ელდერი (56), 1:1 ვან დერ გაასი (60), 1:2 ნუნუ გომეში (75)

**გიმარაეში 1:2 ლეირია**

0:1 მ. კუნია (22), 1:1 დიასი (48), 1:2 რ. ასუ-ნსაო (75)

**სპორტინგი — აკადემიკა**

*გადაიდო*

**ჟილ ვისენტე — ნასიონალი**

*ნუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 18 | 15 | 3 | 0 | 39:13 | 48 |
| ბენფიკა | 18 | 11 | 4 | 3 | 36:14 | 37 |
| გიმარაეში | 18 | 9 | 4 | 5 | 34:24 | 31 |
| სპორტინგი | 17 | 10 | 1 | 6 | 27:22 | 31 |
| ვარზიმი | 18 | 8 | 3 | 7 | 25:22 | 27 |
| ლეირია | 18 | 8 | 3 | 7 | 26:25 | 27 |
| ჟილ ვისენტე | 17 | 8 | 2 | 7 | 26:25 | 26 |
| ბელენენსეში | 18 | 7 | 4 | 7 | 21:24 | 25 |
| მარიტიმუ | 18 | 7 | 2 | 9 | 22:29 | 23 |
| ბოავიშტა | 18 | 5 | 6 | 7 | 15:17 | 21 |
| ბრაგა | 18 | 5 | 6 | 7 | 16:27 | 21 |
| ნასიონალი | 17 | 5 | 5 | 7 | 19:21 | 20 |
| ფერეირა | 18 | 5 | 5 | 8 | 17:25 | 20 |
| სეტუბალი | 18 | 3 | 9 | 6 | 19:19 | 18 |
| მორეირენსე | 18 | 4 | 6 | 8 | 20:25 | 18 |
| აკადემიკა | 17 | 3 | 7 | 7 | 19:27 | 16 |
| სანტა კლარა | 18 | 3 | 6 | 9 | 21:31 | 15 |
| ბეირა მარი | 18 | 3 | 6 | 9 | 18:30 | 15 |

**II ლიგა**

მე-18 ტური: სალგეიროში — პორტიმონენსე 0:0; ლამაში — მაია 2:1; ამადორა — ფელგეირაში 0:0; ფარენსე — პენაფიელი 1:0; შავეში — ლეცა 2:0; ნავალი — მარკუ 1:1; ავეში — ოვაირენსე 1:1; კოვილია — მადეირა 1:3; ალვერკა — რიუ ავე 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალგეიროში | 18 | 9 | 6 | 3 | 29:18 | 33 |
| ალვერკა | 18 | 8 | 8 | 2 | 23:10 | 32 |
| ამადორა | 18 | 9 | 5 | 4 | 24:16 | 32 |
| მაია | 18 | 8 | 4 | 6 | 32:27 | 28 |
| პორტიმონენსე | 18 | 7 | 6 | 5 | 22:19 | 27 |
| ნავალი | 18 | 5 | 11 | 2 | 23:13 | 26 |
| შავეში | 18 | 6 | 8 | 4 | 25:19 | 26 |
| ავეში | 18 | 7 | 5 | 6 | 22:18 | 26 |
| ფარენსე | 18 | 6 | 7 | 5 | 16:18 | 25 |
| მარკუ | 18 | 6 | 6 | 6 | 30:27 | 24 |
| კოვილია | 18 | 6 | 6 | 6 | 20:18 | 24 |
| პენაფიელი | 18 | 7 | 2 | 9 | 19:19 | 23 |
| რიუ ავე | 18 | 6 | 5 | 7 | 20:26 | 23 |
| ოვაირენსე | 18 | 6 | 3 | 9 | 28:32 | 21 |
| მადეირა | 18 | 4 | 7 | 7 | 15:22 | 19 |
| ფელგეირაში | 18 | 5 | 3 | 10 | 14:25 | 18 |
| ლეცა | 18 | 3 | 6 | 9 | 12:27 | 15 |
| ლამაში | 18 | 3 | 4 | 11 | 14:34 | 13 |

## საბერძნეთი

მე-15 ტური: ირაკლისი — არისი 4:0; ოფი — კალითეა 2:1; პანაჩაიკი — იონიკოსი 0:0; ოლიმპიაკოსი — ქსანთი 1:1; პანიონიოსი — აეკ 1:1; აკრატიტოსი — პანათინაიკოსი 1:3; ეგალეო — პროდეფტიკი 1:0; პაოკ — იანინა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 15 | 10 | 2 | 3 | 21:11 | 32 |
| ოლიმპიაკოსი | 15 | 8 | 6 | 1 | 33:9 | 30 |
| პაოკ | 15 | 9 | 3 | 3 | 35:18 | 30 |
| აეკ | 15 | 7 | 5 | 3 | 27:14 | 26 |
| პანიონიოსი | 15 | 7 | 4 | 4 | 17:11 | 25 |
| არისი | 15 | 7 | 4 | 4 | 17:17 | 25 |
| ირაკლისი | 15 | 7 | 3 | 5 | 20:14 | 24 |
| ქსანთი | 15 | 5 | 8 | 2 | 18:11 | 23 |
| პროდეფტიკი | 15 | 5 | 6 | 4 | 16:13 | 21 |
| ეგალეო | 15 | 4 | 7 | 4 | 11:17 | 19 |
| ოფი | 15 | 4 | 6 | 5 | 17:17 | 18 |
| კალითეა | 15 | 3 | 5 | 7 | 12:17 | 14 |
| იანინა | 15 | 2 | 5 | 8 | 12:19 | 11 |
| იონიკოსი | 15 | 2 | 5 | 8 | 8:24 | 11 |
| აკრატიტოსი | 15 | 2 | 2 | 11 | 10:30 | 8 |
| პანაჩაიკი | 15 | 1 | 3 | 11 | 5:37 | 6 |

## ბელგია

**I დივიზიონი. XVIII ტური**

**მუსკრონი 0:1 სტანდარდი**

0:1 აარსტი (45)

**ანტვერპენი 1:4 გენტი**

1:0 მუსა (4), 1:1 მაჩეტე (16), 1:2 ვან ჰუივეგე-ნი (34), 1:3 კრაუში (47), 1:4 რიბუსი (78)

**ბრიუგე 3:0 ლუვიე**

1:0 ვან დერ ჰიდენი (2), 2:0 ბ. მარტენსი (74), 3:0 ვერჰეინი (82)

**სენტ ტრუიდენი 1:1 ბეერსხოტი**

0:1 კპაკა (27), 1:1 ბუვენსი (50)

**ანდერლეხტი 0:2 ვესტერლო**

0:1 ვაგენმაკერსი (30), 0:2 დოსუნმუ (82)

**შარლერუა 3:0 მეხელენი**

1:0 დეფისი (34), 2:0 ბოეკა-ლისასი (55), 3:0 დი გრეგორიო (82)

**ლიერსი 2:1 ლომელი**

1:0 კონე (19), 1:1 ჰელდერმანსი (82), 2:1 კონე (88)

**მონსი 4:1 ბევერენი**

1:0, 2:0, 3:0 რუსელი (31, 39, 48პ), 3:1 იაჰი-იაჰო (64), 4:1 რივენე (80)

**ლოკერენი 4:1 გენკი**

1:0 სეიფო (24), 2:0 დე ბიული (48), 2:1 ვან-დენბერგი (62), 3:1 გრეტარსონი (68), 4:1 კრისტინსონი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 18 | 16 | 1 | 1 | 51:15 | 49 |
| ანდერლეხტი | 18 | 11 | 2 | 5 | 41:24 | 35 |
| ლიერსი | 18 | 10 | 5 | 3 | 27:18 | 35 |
| ლოკერენი | 18 | 10 | 4 | 4 | 37:27 | 34 |
| სენტ ტრუიდენი | 18 | 9 | 5 | 4 | 43:26 | 32 |
| გენკი | 18 | 8 | 5 | 5 | 40:30 | 29 |
| მუსკრონი | 18 | 8 | 5 | 5 | 35:29 | 29 |
| სტანდარდი | 18 | 7 | 5 | 6 | 30:25 | 26 |
| გენტი | 18 | 8 | 2 | 8 | 30:29 | 26 |
| მონსი | 18 | 8 | 2 | 8 | 27:26 | 26 |
| ანტვერპენი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:31 | 25 |
| ლუვიე | 18 | 5 | 5 | 8 | 20:21 | 20 |
| ვესტერლო | 18 | 6 | 1 | 11 | 15:31 | 19 |
| ბეერსხოტი | 18 | 5 | 3 | 10 | 32:37 | 18 |
| ბევერენი | 18 | 5 | 2 | 11 | 20:38 | 17 |
| ლომელი | 18 | 3 | 3 | 12 | 15:32 | 12 |
| შარლერუა | 18 | 2 | 6 | 10 | 20:42 | 12 |
| მეხელენი | 18 | 2 | 4 | 12 | 15:46 | 10 |

**II დივიზიონი**

მე-19 ტური: ჰეუსდენი — სტრომბეკი 1:0; დესელი — ვარეგემი 2:1; დენდერლეუ — ინგელმუნსტერი 3:0; რუზელარე — ტინენი 0:1; ეუპენი — რონსი 0:0; დაინცე — ჰამე 1:2; ვირტონი — პატრო 1:0; ლიეჟი — ვიზეტი 1:3; გეელი — სერკლი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰეუსდენი | 19 | 10 | 7 | 2 | 36:19 | 37 |
| ვარეგემი | 19 | 10 | 4 | 5 | 35:22 | 34 |
| ეუპენი | 20 | 8 | 9 | 3 | 31:22 | 33 |
| სერკლი | 19 | 9 | 6 | 4 | 31:24 | 33 |
| ვიზეტი | 19 | 8 | 6 | 5 | 29:20 | 30 |
| დაინცე | 19 | 9 | 2 | 8 | 25:25 | 29 |
| ლიეჟი | 19 | 7 | 6 | 6 | 29:28 | 27 |
| ჰამე | 19 | 7 | 6 | 6 | 29:36 | 27 |
| ვირტონი | 19 | 6 | 8 | 5 | 28:20 | 26 |
| დენდერლეუ | 19 | 7 | 5 | 7 | 30:24 | 26 |
| რონსი | 19 | 6 | 6 | 7 | 22:21 | 24 |
| გეელი | 19 | 5 | 8 | 6 | 17:18 | 23 |
| დესელი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:38 | 23 |
| ინგელმუნსტერი | 19 | 5 | 5 | 9 | 27:33 | 20 |
| ტინენი | 19 | 6 | 2 | 11 | 19:37 | 20 |
| რუზელარე | 19 | 4 | 6 | 9 | 24:32 | 18 |
| სტრომბეკი | 18 | 4 | 5 | 9 | 20:28 | 17 |
| პატრო | 19 | 3 | 6 | 10 | 19:32 | 15 |


საქართველოში პირველი სპეციალიზებული სალონ-მაღაზია

ბილიარდის სახლი

რუსული პირამიდა, პული, სნუკერი

აქსესუარები Zeus

- კიი 42 GEL
- ბურთები 178 GEL
- მაუდი 112 GEL
- მაგიდის განათება 101 GEL
- კიის თარო 24 GEL
- თაროები ბურთებისთვის 47 GEL
- ჭაღითები კიისთვის 19 GEL
- ცარცი, რეზინი 1.3 GEL

900 GEL-დან

მასტერი Master

დახმარება საბილიარდოს გახსნისას, კონსულტაცია, გარანტია, ფასდაკლება

ტ: 95-57-75; ტ/ფაქსი: 95-88-46

თბილისი, უზნაძის ქ. 2 (ყოფ. კამოს)

11.00-19.30 სთ-მდე კვირის გარდა

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


# ისე ცხელოდა, რომარიო ჩააცივეს



**ამ უქმეებზე** ბრაზილიაში ახალი სეზონი დაიწყო და რაკი საქმე ბრაზილიასთან გვაქვს და არა დალაგებულ, მოწესრიგებულ ევროპულ ქვეყანასთან, განმარტებაა საჭირო.

იქაური ფეხბურთი ათწლეულების მანძილზე იმდაგვარად განვითარდა, რომ შტატების ჩემპიონატები საერთობრაზილურ ჩემპიონატზე მნიშვნელოვანი ტურნირები იყო, ხოლო მთავარ შეჯიბრებად ორი უმთავრესი შტატის გაერთიანებული, რიო-სან პაულუს ტურნირი ითვლებოდა.

ბოლო წლებში ბრაზილიელებმა ეროვნული ჩემპიონატისთვის მეტი პრესტიჟის მიცემა განიზრახეს და ამ სეზონში, ბრაზილური ფეხბურთის ისტორიაში პირველად, საერთოეროვნული ჩემპიონატი ნორმალური და ყველასთვის გასაგები ფორმატით ჩატარდება.

ჩემპიონატი მარტში დაიწყება და ცხრა თვეს გასტანს. იქამდე კი გუნდები შტატების ჩემპიონატებში ითამაშებენ, რომლებიც მაინც რჩება მნიშვნელოვან საფეხბურთო მოვლენად ამ ქვეყანაში.

ამ უქმეებზე კი კარიოკად წოდებული რიო დე ჟანეიროს ჩემპიონატის პირველ ტურში 5 ათასი კაცი შეიკრიბა „ლარანჟეირასის“ სტადიონზე თაკარა მზეში (იქ ხომ ახლა ზაფხულია). ამ სტადიონზე „ფლუმინენსე“ თამაშობს, „ფლუში“ კი რომარიოა, ვინაც წინა კვირაში ხელი მოაწერა ახალ ერთწლიან კონტრაქტს. მაგრამ ხალხი რომარიოს ხილვის მოლოდინში ამაოდ დაშვრა, ბებერმა მგელმა მატჩისწინა მოთელვაზე ფეხი იტკინა და მთელი მატჩი გასახდელში, მტკივან ადგილზე დადებულ ყინულით გაატარა.

რომარიოს დაშავება იყო თუ სხვა რამ მიზეზი გახლდათ, „ფლუმინენსემ“ მეტად უსუსურად ითამაშა და შტატის მაჩანჩალა „ოლარიასთან“ ოდენ ფრეს გამოჰკრა ხელი. „ფლუ“ აგებდა კიდეც თამაშს და რომარიოს ნაცვლად შესულმა ფაბიო ბალამ გადაარჩინა.

ისე, „ფლუმინენსეს“ წუხილი რომარიოს დაშავებამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყო, როცა სტადიონისკენ მიმავალი მეტოქე გუნდების ქომაგები ერთმანეთს გადააწყდნენ და მუშტი-კრივი გამართეს. იუწყებიან, არავინ დაშავებულაო.

სანამ „ფლუმინენსე“ „ოლარიასთან“ ჯახირობდა, იქვე მეზობლად დიდი ხმაური ატყდა — „ბოტაფოგომ“ 1:2 წააგო „ბანგუსთან“.

რიოული დიდი ოთხეულის დანარჩენმა ორმა გუნდმა კი მოიგო. „ფლამენგომ“ ათირსონის დუბლით სძლია „ფრიბურგუენსეს“, ხოლო „ვასკუ და გამამ“ მარკესის ერთი გოლით დაამარცხა „ამერიკა“. ოღონდ ეგაა, „ვასკუ“ უდანაკარგოდ მაინც ვერ გადარჩა, რადგან პირველივე ტაიმში ხაჯარიძეობის ღიდოსტატი მარსელინიო კუნთგაწყვეტილი გაიყვანეს მოედნიდან.

**კოტე კეკელია**

## სამხრეთ ამერიკის ახალგაზრდული ჩემპიონატი (20-წლამდელები)

**პლეი ოფი. I ტური**

**ურუგვაი 1:1 არგენტინა**

**პარაგვაი 1:1 ბრაზილია**

**კოლუმბია 4:1 ეკვადორი**

**პლეი ოფი. II ტური**

**ურუგვაი 1:2 პარაგვაი**

**არგენტინა — ეკვადორი და კოლუმბია — ბრაზილია**

*ნუხელ გვიან გაიმართა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| კოლუმბია | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 |
| არგენტინა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ურუგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | 0 |

**ამხანაგური მატჩი**

**აშშ 4:0 კანადა**

1:0 ბოკანეგრა (7), 2:0 მატისი (30), 3:0 კლეინი (32), 4:0 რალსტონი (61)



ურუგვაი — პარაგვაი. პარაგვაელი ედგარ ბერეტო ანდრეს დიოგოს ფეხს წამოეგო

REUTERS მონტევიდეო

## შოტლანდია

**პირველი დივიზიონი**

22-ე ტური: ალოა — ქუინ ოფ საუთ 3:3; არბროთი — ფოლკირკი 1:4; ინვერნესი — ეარი 0:1; სტ. ჯონსტონი — კლაიდი 1:2; სტ. მირენი — როს ქაუნთი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფოლკირკი | 20 | 14 | 4 | 2 | 46:17 | 46 |
| ინვერნესი | 21 | 13 | 4 | 4 | 48:20 | 43 |
| კლაიდი | 21 | 11 | 5 | 5 | 36:21 | 38 |
| სტ. ჯონსტონი | 22 | 11 | 5 | 6 | 28:16 | 38 |
| ეარი | 21 | 8 | 6 | 7 | 24:22 | 30 |
| ქუინ ოფ საუთ | 21 | 6 | 7 | 8 | 28:36 | 25 |
| სტ. მირენი | 21 | 7 | 4 | 10 | 28:46 | 25 |
| როს ქაუნთი | 22 | 5 | 7 | 10 | 23:24 | 22 |
| არბროთი | 22 | 3 | 4 | 15 | 19:46 | 13 |
| ალოა | 21 | 2 | 6 | 13 | 15:47 | 12 |

**მეორე დივიზიონი**

მე-20 ტური: ბერიკი — სტრენრარი 1:0; ბრეჩინი — ქოუდენბითი 5:7; დამბარტონი — ფორფარი 1:2; რეით როვერსი — ერდრი 1:0; სტენჰაუზმური — ჰამილტონი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეით როვერსი | 20 | 11 | 7 | 2 | 35:16 | 40 |
| ბერიკი | 20 | 10 | 3 | 7 | 31:29 | 33 |
| სტრენრარი | 19 | 9 | 2 | 8 | 29:26 | 29 |
| ფორფარი | 19 | 9 | 2 | 8 | 28:28 | 29 |
| ბრეჩინი | 20 | 8 | 3 | 9 | 33:37 | 27 |
| სტენჰაუზმური | 20 | 7 | 5 | 8 | 27:25 | 26 |
| დამბარტონი | 21 | 7 | 5 | 9 | 22:25 | 26 |
| ერდრი | 20 | 6 | 5 | 9 | 23:28 | 23 |
| ჰამილტონი | 19 | 6 | 5 | 8 | 22:29 | 23 |
| ქოუდენბითი | 20 | 5 | 5 | 10 | 26:33 | 20 |

**მესამე დივიზიონი**

21-ე ტური: ელგინი — ისტ ფაიფი 0:1; მორტონი — ალბიონი 2:1; გრეტნა — პიტერჰედი 1:1; ქუინზ პარკი — ისტ სტირლინგი 3:4; სტირლინგი — მონტროუზი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისტ ფაიფი | 21 | 11 | 7 | 3 | 45:25 | 40 |
| მორტონი | 20 | 11 | 5 | 4 | 44:24 | 38 |
| ალბიონი | 20 | 11 | 3 | 6 | 35:24 | 36 |
| პიტერჰედი | 21 | 10 | 5 | 6 | 43:27 | 35 |
| სტირლინგი | 20 | 9 | 7 | 4 | 25:16 | 34 |
| გრეტნა | 21 | 7 | 7 | 7 | 33:28 | 28 |
| ქუინზ პარკი | 22 | 5 | 6 | 11 | 26:33 | 21 |
| ელგინი | 21 | 4 | 8 | 9 | 20:34 | 20 |
| მონტროუზი | 20 | 3 | 7 | 10 | 17:39 | 16 |
| ისტ სტირლინგი | 20 | 2 | 5 | 13 | 20:58 | 11 |



ფერნანდო ვასკესი

# სულმოკლე დედა ტერეზა

## ვასკესს სამიდან სამი არ აპატიეს

**საზოგადოდ,** სეზონის ნახევარი რომ მიილევა, მაჩანჩალა კლუბების პრეზიდენტები ვითარების გამოსწორებაზე ფიქრს იწყებენ და როგორც წესი, საამისოდ მწვრთნელებს ცვლიან.

გუშინ ამგვარი რამ მოხდა „რაიო ვალეკანოში", რომელიც 20-გუნდა პრიმერადივიზიონში მე-18 ადგილზეა ამდენივე ქულით. ესპანური ლიგის ერთადერთმა ქალმა პრეზიდენტმა მარია ტერეზა რივერომ განაცხადა, მდგომარეობა იმდენად მძიმეა, ფერნანდო ვასკესს მეტ შანსს ველარ მივცემთ და მწვრთნელი ახლავე თუ არ შევცვალეთ, ერთი ტურის მერეც გვიანი იქნებაო.

ამრიგად, ფერნანდო ვასკესმა, რომლის მეთაურობითაც წინა სეზონში პრიმერადივიზიონი „ლას პალმასმა" დატოვა, „რაიოში" პოსტზე ექვსი თვეც ვერ გაძლო და პატარა მადრიდული გუნდი კანარის კუნძულელთა გზაზე შეაყენა.

„ბოლო ოთხ ტურში სამი მატჩი შინ ჩავატარეთ — განაგრძო ქალბატონმა რივერომ — იმედი მქონდა, ამ საშინაო მატჩებს მოვიგებდით და სახიფათო ზონას თავს დავაღწევდით, მაგრამ სამივე წავაგეთ და მეტის მოთმენა აღარ შეიძლება".

ფერნანდო ვასკესს თავის დროზე „რეალ ბეტისში", „მალიორკასა" და „ოვიედოშიც" უმუშავია, ხოლო „რაიო ვალეკანოში" „მალიორკაში" გადაბარგებული გრეგორიო მანსანო შეცვალა.

ვინ ჩაიბარებს გუნდს, ტერეზა რივეროს ჯერ არ უთქვამს.

**გიორგი დარჯანია**





ბრაიან კლაფის ღვიძლის ამბავი პრესას მისმა ვაჟმა ნაიჯელმა გაუმხილა

# კიდევ დალევ?

## ბრაიან კლაფი: ძველი კაცი ახალი ღვიძლით

**ჯორჯ ბესტის** კვალად ბრიტანული ფეხბურთის კიდევ ერთ ლეგენდას, განთქმულ მენეჯერ ბრაიან კლაფს გადაუნერგეს ღვიძლი. მისტერ კლაფი, რომელიც მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ მწვრთნელადაა აღიარებული, ადრიდანვე ალკოჰოლის ტრფიალი გახლდათ და 67 წლისას ამიტომაც დასჭირდა ღვიძლის ტრანსპლანტაცია. ამ ოპერაციამ მას სიცოცხლე გადაურჩინა.

ბრაიან კლაფი ძველი ყაიდის, მყვირალა და მკაცრი მენეჯერი იყო. მან ორჯერ (1972, 1975 წლებში) გახადა ინგლისის ჩემპიონი „დერბი ქაუნთი" და ამ გუნდით ევროპაშიაც გაითქვა სახელი, რადგან სულ ახლო იყო იქაურ წარმატებასთანაც. მერე მას ინგლისის ნაკრების მწვრთნელადაც იაზრებდნენ, მაგრამ სათავეში ჩაუდგა „დერბისავით" პატარა „ნოტინგემ ფორესტს" და ამ გუნდს ისტორიაში დაუმკვიდრა ადგილი: ჯერ ინგლისის ჩემპიონობა მოაგებინა, შემდეგ კი ორჯერ ზედიზედ, 1979 და 1980 წლებში, ევროპის ჩემპიონთა თასი.

მისტერ კლაფის ვაჟი ნაიჯელიც საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო: თამაშობდა „ნოტინგემში", „მანჩესტერ სიტიში", „ლივერპულსა" და ინგლისის ნაკრებშიც, ახლა კი სამოყვარულო „ბარტონ ალბიონის" მენეჯერია.

სწორედ მისგან შეიტყო მედიამ კლაფ-უფროსის ჯანმრთელობის შესახებ:

„მამას ღვიძლი გადაუნერგეს და ამის ფონზე საკმაოდ კარგად არის".

# ჰაიმ, წადი სახლში!

## შზრალო მზრაელის საშინელი მომავალი

## რევივოს ცოლმა ხელის მოწერა ასწავლა

**ფატიჰ თერიმი** მგელია? ალბათ, მილანში ისწავლა კბილების კრაჭუნი. მილანშივე ისწავლა ის, რომ მეტოქის მისასაკლავად მას საუკეთესო ფეხბურთელი უნდა აწაპნო. მოსისხლე მტერი „გალათასარაის" ორი ჰყავს, თანაქალაქელები — „ფენერბაჰჩე" და „ბეშიქთაში". შარშან შემოდგომაზე იყო, გერმანელი ვერნერ ლორანტის თავკაცობით „ფენერბაჰჩემ" „გალას" ექვსი უპასუხო გოლით რომ მოუგო. თერიმს გულში ჩემპიონობა ამოუჭრია და ორი დანარჩენი ვეშაპიც იგივეს ფიქრობს.

მიუხედავად იმისა, რომ „ფენერბაჰჩეში" არიელ ორტეგა თამაშობს, საუკეთესო ებრაელი ჰაიმ რევივოა. რევივო რამდენიმე წელია „ფენერის" „ლურჯ-ყვითელი" მაისურით დარბოდა. დიახ, დარბოდა, რადგან ამჟამად ის უკვე „გალათასარაის" წევრია და „ლურჯ-ყვითელი" „წითელ-ყვითელზე" გაცვალა. ერთი სტამბოლური ვეშაპის ზურგიდან მეორის ზურგზე შეხტომა თურქეთში იგივეა, რაც ესპანეთში „ბარსელონიდან" „რეალში" გადასვლა. ასეთ ამბავს კი საშინელი შედეგები მოჰყვება. რევივო ებრაელია და, ცხადია, სტამბოლის ებრაული დიასპორაც „ფენერბაჰჩეს" ქომაგობდა. როცა ის უკვე „გალას" საკუთრება გახდა, სტამბოლის ებრაულმა გაზეთმა „შალომმა" ფეხბურთელს გადაწყვეტილება არ მოუწონა. „ახლა — წერს გაზეთი — „ფენერბაჰჩეს" ქომაგები იტყვიან, რომ ებრაელებს ქვეყანაზე ფული ყველაფერს ურჩევნიათ. ჰაიმ, წადი სახლში. ასე ყველასთვის უკეთესი იქნება." აი, როგორ არიგებს ფეხბურთელს თანამემამულე კალმოსანი.

30 წლის რევივომ თავის საფეხბურთო კარიერაში ყველაზე ძვირფას კონტრაქტს მოაწერა ხელი, მან ორწელიწადნახევარი უნდა ატაროს „წითელყვითელი" მაისურა, სანაცვლოდ კი წელიწადში მილიონ 600 ათას დოლარს ჩაიჯიბავს, უფრო მეტს, ვიდრე „ფენერბაჰჩეში". აქედან მილიონ 200 ათასი ჯამაგირია, ხოლო ზევიდან 400 ათასს იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ გუნდი ჩემპიონი გახდება. ებრაულ გაზეთ „მაარივის" ვერსიით, „გალათასარაის" ფეხბურთელი 5 მილიონ 600 ათასი დაუჯდება.

ერთი რამ ნათელია: ჰაიმ რევივოს ტკბილი ცხოვრება არ ელის. უახლოეს სტამბოლურ დერბიში რკინის ნერვების სესხება დასჭირდება. იქაურ ჯოჯოხეთს რომ გაუძლოს. მშობლიურ „ალი სამი იენიზე" ასე თუ ისე გადარჩება, მაგრამ „ფენერბაჰჩეს" სტადიონზე როცა დაბრუნდება...

საქმეში თურქეთში ისრაელის ყოფილი ელჩი ჩაერია. ერთ-ერთი რადიოგადაცემაში მან ფეხბურთელს მამაშვილური თხოვნით მიმართა, ეგებ ერთი წლის მანძილზე დერბიში არ ითამაშოო. კაცმა იცის, ნამყოფია „გალა" — „ფენერის" მატჩზე და საცოდავი რევივოს სულის გადარჩენა სწადია.

ყოფილმა ელჩმა კიდევ ეს თქვა: „თუ გარისკავს და მაინც გავა სათამაშოდ, ყველაფერი მასზე იქნება დამოკიდებული. თუ ცუდად ითამაშებს, „ფენერბაჰჩეს" ქომაგები მას არასოდეს აპატიებენ „გალათასარაიში" გადასვლას, ხოლო თუ გემრიელად იბურთავებს, ეგებ გულის სიღრმეში აპატიონ კიდეც. თურქმა ქომაგმა იცის ნამდვილი ფეხბურთელის ფასი.

ჰაიმ რევივო ახლა ოფიციალურად „გალათასარაის" ფერებშია გაბლანდული. სანამ კონტრაქტს ხელს მოაწერდა, ცოლისგან რჩევა მიიღო. ცოლს უთქვამს, კონტრაქტი სამ ენაზე, თურქულად, ინგლისურად და ებრაულად თუ არ იქნება, შენი ხელმოწერა არ ვნახო, ეს იმიტომ, რომ მომავალში შარი რამე არ გალაიკიდოო.

„ფენერბაჰჩეს" გერმანელმა მწვრთნელყოფილმა ვერნერ ლორანტმა, რომელიც ამჟამად სამშობლოში მუშაობს, შეიტყო ეს ამბავი და ბრძანა, რომ „ფენერმა" რევივოს გაშვებით გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა. ის აშკარად გააძლიერებს „გალათასარაის" და ალბათ ჩემპიონობამდეც მიიყვანსო, დასძინა ლორანტმა. გერმანელი სპეციალისტისავე თქმით, რევივო ძალიან ახლოს იყო „ჰამბურგში" გადასვლასთან, მაგრამ ჰამბურგელები ფეხბურთელის მოთხოვნებს ფინანსურად ვერ გასწვდნენ და თავი დაანებეს.

საინტერესო ისაა, რომ თვითონ „გალას" ფინანსურად უჭირს. კლუბი, როგორც მისი ბოსები აცხადებენ, ყურებამდე ვალებშია, ამ დროს კი იანვარში ფეხბურთელების შესაძენად 11 მილიონ 500 ათასი დოლარი გაისროლა. თვით ბრაზილიელმა ფორვარდმა კრისტიანმა, რომელიც „გალას" წევრია, რამდენიმე დღის წინ კლუბის ოფისის კარი გაიხურა, სანამ სამი თვის ხელფასს არ მომცემთ, ჩემი ფეხი აქ არ იქნებაო.

**გაგა ხუციშვილი**



### ფეხბურთის რუკასთან



**შვეიცარიულმა** „ბაზელმა" ციურიხის „გრასჰოპერს" 26 წლის კაპიტანი ბორის სმილიანიჩი წაჰგვარა. ფეხბურთელმა ახალ კლუბთან სამწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა და „ბაზელში" 2006 წლის 30 ივნისამდე დარჩება. სმილიანიჩის დებიუტი კრისტიან გროსის გუნდში მომავალ თვეში შედგება, როდესაც შვეიცარიის ჩემპიონატში მეორე ეტაპი განახლდება. ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგის ახალ განაცხადშიც შეიყვანენ — ლიგაში მონაწილე კლუბებს 2-3 ფეხბურთელის დამატების უფლება ეძლევათ.

**ჰონდურასის ეროვნული გუნდის მეკარე მილტონ ფლორესი გუშინ პოლიციამ საკუთარ ავტომანქანაში ჩაცხრილული იპოვა. 29 წლის ფეხბურთელს ბოროტმოქმედებმა ცეცხლსასროლი იარაღით 18 ტყვია დაახალეს. მანქანაში მყოფი ფლორესის მეგობარი გოგონა ცოცხალი გადარჩა, თუმც სამართალდამცავები მის დაკითხვას ჯერჯერობით ვერ ახერხებენ. მომხდარით შეძრწუნებულმა ჰონდურასის ნაკრების მწვრთნელმა ხოსე ერერამ ესღა თქვა: სამწუხაროა, მილტონ ფლორესის გუნდში მიწვევას 31 იანვარს არგენტინელებთან ამხანაგური მატჩისთვის ვაპირებდით.**

**ბრაზილიელი** ლუსიანო, ყოფილი ერიბერტო, კვლავაც ვერონულ „კიევოში" ითამაშებს. ყალბი პასპორტის მაქინაციაში მხილებელი ფეხბურთელი ახლა მილანის „ინტერის" საკუთრებაა. „ინტერმა" ლუსიანო-ერიბერტო შარშანდელი სეზონის ბოლოს გადაიბირა. თუმც ხანგრძლივი დისკვალიფიკაციის გამო მისგან სარგებელი ვერ ნახა და ახლა თანახმაა, მოთამაშე ძველ კლუბს იჯარის წესით დაუბრუნოს. ლუსიანო-ერიბერტო ნახევარმცველია. არგენტინელ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერის თქმით, იგი უნივერსალური ფეხბურთელია, შეუძლია, ერთნაირი სიძლიერით ითამაშოს ნახევარდაცვის როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფლანგზე.

**ესპანური მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კმაყოფილია მწვრთნელ ვისენტე დელ ბოსკეს საქმიანობით და თანახმაა, ამ დღეებში ულვაშა სპეციალისტს ორწლიანი ახალი ხელშეკრულება შესთავაზოს. ცნობილია ისიც, რომ „რეალის" კვლავ გაწვრთნის წინააღმდეგი არც თავად დელ ბოსკეა.**

**პორტუგალიური** „ბენფიკა" „მილანის" ბრაზილიელი მცველით, როკე ჟუნიორით დაინტერესდა და კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა, იტალიელ კოლეგებთან მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელის იჯარით წაყვანაზე დაილაპარაკოს. რა ხანია, როკე ჟუნიორი „მილანის" ძირითადში ველარ ხვდება, „ბენფიკას" კი საკმარისი ფული არა აქვს, რომ ფეხბურთელი გამოისყიდოს.

**იტალიური „მილანის" კაპიტანმა პაოლო მალდინიმ განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდში დაბრუნებას არ აპირებს: „ჟურნალისტებზე გავნაწყენდი, როცა პრესაში წავიკითხე, რომ თითქოსდა მზად ვარ, ევროპის 2004 წლის ჩემპიონატისთვის „სკუადრა აძურას" დავუბრუნდე. თანაც ვითომ გარკვეული პირობებიც წამოვაყენე. გადაჭრით ვამბობ, მე ჩემს პრინციპებს არ გადავუხვევ. ვთქვი და ნაკრებიდან მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე წავედი".**

# ავსტრალიის ღია პირველობა 2003

## მესამე წრე 18 იანვარი

### კაცები

**ლეიტონ ჰიუიტი** (1, ავსტრალია) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:2, 6:0; **რაინერ შიუტლერი** (31, გერმანია) — მარატ საფინი (3, რუსეთი) საფინმა თამაში ვერ შეძლო; **როჯერ ფედერერი** (6, შვეიცარია) — ანდრეას ვინჩიგერა (შვედეთი) 6:3, 6:4, 6:2; **მიხაილ იუჟნი** (25, რუსეთი) — ირჟი ნოვაკი (7, ჩეხეთი) 6:1, 3:6, 6:3, 6:2; **ენდი როდიკი** (9, აშშ) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (10, არგენტინა) — ქსავიე მალისი (20, ბელგია) 4:6, 6:2, 6:0, 3:0 (მალისმა შეწყვიტა); **იუნეს ელ აინაუი** (18, მაროკო) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 5:7, 6:2, 7:6 (7:3), 7:6 (10:8); **ჯეიმს ბლეიკი** (23, აშშ) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი) 6:3, 4:6, 6:2, 6:2

### ქალები

**სერენა უილიამსი** (1, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (26, ტაილანდი) 6:1, 6:1; **კიმ კლაისტერსი** (4, ბელგია) — ტატიანა პუჩეკი (ბელარუსი) 6:2, 6:1; **ანასტასია მისკინა** (8, რუსეთი) — კლარისა ფერნანდესი (28, არგენტინა) 6:3, 3:6, 6:3; **ჩანდა რუბინი** (10, აშშ) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:3, 6:2; **ელენა ბოვინა** (20, რუსეთი) — მაგდალენა მალეევა (11, ბულგარეთი) 7:5, 4:6, 7:5; **ამანდა კუცერი** (19, სამხრეთ აფრიკა) — ანა პისტოლეზი (14, ისრაელი) 6:0, 6:2; **ელენი დანილიდუ** (18, საბერძნეთი) — ნატალი დეში (16, საფრანგეთი) 6:4, 6:3; **მეგენ შონესი** (25, აშშ) — კლარა კუკალოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:3

# მაღრიბული მუღამი

## ჟინჩი ოზი იუნეს ელ აიტაგანს წამოეგო



აი, ასეთ დღეში ჩავარდნილმა ჟუსტინ ენენ-არდენმა წამოდგომა და ლინდსი დევენპორტის დამარცხება შეძლო

## რუსები

საშაბათო მთავარსათაურებში ალზევების უფლება უწინარესად რუსმა კაცმეჩოგნეებმა — მარატ საფინმა (3) და მიხაილ იუჟნიმ მოიპოვეს. მეორემ — კვლავაც ჩაუქი და შთამბეჭდავი თამაშით, რასაც ამჯერად მე-7 ნომრად განთესილი ჩეხი ირჟი ნოვაკი ემსხვერპლა, პირველმა კი — ვაგლახად გასიებული მარჯვენა მაჯით, რამაც ტურნირის მიტოვება და სამკურნალოდ რუსეთში გადაფრენა აიძულა.

„მაჯამ ძალიან შემაწუხა და გადავწყვიტე, აღარ მეთამაშა — თქვა საფინმა — ტრავმა აქ, პირველი მატჩის დროს მივიღე. მეორე შეხვედრისთვის გამაყუჩებელი გამიკეთეს, მაგრამ დღეს უკვე ეგეც ვერ უშველიდა. თანაც, სანამ გართულდებოდეს, სჯობს, ახლავე ვიმკურნალო, თორემ 7-8 თებერვალს უკვე ჩეხებთან სადევისთასო მატჩი გველის და მინდა, საიმდროოდ სრულ მზადყოფნაში ვიყო".

შეგახსენებთ, რომ 22 წლის საფინი აშშ-ის ღია პირველობის 2000 წლის გამარჯვებული და ავსტრალიის ღია პირველობის შარშანდელი ფინალისტია. მელბურნში ჩასვლამდე მან სიდნეის ტურნირზე მხარიც იტკინა, მაგრამ ტრავმა მალევე მოიშუშა და საუცხოო ფორმაში მყოფი წლის პირველი სლემტურნირის ერთ-ერთ მთავარფავორიტად მიიჩნეოდა.

ძერჟავის დროშა მისგან მიხაილ იუჟნიმ გადაიბარა. ჭაბუკმა რუსმა, ვინაც სახელი დევისფინალის გადამწყვეტ შეხლაში ფრანგ პოლ-ანრი მათიოსთან საარაკო გამარჯვებით დაიგდო, დამაჯერებლად სძლია შარშანდელ ნახევარფინალისტ ნოვაკს.



მარატ საფინს მაჯამ უმტყუნა

## სხვაფრივ

ტურნირის მთავარგანთესილებმა — ლეიტონ ჰიუიტმა და სერენა უილიამსმა ისევ იოლად გაისეირნეს. ავსტრალიელთა იმედმა მხოლოდ 5 გეიმი დაუთმო წინა წრიდან გუსტავო კუერტენის მაოტარ რადეკ სტეპანეკს და კარიერაში მეორედ მოხვდა მშობლიური სლემტურნირის მერვედფინალში. სერენამ ტაილანდელი ტანასუგარნი გაანადგურა და ნამატჩევს განაცხადა, რომ ტურნირზე პირველად სწორედ ამ შეხვედრისას იგრძნო თავი თავისუფლად და დამშვიდებულად.

ისევ გაილაღა კიმ კლაისტერსმა — მან ამჯერად ბელარუსი ტატიანა პუჩეკი დაიოგუნა. ზეათეულელ კაცთაგან კი იოლად იმარჯვეს როჯერ ფედერერმა და ენდი როდიკმა. როდიკს მერვედფინალში შეჰყვა მისი თანამემამულე და თანატოლი ჯეიმს ბლეიკიც — როდიკის დარად მანაც განუთესავი ესპანელი, ალბერტო მარტინი გააძევა.

გამოსარჩევი იყო არგენტინელი დავიდ ნალბანდიანისა და ბელგიელი ქსავიე მალისის პაექრობაც. ეს ბიჭები ერთმანეთს შარშან უიმბლდონის ნახევარფინალშიც ერკინენ და მაშინდელივით ახლაც არმენოგაუჩომ იმძლავრა. ოღონდ ამ ჯერზე მალისს დაშავებულმა მხარმა უმტყუნა და საქმე მეხუთე სეტამდე კი არა, მეოთხის ბოლომდეც აღარ მისულა — ბელგიელმა მატჩის შეწყვეტა არჩია.

## მეოთხე წრე 19 იანვარი

### კაცები

**ანდრე აგასი** (2, აშშ) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:1, 3:1 (კორიამ შეწყვიტა); **ხუან კარლოს ფერერო** (4, ესპანეთი) — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:0, 6:3, 6:2; **სებასტიან გროჟანი** (12, საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 3:6, 2:6, 6:3, 6:3, 6:3; **უეინ ფერეირა** (სამხრეთ აფრიკა) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4, 3:6, 6:3

### ქალები

**ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:3, 6:2; **ჟუსტინ ენენ-არდენი** (5, ბელგია) — ლინდსი დევენპორტი (9, აშშ) 7:5, 5:7, 9:7; **დანიელა ჰანტუხოვა** (7, სლოვაკეთი) — პატი შნიდერი (12, შვეიცარია) 7:5, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 6:3, 6:3

20 იანვარი

### კაცები

**ელ აინაუი** — ჰიუიტი 6:7 (4:7), 7:6 (7:4), 7:6 (7:5), 6:4; **როდიკი** — იუჟნი 6:7 (4:7), 3:6, 7:5, 6:3, 6:2; **ნალბანდიანი** — ფედერერი 6:4, 3:6, 6:1, 1:6, 6:3; **შიუტლერი** — ბლეიკი 6:3, 6:4, 1:6, 6:3

### ქალები

**ს. უილიამსი** — დანილიდუ 6:4, 6:1; **კლაისტერსი** — კუცერი 6:3, 6:1; **მისკინა** — რუბინი 4:6, 6:4, 6:1; **შონესი** — ბოვინა 5:7, 6:2, 6:4

## 3 საათი და 13 წუთი

ზუსტად ამდენი დრო დასჭირდა ციდა ბელგიელ ჟუსტინ ენენ-არდენს, რათა მისი ხუთგზის მძლეველი და მისგან არასოდეს ძლეული ლინდსი დევენპორტი მეოთხედფინალის მიღმა დაეტოვებინა. ამ 193 წუთიდან ყველა ჩოგნაობაზე არ დახარჯულა — რაღაც დრო მატჩის მიწურულს კრუნჩხვამორეულ ბელგოგოს ქვედა კიდურების გამოსაზელადაც დასჭირდა.

ასე უცნაურად განმეორდა ენენისა და დევენპორტის უკანასკნელი, საოქტომბრო მატჩის ამბები, როცა თამაშის მსვლელობისას ლინდსის რამდენჯერმე ექიმის გამოხმობა დასჭირდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მანვე იმარჯვა. მაშინ ჟუსტინი ძალზედ გაღიზიანებული დარჩა და მეტოქეს აფერისტობაც დასწამა — აქაოდა, ექიმს დროის გასაყვანად უხმოო. გუშინწინდელი მატჩის შემდეგ ის ალბათ მიხვდებოდა, რომ მტყუანი იყო...

ენენ-არდენი: „როცა კრუნჩხვამ წამომიარა და დავეცი, ვიფიქრე, ყველაფერი გათავდა-მეთქი. მაგრამ მერე მაინც მთელი ძალით ვითამაშე, თავი იოტისოდენადაც არ დამიზოგავს. საშინელება იყო — მარტო ფიზიკურად კი არა, მენტალურადაც... როცა შეხვედრა გათავდა, კრუნჩხვა მთელ სხეულში მივლიდა".

ლინდსის კი ნამატჩევს სწორედ ის შეხვედრა შეახსენეს.

„თქვენ გაინტერესებთ, ვფიქრობ თუ არა მე, რომ ჟუსტინმა ეს დროის გასაყვანად გააკეთა? რასაკვირველია, არა. მე ასეთ რაღაცებზე მაღლა ვდგავარ... ეს მარცხი ჩემი ბრალია — როცა კორტზე მობრუნდა, უფრო აგრესიულად უნდა მეთამაშა, უფრო მაგარ წნეხში უნდა მომექცია. მაგრამ ვერც მას დავუკარგავ — ასეთ მდგომარეობაში ასე თამაში მის მაღალ დონეზე მეტყველებს".

## ბობოლები

კვირას მოთამაშე ბობოლათაგან ზედმეტი სეტი არავის უთამაშია. ეგ კი არა, სამგზის ჩემპიონ ანდრე აგასის სულაც სეტნახევრის თამაში მოუხდა. 32 წლის არმენოამერიკელმა კორტზე მხოლოდ 48 წუთი დაჰყო, რაკილა მის არგენტინელ მეტოქე გილერმო კორიას ტერფზე გამომსხდარმა ბებერებმა ჩოგნაობა არ გააგრძელებინა.

თავად ანდრე ამით მაინცდამაინც აღტაცებული არ დარჩენილა: „ცხადია, მეტს დავისვენებ, მაგრამ მე ჩოგბურთის თამაში მირჩევნია. სჯობს დაიძაბო, დაიხარჯო და გამარჯვება ბრძოლით მოიპოვო, ვიდრე ეგრე ლანგრით მოგერთვას" — თქვა მან.

ადგილობრივ ქომაგს უკანასკნელი მდედრი გამოუკლო ვინუს უილიამსმა. ნიკოლ პრატი, ვინაც მშობლიური სლემტურნირის მეოთხე წრეში მეცამეტე ჯერზე ძლივს მოხვდა, ოთხგზის მესლემტიტულე უფროს შავდას გალმა მხოლოდ 5 გეიმში გაედავა.

მეოთხედფინალში ვინუსი 19 წლის სლოვაკ დანიელა ჰანტუხოვას შეეჯახება. შარშან მათ მესამე წრეში იპაექრეს და დანიელამ ვინუსისთვის ერთი სეტის წართმევა შეძლო. ახლა ის უფრო მეტის წართმევას გეგმავს და ამბობს, რომ საამისოდ ყველაფერი აქვს — სურვილიც, ილაჯიც და გამოცდილებაც.

სხვა თუ არაფერი, ეს მისი ზედიზედ მესამე სლემმეოთხედფინალი იქნება — შარშანდელი უიმბლდონურისა და ფლეშინგმედოუზურის შემდეგ.

აგასის კი სანახევარფინალო საგზურს მე-12 ნომრად განთესილი ფრანგი, სებასტიან გროჟანი შეეცილება. გროჟანმა იმ დღეს სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირას საწინაწრეო გმირობა გაიმეორა და ესპანელ ფელიქს მანტიასთან პირველი სეტების წაგების შემდეგ სამის უკუგება მოახერხა. 24 წლის გროჟანი ავსტრალიის ღია პირველობის შარშანწინანდელი ნახევარფინალისტია, მაგრამ ანდრე აგასისთან მელბურნში ჩასვლამდე ერთ-ერთი არასა-ATP-ო ტურნირის ფინალში დათმო. თუ რომელი თულფი გადასწონის, ამაზე პასუხს დღესვე მოვიძევთ...

კაცთა მეორე მეოთხედფინალურ წყვილს კი 22 წლის ხუან კარლოს ფერერო და ვეტერანი სამხრეთაფრიკელი უეინ ფერეირა შეადგენენ. ესპანელმა, ვინაც მტკივანი ფეხი საიმმატჩოდ ანტიანთებითი საშუალებებით გაიყუჩა, ტურნირზე თავისი საუკეთესო თამაში აჩვენა და პირველად გააღწია ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრის მიღმა. ფერეირამ კი ჯიქური სომხის, სარგის სარგსიანის (უკვე აღარც ისე მედგარი) წინააღმდეგობა დაძლია და ზედიზედ მეორედ გავიდა მეოთხედფინალში.

## გაუტეხავი ნავსები

ყველაზე მთავარი რამ კი გუშინ მოხდა — 31 წლისა და მიწიდან 193 სანტიმეტრის ამთვლელმა მაროკოელმა იუნეს ელ აინაუიმ, ვინაც თავისი სათნოებით უფროა ცნობილი, ვიდრე საკუთრივ საჩოგბურთო მიღწევებით (და 13-წლიანი კარიერისას რაგინდარა სლემტურნირის მეოთხედფინალს ახლა მხოლოდ მესამედ უწია), ტურნირიდან კაცთა ამქრის უსტაბაში და სრულიად საოზეთის იმედი, ლეიტონ ჰიუიტი დაითხოვა.

მოულოდნელად გაპარპაშებული მეტოქის გლაჯუნა მოწოდებებსა (33 ეისი) და ყუმბარისებრ ხელწალმებს ჰიუიტმა მხოლოდ პირველ სეტში გაუძლო. მაროკოელმა ბედუინისებრი ყიოსვით იკრა გამარჯვების სუნი და მასპინძელთა ფალავანი ერთ საბრეიკპოინტეზეც არ გაუკარებია. ასე შემართულ, ასე მობრახუნე ელ აინაუის ვინძლო მშობლიურ მაღრიბეთშიც ვერ გაიხსენებენ...

ჰიუიტი: „ეს წაგება უიღბლობის ბრალი არ არის. მე დავიძე მეტოქესთან, რომელიც დღეს ჩემზე უკეთ თამაშობდა. ის დღეს შესანიშნავად გაირჯა... თუმცა როგორიც უნდა იყოს მარცხის მიზეზი, ჩემთვის ეს მაინც იმედგაცრუებაა. სხვაგვარად ამის შეფასება არ შეიძლება... იქნებ ამან უკეთეს მოთამაშედ მაქციოს".

აინაუი: „ეს ალბათ ყველასთვის დიდი სიურპრიზი იქნებოდა, მე ხომ მსოფლიოში არც ისე ცნობილი ვარ. მაგრამ ვინც მე მიცნობს, ვისაც ჩემი თამაში უნახავს, ისინი იმთავითვე განწირულად ალბათ არ მიმიჩნევდნენ... მე მას შარშან, ინდიანაპოლისშიც ვძლიე, ცუდად არც აშშ-ის ღია პირველობაზე ვეთამაშე, ასე რომ, ვიცოდი — შანსი ნაღდად მქონდა... ეს ფანტასტიკური, დიდი გამარჯვებაა".

თმახუჭუჭა ბედუინის ამ გამარჯვებამ ავსტრალიელთა „ადგილობრივი სლემყაბზობა" კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა — შეგახსენებთ, რომ უკანასკნელი ოზი, ვინაც იქაური მთავარჯილდო შემართა, მარკ ედმონდსონი იყო. ეს ამბავი შორეულ 1976-ში მოხდა.

ისე — 21 წლის ადელაიდელმა ვერც პირადი ნავსის გატეხვა შეძლო. იქაურ მეოთხე წრეს ის ამჯერადაც ვერ გასცდა.

## გულის ვარდი და სხვები

კიმ კლაისტერსს თამაში გულის ვარდის — ჰიუიტის დამზაფრავი მარცხის შემდეგ მოუხდა. მაგრამ კიმს დაზაფრულობისა არაფერი ეტყობოდა. სამხრეთაფრიკელმა ამანდა კუცერმა მას მხოლოდ 57 წუთი გაუძლო.

ახლა 19 წლის ბელგოგო, ვისი საუკეთესო სლემმიღწევა 2001 წელს როლან გაროსის ფინალში გასვლაა, ხოლო ავსტრალიის შარშანდელი პირველობა მხოლოდ ნახევარფინალის შემდეგ დატოვა, კადნიერ რუსს, ანასტასია მისკინას შეხვდება. მისკინამ, თავის მხრივ, ოდნავ მოულოდნელად სძლია ჩია ამერიკელ ჩანდა რუბინს.

დღის ყველაზე დაძაბული მატჩი ამერიკელ ენდი როდიკსა და რუს მიხაილ იუჟნის შორის შედგა, ხოლო ყველაზე „გაუთვალისწინებლად" არმენოგაუჩო დავიდ ნალბანდიანისა და შვეიცარიელი როჯერ ფედერერის მატჩი დასრულდა.

იუჟნიმ თავისი საამტურნირო შესაძლებლობები როდიკისთვის პირველი სეტების მოგებით ამოწურა — დანარჩენ სამ სეტში ენდის უპირატესობა უკვე აშკარა იყო. ჯიუტმა რუსმა მისი მძლავრი, ხშირად მოეისე მოწოდებასა და შედარებით მრავალფეროვან არსენალს ვეღარაფერი დაუპირისპირა. სასლემო მეოთხედფინალში როდიკი აქამდე ორჯერ მოხვედრილიყო — 2001 და 2002 წლებში ის აშშ-ის ღია პირველობის უკანასკნელ „რვეულებშიც" გადიოდა.

ნალბანდიანისა და ფედერერის შეხვედრას კი არ შეეხედებოდა — გულისგამაწვრილებელ, ულიმღამო ხათქა-ხუთქში გამარჯვება მეტი ჯიგრითა და უფრო შეუცდომლად მოთამაშე ნალბანდიანმა ირგუნა. ფედერერმა კი კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მარტო კარგი მონაცემები მეჩოგნეს „ანგარიშგასაწევ სლემფაქტორად" ვერ აქცევს.

მეოთხედფინალში როდიკი ელ აინაუის ძლევით ეცდება კარიერის პირველ დიდ ნახევარფინალში გასვლას, შარშანდელი უიმბლდონის ფინალისტი ნალბანდიანი კი გერმანელ რაინერ შიუტლერს შეეყრება, რომელმაც 23 წლის ამერიკელს, უსექსუალურეს კაცმეჩოგნედ მიჩნეულ ჯეიმს ბლეიკს აჯობა.

და რაღა დაგვრჩა?

ალბათ ბევრი რამ, მაგრამ აქ მხოლოდ იმასღა დავძენთ, რომ სერენა უილიამსმა მორიგ მეტოქეს ისევ სეტისწაუგებლად ჩაუარა და ნახევარფინალში გასასვლელად ისე-რა თვისტომს, მეგენ შონესის შეერკინება.

**ლევან ძელაურაძე**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 18.30 | 001 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 1.9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 002 | ჰანზა-მიუნხენი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.30 | 003 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.30 | 004 | ვერდერი-არმინია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.30 | 005 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.30 | 006 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.30 | 007 | ჰერტა-დორტმუნდი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 20.30 | 008 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 009 | ლევერკუზენი-კოტბუსი | 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | |
| 23.15 | 010 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 011 | ბაიერნი-მიონხენგლადბახი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3.0 | | | |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 012 | ზტ.პაული-აინტრახტი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 22.00 | 013 | ვალდჰოფი-ბრაუნშვაიგი | 1.8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.00 | 014 | კიოლნი-კარლსრუე | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 015 | კიოლნი-კარლსრუე 0:1 | 2,1 | 3.2 | 2,4 | | | |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 016 | მაინცი-უნიონი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 017 | ობერჰაუზენი-ლიუბეკი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 018 | რაიტლინგენი-ალენი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 18.00 | 019 | ფიურტი-დუისბურგი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 18.00 | 020 | ბურგჰაუზენი-ტრიერი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **27 იანვარი** | | | | | | |
| 23.15 | 021 | ფრაიბურგი-ალემანია | 1,65 | 3,2 | 5.6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 022 | ჩარლტონი-ვესტ ჰემი | 1,95 | 3.2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.45 | 023 | ნიუკასლი-ბოლტონი | 1.45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 024 | ნიუკასლი-ბოლტონი | 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 025 | გრიმსბი-ბრედფორდი | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 026 | პრესტონი-ნოტინგემი | 2.6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 027 | ნოტსი-სტოკპორტი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1.19 | 1,28 | 1,7 |
| 23.45 | 028 | პორტ ვეილი-კარდიფი | 3.4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 029 | სუინდონი-ბლეკპული | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 042 | მაკლსფილდი-ჰარტლპული | 3.3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |
| 23.45 | 043 | რაშდენი-ლინკოლნი | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.45 | 044 | სკანთორპი-ექსეტერი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.45 | 045 | საუთენდი-ოქსფორდი | 2.5 | 3.2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **იტალია. სერია "A". XVIII ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 058 | მოდენა-ატალანტა | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.30 | 059 | კიევო-რომა(ნეიტრ.) | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 060 | ბოლონია-ტორინო | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 061 | ბოლონია-ტორინო | 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | |
| 18.00 | 062 | ბრეშა-პარმა | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 18.00 | 063 | ინტერი-ემპოლი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 064 | ინტერი-ემპოლი | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 18.00 | 065 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 066 | იუვენტუსი-პიაჩენცა | 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | |
| 18.00 | 067 | ლაციო-რეჯინა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 068 | ლაციო-რეჯინა | 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | |
| 18.00 | 069 | პერუჯა-კომო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.30 | 070 | უდინეზე-მილანი | 3,5 | 3,0 | 2,1 | 1,61 | 1,31 | 1,23 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 00.30 | 114 | ატლეტიკო-სოსიედადი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 106 | ბილბაო-რეალი | 3.6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| 20.00 | 107 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 20.00 | 108 | ოსასუნა-რასინგი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 20.00 | 109 | ვალენსია-სელტა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 20.00 | 110 | მალაგა-მალიორკა | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 20.00 | 111 | უელვა-რაიო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 20.00 | 112 | ბეტისი-ვილიარეალი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 20.00 | 113 | ვალიადოლიდი-ალავესი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1.17 | 1,28 | 1,74 |
| 23.30 | 105 | სელტა-ბარსელონა | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XX ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 21.30 | 115 | ლას პალმასი-ტენერიფე | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1.16 | 1,35 | 1,67 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 14.30 | 116 | ხეტაფე-სალამანკა | 2,5 | 2,9 | 2,8 | 1,34 | 1,32 | 1,42 |
| 15.00 | 117 | სარაგოსა-ეხიდო | 1,65 | 3,0 | 6,5 | 1,06 | 1,31 | 2,05 |
| 20.00 | 118 | ბადახოსი-სერესი | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |
| 20.00 | 119 | კომპოსტელა-ლევანტე | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| 20.00 | 120 | ეიბარი-ლეგანესი | 2,0 | 2,6 | 4,6 | 1,13 | 1,39 | 1,66 |
| 20.00 | 121 | ოვიედო-კორდობა | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| 20.00 | 122 | ფეროლი-მურსია | 2,4 | 2,7 | 3,2 | 1,27 | 1,37 | 1,46 |
| 20.00 | 123 | ტერასა-სპორტინგი | 2,25 | 2,7 | 3,5 | 1,22 | 1,36 | 1,52 |
| 20.00 | 124 | ალმერია-ალბასეტე | 2,45 | 2,8 | 3,0 | 1,3 | 1,34 | 1,44 |
| 20.00 | 125 | ნუმანსია-ელჩე | 2,5 | 2,7 | 3,0 | 1,29 | 1,36 | 1,42 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXIII ტური** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 126 | ოსერი-მარსელი | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 21.00 | 127 | ლიონი-სოშო | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.30 | 128 | რენი-ბასტია | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.30 | 129 | ბორდო-გენგამი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.30 | 130 | მონაკო-ლანსი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 23.30 | 131 | ლე ავრი-მონპელიე | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.30 | 132 | ნიცა-პსჟ | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| 23.30 | 133 | ნანტი-სედანი | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 23.30 | 134 | ლილი-სტრასბური | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 23.30 | 135 | აიაჩო-ტრუა | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 136 | ტულუზი-ლე მანი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23.30 | 137 | ამიენი-ნანსი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 23.30 | 138 | შატორუ-ვალანსი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.30 | 139 | კლერმონი-ვასკეალი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.30 | 140 | გრენობლი-კრეტეი | 2,0 | 2,8 | 4,2 | 1,16 | 1,35 | 1,67 |
| 23.30 | 141 | გენიონი-ბოვე | 2,25 | 2,9 | 3,3 | 1,26 | 1,33 | 1,54 |
| 23.30 | 142 | ისტრი-ნიორი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.30 | 143 | ლავალი-კანი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.30 | 144 | ლორიანი-მეცი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 23.30 | 145 | რეიმსი-სტ.ეტიენი | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 01.00 | 146 | ვარზიმი-ბელენენსეში | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 147 | ლეირია-მარიტიმუ | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 22.00 | 148 | პორტუ-ბოავისტა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 01.15 | 149 | სანტა კლარა-სპორტინგი | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 150 | მორეირენსე-ვარზიმი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 20.00 | 151 | ფეირეირა-ბრაგა | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.00 | 152 | ნასიონალი-გიმარაეში | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.00 | 153 | სეტუბალი-ჟილ ვისენტე | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 00.15 | 154 | ბენფიკა-ბეირა მარი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 155 | ბენფიკა-ბეირა მარი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 156 | პენაფიელი-შავეში | 2,05 | 3,0 | 3,6 | 1,21 | 1,3 | 1,63 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 157 | ლეიქა-ნავალი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 19.00 | 158 | მარკუ-ალვერკა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 19.00 | 159 | ოვარენსე-კოვილია | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 20.00 | 160 | მადეირა-ლამაში | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 20.00 | 161 | მაია-ამადორა | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 162 | ფელგეირაში-სალგეიროში | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 20.00 | 163 | პორტიმონენსე-ფარენსე | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 21.00 | 164 | რიუ ავე-ავეში | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 165 | ლევენი-ლიერსი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 23.00 | 166 | გენტი-მუსკრონი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| 23.00 | 167 | მეხელენი-ანდერლეხტი | 6,0 | 3,8 | 1,4 | 2,32 | 1,13 | 1,02 |
| 23.00 | 168 | ბევერენი-ბრიუგე | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 23.00 | 169 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 23.00 | 170 | ვესტერლო-მონსი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 18.00 | 171 | გენკი-ანტვერპენი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.00 | 172 | სტანდარდი-შარლეროა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 173 | სტანდარდი-შარლეროა 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.00 | 174 | ბეერსხოტი-ლოკერენი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | **ინგლისი. თასი. IV ეტაპი** | | | | | | |
| | | **25 იანვარი** | | | | | | |
| 16.30 | 198 | ჯილინგემი-ლიდსი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 19.00 | 199 | ბლეკბერნი-სანდერლენდი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 200 | ბრენტფორდი-ბარნლი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 201 | ფარნბორო-არსენალი | 25,0 | 8,0 | 1,05 | 6,06 | 1 | 1 |
| 19.00 | 202 | ნორვიჩი-დაგ ენ დრედი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| 19.00 | 203 | როჩდეილი-ქოვენტრი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 19.00 | 204 | შეფილდი-იფსვიჩი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 19.00 | 205 | საუთჰემპტონი-მილუოლი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 19.00 | 206 | უოლსოლი-უიმბლდონი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 19.00 | 207 | უოტფორდი-ვესტ ბრომვიჩი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 19.00 | 208 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| | | **26 იანვარი** | | | | | | |
| 17.00 | 209 | მანჩესტერი-ვესტ ჰემი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| 18.00 | 210 | ფულჰემი-ჩარლტონი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 19.00 | 211 | სტოკი-ბორნმუთი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 20.00 | 212 | კრისტალ პალასი-ლივერპული | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.30 | 213 | შრიუსბერი-ჩელსი | 7,5 | 4,4 | 1,35 | 2,77 | 1,14 | 1,03 |
| | | **ინგლისი. ლიგის თასი. ½ ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 214 | ლივერპული-შეფილდი | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 215 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1.64 | 1,27 | 1,24 |
| | | **იტალია. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 216 | ბარი-ლაციო | 3,4 | 3,0 | 2,15 | 1,59 | 1,31 | 1,25 |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 20.30 | 217 | რომა-ვიჩენცა | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| 24.00 | 218 | კიევო-მილანი | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 24.00 | 219 | პერუჯა-იუვენტუსი | 3,0 | 2,9 | 2,4 | 1,47 | 1,33 | 1,31 |
| | | **ესპანეთი. თასი. ¼ ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23.45 | 220 | დეპორტივო-მურსია | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| 24.00 | 221 | უელვა-ატლეტიკო | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| 24.00 | 222 | სევილია-ოსასუნა | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 00.30 | 223 | რეალი-მალიორკა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **ბელგია. თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 238 | სტანდარდი-ლოკერენი | 1,55 | 3,5 | 5,6 | 1,07 | 1,21 | 2,15 |
| 23.30 | 239 | ბრიუგე-ლომელი | 1,1 | 7,5 | 14,0 | 1 | 1,01 | 4,88 |
| 23.30 | 240 | ანდერლეხტი-სტ.ტრუიდენი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 24.00 | 241 | ანტვერპენი-ბეერსხოტი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/8 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 242 | იანინა-არისი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 21.30 | 243 | ოლიმპიაკოსი-პანაჰაიკი | 1,1 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,01 | 4.19 |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 19.00 | 244 | პანიონიოსი-ეგალეო | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 21.30 | 245 | აპოლონი-აეკ | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| | | **თანამეგობრობის თასი. 21 იანვარი** | | | | | | |
| 14.00 | 262 | ფლორა-შამქირი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 14.00 | 263 | შერიფი-რუსეთი(ახალ) | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 16.00 | 264 | სკონტო-რეგარი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |
| 16.00 | 265 | ბატე-პიუნიკი | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| | | **ამხანაგური მატჩი. 22 იანვარი** | | | | | | |
| 23.00 | 266 | სელტიკი-ფეიენოორდი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი. 21 იანვარი** | | | | | | |
| 20.00 | 619 | ვსეტინი-სპარტა | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 24 იანვარი | | | | | | | | |
| 20.00 | 620 | ვსეტინი-ვიტკოვიცე | 2,15 | 4,2 | 2,35 | 1,42 | 1,12 | 1.5 |
| 20.00 | 621 | პარდუბიცე-ზლინი | 3,3 | 4,6 | 1,6 | 1,92 | 1,07 | 1,18 |
| 20.30 | 622 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 1,6 | 4,6 | 3,5 | 1,18 | 1,09 | 1,98 |
| 20.30 | 623 | ლიტვინოვი-პარდუბიცე | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 20.30 | 624 | პლზენი-სპარტა | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 20.30 | 625 | კარლოვი ვარი-ტრჟინეცი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 21.00 | 626 | სლავია-ზნოიმო | 1,5 | 4,6 | 4,2 | 1,13 | 1,1 | 2,19 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია. 21 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 634 | ფრიბურგი-დავოსი | 2,5 | 4,2 | 2,0 | 1,56 | 1,11 | 1,35 |
| 22.30 | 635 | სერვეტი-ამბრი | 1,65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 22.30 | 636 | ლუგანო-რაპერსვილი | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2.08 |
| 22.30 | 637 | ლანგნაუ-ლოზანა | 1,7 | 4,2 | 3,3 | 1,21 | 1,12 | 1,84 |
| 22.30 | 638 | ციურიხი-ბერნი | 1,7 | 4,2 | 3,3 | 1,21 | 1,12 | 1,84 |
| 22.30 | 639 | ცუგი-კლოტენი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| | | **ჰოკეი. გერმანია. 21 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 643 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,7 | 4,2 | 3,3 | 1,21 | 1,12 | 1,84 |
| 22.30 | 644 | კიოლნი-მანჰაიმი | 2,0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 645 | ფრანკფურტი-დიუსელდორფი | 2.3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| | | **24 იანვარი** | | | | | | |
| 22.30 | 646 | კასელი-ჰანოვერი | 1.65 | 4,4 | 3,4 | 1,2 | 1,11 | 1,91 |
| 22.30 | 647 | ინგოლშტადტი-იზერლონი | 2,25 | 4,2 | 2,35 | 1,46 | 1,14 | 1,5 |
| 22.30 | 648 | კიოლნი-აისბარენი | 2.05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| 22.30 | 649 | აუგსბურგი-კრეფელდი | 2,25 | 4,2 | 2,25 | 1,46 | 1,12 | 1,46 |
| 22.30 | 650 | ჰამბურგი-მანჰაიმი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,39 |
| 22.30 | 651 | ნიურნბერგი-შვენინგი | 1,35 | 5,0 | 5,0 | 1,06 | 1,06 | 2,5 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი. 21 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 659 | ფროლუნდა-მალმიო | 1,4 | 4.8 | 4,8 | 1.08 | 1,08 | 2,4 |
| | | **23 იანვარი** | | | | | | |
| 22.00 | 660 | ფროლუნდა-ბრიუნესი | 1,4 | 4,8 | 4,8 | 1,08 | 1,08 | 2,4 |
| 22.00 | 661 | ლინშოპინგი-მოდო | 2,2 | 4,2 | 2.3 | 1,44 | 1,12 | 1,48 |
| 22.00 | 662 | ტიმრო-იურგორდენი | 2.0 | 4,2 | 2,5 | 1,35 | 1,11 | 1,56 |
| 22.00 | 663 | ჰვ 71-ფერიესტადი | 2,45 | 4,2 | 2,05 | 1,54 | 1,11 | 1,37 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 664 | ლეკსანდი-სოდერტელიე | 1,75 | 4.2 | 3.1 | 1,23 | 1,11 | 1.78 |
| 22.00 | 665 | ლულეო-მალმიო | 1.7 | 4.2 | 3,3 | 2,09 | 1,84 | [illegible] |
| | | **ჰოკეი. ფინეთი.** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 20.30 | 672 | ესპოო-ტურკუ | 1,7 | 4.2 | 3,3 | 1.21 | 1.12 | [illegible] |
| 20.30 | 673 | კარპატი-იუვესკიულე | 1.7 | 4.2 | 3.3 | 1.21 | 1.12 | [illegible] |
| 20.30 | 674 | პელიკანსი-ჰამეენლინა | 3,3 | 4.2 | 1.7 | 1,84 | 1.12 | 1.21 |
| 20.30 | 675 | ტაპარა-საიპა | 1,65 | 4.4 | 3.4 | 1,2 | 1,11 | 1.91 |
| | | **ჰოკეი. NHL.** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 04.00 | 686 | ბუფალო-პიტსბურგი | 2,3 | 3,4 | 2.45 | 1,37 | 1,18 | 1,42 |
| 04.00 | 687 | აილენდერსი-რეინჯერსი | 2.3 | 3.4 | 2,45 | 1,37 | 1.18 | 1,42 |
| 04.30 | 688 | ტორონტო-ფილადელფია | 2,35 | 3,2 | 2,5 | 1.35 | 1,21 | 1.4 |
| 04.30 | 689 | ატლანტა-სტ.ლუისი | 2.8 | 3.4 | 2,1 | 1.53 | 1.19 | 1,29 |
| 05.00 | 690 | ნეშვილი-ვანკუვერი | 3,1 | 3,1 | 2.1 | 1,54 | 1.25 | 1.25 |
| | | **კალათბურთი. ეჩ შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **22 იანვარი** | | | | | | |
| 19.30 | 732 | ჩეხეთი-პორტუგალია | 1.15 | 12.0 | 4.0 | 1,04 | 1 | 3 |
| 20.00 | 733 | თურქეთი-ჰოლანდია | 1,01 | 12,0 | 10.0 | 1 | 1 | 5.45 |
| 20.00 | 734 | ბულგარეთი-შვეიცარია | 1.15 | 12.0 | 4.0 | 1.04 | 1 | 3 |
| 20.00 | 735 | რუმინეთი-დანია | 1,1 | 12.0 | 5.0 | 1 | 1 | 3.52 |
| 20.00 | 736 | ხორვატია-ბოსნია | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1 | 1 | 3.52 |
| 20.00 | 737 | რუსეთი-ინგლისი | 1.01 | 12.0 | 10.0 | 1 | 1 | 5.45 |
| 21.00 | 738 | ლიტვა-უკრაინა | 1.2 | 12,0 | 3.5 | 1,09 | 1 | 2.7 |
| 21.00 | 739 | უნგრეთი-ბელარუსი | 1.2 | 12.0 | 3.5 | 1.09 | 1 | 2.7 |
| 21.00 | 740 | ლატვია-ესტონეთი | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1 | 1 | 3.52 |
| 22.00 | 741 | გერმანია-მაკედონია | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1 | 1 | 3.52 |
| 23.00 | 742 | საბერძნეთი-ისრაელი | 1.25 | 12.0 | 3.1 | 1.13 | 1 | 2.46 |
| 23.00 | 743 | საფრანგეთი-პოლონეთი | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1 | 1 | 3.52 |
| 23.15 | 744 | ირლანდია-კვიპროსი | 1.1 | 12.0 | 5.0 | 1 | 1 | 3.52 |
| 23.30 | 745 | ესპანეთი-ბელგია | 1.02 | 12.0 | 8.0 | 1 | 1 | 4.8 |
| 23.30 | 746 | იტალია-სლოვენია | 1.2 | 12,0 | 3.5 | 1.09 | 1 | 2.7 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **21 იანვარი** | | | | | | |
| 04.00 | 762 | კლივლენდი-ორლანდო | 2.3 | 12.0 | 1.45 | 1,93 | 1 | 1,29 |
| 05.30 | 763 | დალასი-ჰიუსტონი | 1.2 | 12,0 | 3.5 | 1,09 | 1 | 2.7 |
| 07.00 | 764 | საკრამენტო-ნიუ ჯერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 | 1,21 | 1 | 2,06 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**25.01 18.30 2601 გერმანია ბლ. (XVIII ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
**25.01 21.00 2602 იტალია "A" (XVIII ტური)**
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
**25.01 00.30 2603 ესპანეთი Iდ. (XIX ტური)**
25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9
**21.01 23.45 2604 საფრანგეთი Iდ. (XXIII ტური)**
22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9
**24.01 01.00 2605 პორტუგალია Iლ. (XIX ტური)**
23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9
**25.01 23.00 2606 ბელგია Iდ. (XIX ტური)**
26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9

## ხელბურთი. მჩ (პორტუგალია). ჩემპიონი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 901 | დანია | 2.8 | 913 | სლოვენია | 50,0 |
| 902 | რუსეთი | 5,0 | 914 | უნგრეთი | 70,0 |
| 903 | გერმანია | 5,0 | 915 | პოლონეთი | 100.0 |
| 904 | შვედეთი | 5,0 | 916 | ალჟირი | 250,0 |
| 905 | საფრანგეთი | 6,0 | 917 | მაროკო | 400,0 |
| 906 | იუგოსლავია | 10,0 | 918 | ავსტრალია | 500,0 |
| 907 | ესპანეთი | 12,0 | 919 | არგენტინა | 500,0 |
| 908 | ხორვატია | 15,0 | 920 | ბრაზილია | 500,0 |
| 909 | ისლანდია | 25,0 | 921 | გრენლანდია | 500,0 |
| 910 | ტუნისი | 30,0 | 922 | კუვეიტი | 500,0 |
| 911 | ეგვიპტე | 40,0 | 923 | ს.არაბეთი | 500,0 |
| 912 | პორტუგალია | 40,0 | 924 | კატარი | 500,0 |


**სამ თბილისურ ბიუროში**

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46
(მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან",
ყოფილი „დელისი");
დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ
რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
ბროძომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30


**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# კალათბურთის თასი შემქინა

## თბილისში დაბადებული რუსთავში გააძიძეს

*არ არის ურიგო საქმე: სეზონის დაწყებამდე კალათბურთის ფედერაციამ დუდუ დადიანის ხსოვნის ტურნირი გამართა, რითაც გუნდებს საკუთარი შესაძლებლობების შეფასების კარგი საშუალება მიეცათ, ახლა კი, ჩემპიონატის განახლებამდე, საქართველოს თასიც გათამაშდება*

[illegible]

[illegible]

**ირაკლი პერტაია**

### საქართველოს თასი 2003

გათამაშების კალენდარი

| | | |
|---|---|---|
| 3 თებერვალი | | |
| დინამო | სსუ | 13.00 |
| სტუ ჯეოსელი | თსუ | 14.45 |
| აზოტი | აკადემია | 16.30 |
| 4 თებერვალი | | |
| თსუ | სსუ | 13.00 |
| დინამო | სტუ ჯეოსელი | 14.45 |
| აზოტი | მაკაბი | 16.30 |
| 5 თებერვალი | | |
| მაკაბი | აკადემია | 12.00 |
| თსუ | დინამო | 13.45 |
| სსუ | სტუ ჯეოსელი | 15.30 |
| ბასკო | აზოტი | 17.15 |
| 6 თებერვალი | | |
| აკადემია | ბასკო | 11.00 |
| ბასკო | მაკაბი | 17.00 |
| 7 თებერვალი | | |
| ა1 | ბ2 | 14.00 |
| ბ1 | ა2 | 16.00 |
| 8 თებერვალი | | |
| ფინალი | | 15.00 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი




იაო მინგი შაკილ ონილს შეუთამაშდა

REUTERS მოუსტონიდან

# ბიჭი, რომელიც ჩემზე მეტს შექლებს

## იაო მინგის შემყურე შაკილი მიხვდა, რა ადარდებდათ ძველ დიდებს

— 17 იანვარი —

**დენვერი 97:80 კლივლენდი**

**დენვერი:** ჰარინგტონი (11 ქულა, 8 პასი, 6 ჩაჭრა), იარბრო (2), ჰოვარდი (25), კემბი (5), ილარიო (6); ვაიტი (23), ბოუენი (8), ცქიტიშვილი (14 წუთი, 5 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), ბლუნტი (5), ანდერსონი (5), კროტი (2), ჰარვი

**კლივლენდი:** პარკერი, დევისი (12), მაილზი (4), ბუზერი (16 ქულა, 15 მოხსნა), ილგაუსკასი (26 ქულა, 11 მოხსნა); ჯონსი (9), ვაგნერი (8), პალასიო (3), დიოპი (2), მიჰმ

— 18 იანვარი —

**მაიამი 102:101 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 86:86

**მაიამი:** ჯეიმსი (14), ჯონსი (15), კ. ბატლერი (18), ალენი (23), გრანტი (14 ქულა, 20 მოხსნა); რ. ბატლერი (8), სტეფანია (20 წუთი, 6 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება), ბესტი (4)

**ჩიკაგო:** უილიამსი (5), ჰასელი, როუზი (30), მარშალი (24 ქულა, 15 მოხსნა), ჩანდლერი (4); ფიზერი (16), კროუფორდი (15), რობინსონი (4), კარი (2), ჰოიბერგი (1), ბლუნტი

— 17 იანვარი —

**ჰიუსტონი 108:104 ლეიკერსი**

ძირითადი დრო 92:92

**ფინიქსი 111:106 დალასი**

**ფილადელფია 95:99 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი 85:77 ტორონტო**

**ნიუ ორლეანი 90:83 ჩიკაგო**

**გოლდენ სტეიტი 107:98 მინესოტა**

**ბოსტონი 98:93 ინდიანა**

**დეტროიტი 97:82 ნიუ იორკი**

**სან ანტონიო 106:93 ატლანტა**

**სიეტლი 103:97 მემფისი**

ძირითადი დრო 88:88

— 18 იანვარი —

**ინდიანა 88:86 დეტროიტი**

**ატლანტა 92:95 ნიუ იორკი**

**ვაშინგტონი 80:88 ფილადელფია**

**მილუოკი 95:97 ბოსტონი**

**პორტლენდი 98:104 მინესოტა**

**იუტა 95:78 კლივლენდი**

**კლიპერსი 112:107 საკრამენტო**

— 19 იანვარი —

**ტორონტო 93:101 ორლანდო**

**სიეტლი 85:81 დალასი**

14 გამარჯვება და 26 მარცხი და აქედან გამოყვანილი გამარჯვებების 35 პროცენტი გვარიანი შედეგია ჩიკაგოელი „ხარებისთვის", ცხადია, ბოლო წლებთან შედარებით, თორემ „ხარებს" არცთუ შორეულ წარსულში ისეთი შედეგები ჰქონიათ, როგორებზეც დიადი გუნდები მხოლოდ ოცნებობენ.

მაგრამ „ჩიკაგო ბულზი" მაინც არაა თუნდაც საშუალო გუნდი. როგორც კი ასეთებში გასარევად „ხარები" ნაბიჯს დგამენ, ორით უკან ბორძიკობენ. როდემდე იქნებიან ასე ჰაერში გამოკიდებულები, ამის პროგნოზირებაზე თავის მტვრევა არ ღირს. უბრალოდ, ღირებული ფაქტები დავასახელოთ, თუნდ ის, რომ სეზონის პირველი მატჩის ბოსტონში მოგების შემდეგ „ხარებმა" ყველა გასვლა წააგეს, ხოლო სტუმრად ნაჩვენები 1-19 შედეგით ისინი საშუალოებში და მეპლეიოფეებში თავს ვერ შეყოფენ.

„ჩიკაგო" ვერც აუტსაიდერებს უგებს სტუმრად და ვერც მაიამიში გაწყო რამე. ეგაა, პატ რაილის შეგირდების მასირებულ მოძალებას 48 წუთის ნაცვლად 58 წუთს გაუძლო და საბოლოო მეორე ოვერტაიმში დამარცხდა.

გადამწყვეტი ბურთი მაიამელთა თავდამსხმელ-ცენტრმა ბრაიან გრანტმა ჩააგდო მეორე ოვერტაიმის დამთავრებამდე 7,6 წამით ადრე. ფარქვეშ გრანტის მეწყვილემ მალიქ ალენმა იმ დღეს პირდაპირ აიკლო „ჩიკაგოს" კალათი და კარიერაში უმეტესი 23 ქულა მოინაგრა. აი, გრანტს კი მაინცდამაინც ვერ მისდიოდა სროლები. გადამწყვეტი ბურთის ჩაგდებამდე ათი წამით ადრე მან ორი საჯარიმოც კი ააცილა და ლამის დაღუპა თავისიანები. ბედად ბურთი ისევ მისიანებს დარჩათ და ტრავმამოშუშებული ედი ჯონსის პასის შემდეგ გრანტს აღარ აჰკანკალებია ხელი.

ვოვა სტეფანიას „მაიამისთან" ერთად ამ უქმეებზე მეორე ქართველის გუნდმაც მოიგო. ნიკა ცქიტიშვილმა 14 წუთში ხუთი ქულა ჩააგდო და „დენვერ ნაგიტსის" იშვიათ გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა. სხვათა შორის, ზუსტად ამდენივე ქულა გააკეთა მარკუს კემბიმ და ეს იყო მისი პირველი ოფიციალური თამაში „დენვერ ნაგისტში", გუნდში, რომლის რიგებშიც 7 თვეა ირიცხება.

კემბი „დენვერში" 2002 წლის დრაფტის დროს მივიდა ნენე ილარიოსთან ერთად. ის „ნიუ იორკის" კუთვნილება იყო და ბრაზილიელ ახალბედასთან ერთად „ნიქსმა" ანტონიო მაკდაიერის ნაცვლად დაუთმო „დენვერს". კემბი გადასარევი მოთამაშეა, მაგრამ ერთ გუნდში ხანგრძლივად გაჩერება უჭირს, რაკი მისი ხშირი ტრავმიანობა ყველაზე მტკიცე მენეჯერებსაც აკარგვინებს მოთმინებას. „დენვერში" გადმოსულმა კემბიმ ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე გაიკეთა ბარძაყის ოპერაცია, რის გამოც სეზონის თითქმის ნახევარი, 38 თამაში გამოტოვა. ბზდელიკმა ის სასტარტო ხუთეულში დააყენა, კემბიმ კი მას უნებლიეთ გაუფუჭა ხასიათი. თამაში 17 წამის დაწყებული იყო, რომ მან ქუსლი იტკინა და საავადმყოფო გახდა. „დენვერის" 211-სანტიმეტრიანი და მეშვიდეწლიანი დებიუტანტი მაინც დაბრუნდა მოედანზე და შვიდ წუთში ხუთი ქულა გააკეთა. „ნაგიტსი" არ საჭიროებდა მის დახმარებას, ამიტომ ბზდელიკმა კემბი მალევე დასვა. დასავლეთის უარესმა გუნდმა უმისოდაც იოლად გატეხა აღმოსავლელი მაჩანჩალა.

● ● ●

„ჰიუსტონ როკიტსის" ჩინელ ცენტრ იაო მინგს მხოლოდ სამი წუთი დასჭირდა ლეიკერსელი შაკილ ონილისთვის იმის დასამტკიცებლად, რომ ის მხოლოდ 226-სანტიმეტრიანი ახლაყუდა კი არა, უკვე კარგი კალათბურთელია. წოწოლა მინგმა მატჩის პირველ სამ წუთში სამჯერ დაფარა შაკილ ონილის ნასროლს. შაკი ტყუილად ეცდება, ის ვერ გაიხსენებს, ბოლოს როდის აკადრეს ასეთი რამ. მართალია, მატჩის დანარჩენი დრო დევშაკი იოლად ჯაბნიდა ჩინელს და მასზე 21 ქულით მეტიც ჩააგდო, მაგრამ მატჩის შემდეგ უზრუნველი სიფათი, ცუდად შენიღბულ შეშფოთებას დაეფარა. „ლეიკერსის" გოლიათი ცენტრი ალბათ მიხვდა, რომ მალე ის ერთადერთი ფართამპყრობელი აღარ იქნება. მინგი თვალსა და ხელს შუა იზრდება. ახლა ონილი ალბათ თავად შეიგრძნობს იმას, რასაც წლების წინ მასთან შეხვედრისას გრძნობდნენ უფროსთაობელები — ჰაკიმ ოლაჯუონი და პატრიკ იუინგი.

სხვათა შორის, შაკილ ონილმა, კობი ბრაიანტმა და მათმა დამხმარეებმა წააგეს ის თამაში. მინგის ცქნაფა თანაგუნდელმა სტივ ფრენსისმა 44 ქულა (კარიერის რეკორდი) ჩაუგდო ჩემპიონებს და „ჰიუსტონს" ოვერტაიმში გაამარჯვებინა.

● ● ●

ნბა-ში ამ სეზონიდან არსებობს ბოლო წამზე ჩავარდნილი ბურთის ვიდეოეკრანზე გამეორების და შემოწმების წესი. მსაჯებს უფლება ეძლევათ, მოიშველიონ ტექნიკა იმის დასადგენად, ჩავარდნილი ბურთი დროის ამოწურვამდე იქნა ნასროლი, თუ შემდეგ. ჰოდა, მსაჯებიც დიდხანს, საფუძვლიანად ბჭობდნენ ინდიანელი ჯერმენ ონილის ნასროლი ჩაეთვალათ, თუ არა. ონილმა 86:86 ანგარიშზე ზედ ბოლო წამზე ჩაუგდო ბურთი თანადივიზიონელ და მდევარ „დეტროიტს". ორივე გუნდი დიდხანს ელოდა არბიტრთა გადაწყვეტილებას, ხალხიც არ იშლებოდა. მსაჯებს გადაწყვეტილების მისაღებად, წესის თანახმად, 2 წუთი აქვთ, მათ კი 17 წუთი აცდევინეს 20 ათას კაცს და შეხვედრის ბედი საბოლოოდ ჩამგდების და მისიანების სასარგებლოდ გადაწყვიტეს. ასე რომ, „ინდიანამ" 88:86 დაამარცხა „დეტროიტი", ონილისა და მსაჯების წყალობით.

● ● ●

ტორონტოში მოსტუმრე „ორლანდოს" სუპერფორვარდ ტრეისი მაკგრეიდის მთელი შეხვედრის განმავლობაში უსტვენდნენ კანადელები. მაკგრეიდი სამი წლის წინ „ტორონტოდან" „ორლანდოში" გადავიდა, რაკი თავისი ბიძაშვილის, ვინს კარტერის ჩრდილში თამაში არ ისურვა. გულშემატკივრები ამას ღალატად აღიქვამენ. კარტერს ამჟამად ტრავმა სჭირს, მაკგრეიდი კი ჯანზეა და მისი 31 ქულა „ორლანდოს" სავსებით ეყო გასამარჯვებლად. მაკგრეიდი — „მადლობა სტვენისთვის, ტორონტოელებო. თქვენ ვერც კი ხვდებით, რომ ამით თამაშის ჟინს მილვიძებთ. ძალიან გთხოვთ, ყოველ ჩამოსვლაზე მისტვინეთ, ძალიან, ძალიან, ძალიანა გთხოვთ".

● ● ●

ორი თამაში და ორი მარცხი — „დალას მავერიკსი" თურმე ცხრათავა გველეშაპი როდი ყოფილა, მისი წაქცევა კოჭლი ცხენითაც შეიძლება. ამ უქმეებზე „ფინიქსმა" და „სიეტლმა" ორჯერ იმსხვერპლეს სუპერტეხასელები. თუმცა „დალასი" ხომ მაინც პირველია.

**ირაკლი ფირცხალავა**




ორლანდოელმა ტრეისი მაკგრეიდმა სიამოვნებით მოახრა „ტორონტოს" კალათი

REUTERS ტორონტოდან

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| ნიუ ჯერსი | 28 | 11 | 71,8 |
| ბოსტონი | 23 | 17 | 57,5 |
| ფილადელფია | 21 | 19 | 52,5 |
| ორლანდო | 21 | 21 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 20 | 20 | 50,0 |
| ნიუ იორკი | 15 | 23 | 39,5 |
| მაიამი | 14 | 26 | 35,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 29 | 11 | 72,5 |
| დეტროიტი | 26 | 13 | 66,7 |
| ნიუ ორლეანი | 21 | 20 | 51,2 |
| მილუოკი | 19 | 21 | 47,5 |
| ატლანტა | 14 | 26 | 35,0 |
| ჩიკაგო | 14 | 26 | 35,0 |
| ტორონტო | 10 | 31 | 24,4 |
| კლივლენდი | 8 | 34 | 19,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 31 | 8 | 79,5 |
| სან ანტონიო | 25 | 14 | 64,1 |
| იუტა | 24 | 15 | 61,5 |
| ჰიუსტონი | 23 | 15 | 60,5 |
| მინესოტა | 22 | 18 | 55,0 |
| მემფისი | 12 | 27 | 30,8 |
| დენვერი | 10 | 29 | 25,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 29 | 11 | 72,5 |
| ფინიქსი | 25 | 16 | 61,0 |
| პორტლენდი | 23 | 15 | 60,5 |
| ლეიკერსი | 18 | 21 | 46,2 |
| სიეტლი | 18 | 21 | 46,2 |
| გოლდენ სტეიტი | 17 | 22 | 43,6 |
| კლიპერსი | 15 | 24 | 38,5 |

# წელი ბორჯღალოვით სატრიალო



ვაჟა ძიძიშვილის ფოტო

ვიქტორ დიდებულიძეს და სხვა ბორჯღალოსნებს წლეულს მხართეძოზე წამოსაწოლად აღარ ეცლებათ

***2003 წელი საქართველოს ნაკრებისთვის განსაკუთრებულია. წლეულს ჩვენები ორ ტურნირშიც ითამაშებენ და სამ ტესტსაც გამართავენ. სულ ბორჯღალოსნებს 12 მატჩი უწევთ, რაც მათ 13-წლიან მატიანეში უმაგალითო ამბავია: ერთ საზონში ამდენი მატჩი ქართველებს ჯერ არ უთამაშიათ***

წლის მთავარი მოვლენა, ცხადია, საქართველოს ნაკრების მსოფლიოს თასზე მონაწილეობა იქნება. რაგბის უპირველესი ტურნირი შემოდგომაზე ავსტრალიაში გაიმართება. მანამდე კი ჩვენები სეზონს ევროპის ერთა თასით იწყებენ, რომელიც 15 თებერვლიდან 29 მარტამდე გასტანს.

მსოფლიოსა და ერთა თასებს შორის ბორჯღალოსანები სამ ტესტს გამართავენ, თანაც ერთობ სოლიდურ მეტოქეებთან.

ერთა თასის დასრულების შემდეგ ქართველები ერთ თვეს იუქმებენ, მერე კი, ივნისში, საფრანგეთის „ა" ნაკრებს თბილისში უმასპინძლებენ. გეხსომებათ, შარშანწინ ფრანგებმა ქართველების დასაზვერად თავიანთი „ა" ნაკრები რომ გამოგზავნეს. ოღონდ მაშინ სტუმრები უფრო სტუდენტური გუნდით გვეწვივნენ. ახლა კი ფრანგები ირწმუნებიან, თქვენი ძალა კარგად ვიცით და წლეულს ექვსი ერის მომგები „მამლების" ნაღდ რეზერვს გამოვუშვებთო. ჯერჯერობით არ დადგენილა ამ მატჩის გამართვის ზუსტი თარიღი, ისევე როგორც მეორე ტესტისა კანადა — საქართველო.

კანადელებმა, რომლებიც ჩვენსავით მსოფლიოს თასზე ითამაშებენ და რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) რეიტინგში მე-14 ადგილზე არიან, შემოთვალეს, აგვისტოში შინ გელოდებით, ოღონდ თარიღზე მოგვიანებით მოვრიგდეთო.

ჩრდილო ამერიკიდან კლოდ სორელის გუნდი აპენინებზე გადაინაცვლებს. 6 სექტემბერს, სავარაუდოდ ტრევიზოში, ჩვენები ექვსი ერის წევრ და მსოფლიო რაგბის ბობოლებში გარეულ იტალიას გაუმართავენ ტესტს. მსოფლიოს თასის წინ ბორჯღალოსნებისთვის ეს იქნება ბოლო მატჩი და ისეთ გუნდთან სპარინგი, როგორიც იტალიაა, უეჭველად წაადგებათ.

12 ოქტომბერი კი ბორჯღალოსანთა მატიანეში უმთარესი დღეა. ჩვენები პირველ სამსოფლიოსთასო მატჩს ითამაშებენ ინგლისთან. ავსტრალიაში ბორჯღალოსნები კიდევ სამ შეხვედრას გამართავენ და დაასრულებენ კიდეც ტურნირს, რაკი ხუთგუნდა ჯგუფიდან (ინგლისი, სამხრეთ აფრიკა, სამოა, ურუგვაი, საქართველო) გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საპლეიოფო ორ საგზურს ინგლისს და სამხრეთ აფრიკას ვერავინ შეეცილება.

**ბაჩო სვანიძე**

| ბორჯღალი 2003 |
| --- |
| **ევროპის ერთა თასი** |
| 15 თებერვალი, ლისაბონი<br>**პორტუგალია — საქართველო** |
| 22 თებერვალი, თბილისი<br>**საქართველო — ესპანეთი** |
| 8 მარტი, კრასნოდარი<br>**რუსეთი — საქართველო** |
| 22 მარტი, პრაღა<br>**ჩეხეთი — საქართველო** |
| 29 მარტი, თბილისი<br>**საქართველო — რუმინეთი** |
| **ტესტ-მატჩები** |
| **საქართველო — საფრანგეთი „ა"**<br>(თბილისი, ივნისი) |
| **კანადა — საქართველო**<br>(აგვისტო) |
| **იტალია — საქართველო**<br>(6 სექტემბერი) |
| **მსოფლიოს თასი** |
| 12 ოქტომბერი, პერტი<br>**საქართველო — ინგლისი** |
| 19 ოქტომბერი, პერტი<br>**საქართველო — სამოა** |
| 24 ოქტომბერი, სიდნეი<br>**საქართველო — სამხრეთ აფრიკა** |
| 28 ოქტომბერი, სიდნეი<br>**საქართველო — ურუგვაი** |



# ტორპი და ფლავი

**უცნობილესმა** ავსტრალიელმა მოცურავემ იან ტორპმა თავის ოქროულობას ერთი მედალიც შემატა და ეს 25-მეტრიან პარიზულ აუზში, მსოფლიოს თასზე მოახერხა.

სანამ ოქროს მოიგებდა, ტორპმა საკმაოდ დიდი იმედგაცრუება ნახა. იგი საზოგადოდ არ ითვლება მოკლე დისტანციების მოცურავედ, რადგან მედლების უმრავლესობა საშუალო (200, 400 მეტრი) მანძილებზე მოუგია, მაგრამ ამის მიუხედავად, ისეთი უხეირო შედეგი (მე-18), რომელიც ტორპმა 50 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვისას აჩვენა, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენისთვის ნამეტანი თავის შერცხვენაა. ეს ამბავი პარასკევს მოხდა, შაბათს კი ტორპმა თავისუფალი სტილით 200 მეტრზე მოცურავეთა შორის იმარჯვა.

ცნობილმა ოზმა ეს დისტანცია წუთსა და 41,86 წამში გაცურა, რაც საკუთარი, 2001 წელს იაპონიაში დამყარებული მსოფლიოს რეკორდის დასამხობად არ ეყო. მაშინაც და ახლაც ტორპის მთავარმეტოქე ასევე ცნობილი მოცურავე, ჰოლანდიელი პიტერ ვან დენ ჰუგენბანდი იყო. მაგრამ იაპონიისა არ იყოს, ჰოლანდიელი საფრანგეთშიც ვერცხლს დასჯერდა, ის ტორპს 1,30 წამით ჩამორჩა. მესამე ადგილზე ჩეხი კვეტოსლავ სვობოდა გავიდა.

აქვე ვთქვათ იმ დისციპლინაში თავნასახელებ სამეულზე, რომელშიც ტორპი ჩაფლავდა. 50 მეტრზე თავისუფალი სტილი ბრიტანელმა მარკ ფოსტერმა მოიგო, მეორე ამერიკელი ჯეისონ ლეზაკი გახლდათ, ბრინჯაო კი ფრანგმა ჟულიენ სიკოტმა ირგუნა.

**ირაკლი ბერტაია**



REUTERS პარიზიდან

იან ტორპი





ფრანგთა ცნობილმა ჯეკსონ რიჩარდსონმა საუდელ არაბებს ხელი არ დაგლო

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ვაჟები**

პორტუგალია. 20 იანვარი - 2 თებერვალი

# მრავალი და სონ-სონ-მეზი გამარჯვებით იწყებენ

**გუშინ** პორტუგალიაში დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის ფინალური ტურნირი.

24 ნაკრები 4 ჯგუფშია განაწილებული:

**A** — იუგოსლავია, ესპანეთი, ტუნისი, კუვეიტი, პოლონეთი, მაროკო

**B** — გერმანია, ისლანდია, ავსტრალია, პორტუგალია, ყატარი, გრენლანდია

**C** — საფრანგეთი, რუსეთი, უნგრეთი, ხორვატია, არგენტინა, საუდის არაბეთი

**D** — შვედეთი, დანია, სლოვენია, ეგვიპტე, ბრაზილია, ალჟირი

ყველაზე ძლიერი მესამე ჯგუფია, რომელშიც ასპარეზობენ მსოფლიოს ჩემპიონი საფრანგეთი და ოლიმპიური ჩემპიონი რუსეთი. თუმც ამას საწყის ეტაპზე დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ყოველი ჯგუფიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას პირველობისთვის ასევე წრიული პრინციპით ისევ ოთხ ჯგუფში, შემდეგ კი ნახევარფინალური და გადამწყვეტი მატჩები გაიმართება.

ჩვენთვის გამორჩეულად საინტერესოა ისლანდიის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც თამაშობს ამ ქვეყნის მოქალაქეობამიღებული საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე როლანდ ერაძე. კუნძულელები ორი წლის წინანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-11 ადგილზე იყვნენ, ახლა კი მათი წინა სეზონის საუკეთესო ხელბურთელის ერაძის დახმარებით არა მხოლოდ ჯგუფიდან გასვლას, უკეთესი შედეგის მიღწევასაც აპირებენ.

პირველი ტურის მატჩები ასე დასრულდა:

**გერმანია 40:17 ყატარი**
**ისლანდია 55:15 ავსტრალია**
**რუსეთი 31:30 უნგრეთი**
**ხორვატია 29:30 არგენტინა**
**ტუნისი 29:20 კუვეიტი**
**იუგოსლავია 24:20 პოლონეთი**
**ალჟირი 22:22 ბრაზილია**
**შვედეთი 29:23 ეგვიპტე**
**პორტუგალია 34:19 გრენლანდია**
**საფრანგეთი 30:23 ს. არაბეთი**
**დანია 33:24 სლოვენია**
**ესპანეთი 23:18 მაროკო**



# ძიუმ ყველაფერი დაიტოვა

**ავსტრალიელმა** კოსტია ძიუმ, რომელიც იმავდროულად რუსიცაა და კორეელიც, შეინარჩუნა ზემსუბუქი წონის უდავო ჩემპიონის ტიტული ამერიკელ ჯესი ჯეიმს ლეიხასთან ბრძოლაში.

ასოციაციის, საბჭოსა და ფედერაციის ქამრები ძიუმ მელბურნის რინგზე აღმართა, მას შემდეგ, რაც 36 წლის ლეიხამ უარი თქვა მერვე რაუნდში გამოსვლაზე, რადგან მარჯვენა ყურის ბარაბანი დაუზიანდა.

ლეიხა ისედაც გვარიანად ნაგვემი იყო, მარჯვენა წარბიც გახეთქილი ჰქონდა და აშკარად ეტყობოდა, რომ წონასწორობის დაცვა უჭირდა. ლეიხას მამამ, ჯეიმს უფროსმა, რომელიც შვილის კუთხეში საქმიანობდა, შესვენებისას რეფერის მოუხმო და ბრძოლის შეწყვეტა სთხოვა.

„ამგვარმა ბოლომ ძალიან დამამწუხრა, — თქვა ლეიხამ — მგონი, კარგად ვკრივობდი. ძიუ ხომ დიდი ჩემპიონია".

ლეიხას კარგად კრივობისა რა ვთქვათ და, ძიუ პირწმინდად ლიდერობდა სამივე დამთვლელი მსაჯის ფურცლებში.

„ამ შვიდიდან მხოლოდ ორი რაუნდი წავაგე, — თქვა ძიუმ — ჯანზე ვიყავი და არ დავღლილვარ. საქმე გაგრძელებულიყო, ნოკაუტსაც მოვახერხებდი. ჯესი დიდი მებრძოლია, მოუღლელი კაცია".

ძიუს მეორე წელიწადია, უპყრია სამივე ტიტული, კარიერაში კი 30-ჯერ მოუგია და ერთადერთხელ წაუგია.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



REUTERS მელბურნიდან

კოსტია ძიუ თავისი ქამრებით



REUTERS დალასიდან

# როკენროლური

დალასში გრძელდება ამერიკის ეროვნული ჩემპიონატი ფიგურულ სრიალში. ეს მხიარულად მოცეკვავე, პრესლის ეპოქის თარგზე მოჭრილი წყვილი ტანიტ ბელბინი და ბენჯამინ აგოსტო გახლავან. წყვილმა მეორე ადგილი დაიჭირა და მარტში თავის ქვეყანას წარადგენს მსოფლიო ჩემპიონატში.



REUTERS მადონა დი კამპილიოდან

# ისევ მთებიდან

კვლავაც იტალიურ სამთო კურორტ მადონა დი კამპილიოში „ფერარის“ მეფორმულეთა გუნდი და რეპორტიორები კვლავაც აჩხაკუნებენ აპარატებს: ამჯერად მიხაელ შუმახერი სლალომით ერთობა.



REUTERS ათენიდან

# ცეცხლი ზამთრისთვის

აჰა, აინთო ოლიმპიური ცეცხლი ძველ ადგილას. ოღონდაც, პნიქსის მთაზე მზიდან აბრიალებული ჩირაღდანი, რომელიც ბერძენ მსახიობ ტალია პროკოპიუს უპყრია ხელთ, არა ათენის ოლიმპიადისაა, არამედ სლოვენიურ ქალაქ პლედისკენ გაეშურება, ზამთრის ოლიმპიადის დასალოცად.



REUTERS სიდნეიდან

# არის ლუის ვუტონის თასი!




REUTERS ოკლენდიდან

აჰა, ლუის ვუტონის თასის კაციც! შვეიცარიული „ალინგი სინდიკატის“ ნავმა მეექვსე შეყრა მოუგო ამერიკულ „ორაკლ ბეემვეს“ და თებერვალში „თიმ ნიუ ზილანდს“ შეეჯიბრება ამერიკის თასისთვის. ლუის ვუტონის თასის მომგები ეკიპაჟის ბოსი, ერნესტო ბერტარელი კი მეცხრე ცაზეა: შამპანურშიც ბანაობს და ცოლ კრისტინასაც ჰკოცნის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაპუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible] ჩეკლიძე, [illegible] ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge